გოგი ჭავთარაძე სტუდენტობის წლებიდანვე იჩენდა ვაფა-ფშაველას შემოქმედებისადმი ინტერესს. მას ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში ჰქონდა საინტერესო ცდა ვაფა-ფშაველას ნაწარმოების სცენური გააზრებისა, შემდგომ ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის თეატრის სცენაზე განახორციელა „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, რომელმაც აღიარება მოიპოვა როგორც ჩვენთან, ისე ბულგარეთში გასტროლების დროს.

შემთხვევითი არ იყო, რომ გ. ჭავთარაძემ ისევ მიმართა, ამჯერად უკვე ქუთაისის თეატრში, ვაფა-ფშაველას ორ პოემას „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელს“. უტყობა, რეჟისორს უკმარისობის გრძობა არ ასვენებდა. წინ გავუს-



ვ. ი. ლენინი—დ. დვლიშვილი („ექვსი ივლისი“)

წრებით მოვლენებს და დავტყნთ, რომ მომავალში ძიებანი ამ მიმართებით უთუოდ კვლავ იჩენს თავს მის შემოქმედებაში.

„ალუდა ქეთელაური“ იოლად ემორჩილება სცენურ კანონებს. იგი თავისი სტრუქტურული აგებულებით უახლოვდება ანტიკური ტრაგედიის ბუნებას; რელიეფურად ივევლება გმირისა და ქოროს დაპირისპირებაში მათი ურთიერთდამოკიდებულება. ანტიკური ქოროსაგან განსხვავებით ვაფას პირობითი ქოროს თითოეული პერსონაჟი დამოუკიდებელი ხასიათის მქონეა.

ალუდა ქეთელაური, როცა მისთვის ჭეშმარიტება გამოიკვეთა, მწარეფლ აღმოჩნდა თემის ცხოვრების წყის მიმართ დაპირისპირებული, მან ან ეს საუკუნოვანი ჯაჭვი რწმენისა უნდა გაარღვიოს, ან საბოლოოდ უნდა გასცილდეს შობლიურ მხარეს. ეს უმაჟფრესი შინაგანი ჭიდილი, სალი ნაკადის შემაძრწუნებელი დატაკება თემის სიკერპესთან სათანადოდ არ აირკვლა სპექტაკლში, რაც გამოწვეულია სცენური ხერხებისა და აშუალეების მოუწესრიგებლობით. დარღვეულია კავშირი სცენურ მონაკვეთებს შორის, ეპიზოდიდან

ეპიზოდურად გადასვლა შემუშადებელია და დამაჯერებლობას მოკლებული. უმდაფრეგი დრამატული სიტუაციების მონაცვლეობა ნაუცბათევი, კაცნური მოვლენების შორის გამოკვეთილად არ შეიმჩნევა, რის გამოც „ალუდა ქაშაფურის“ სცენური ინტერპრეტაცია ტექსტის უდიდესად წავითხვას უფრო ჰგავს, ვიდრე მის რეჟისორი გაცხადლებას. ცალკეულ სცენებში ტეხნიკური აღწევს ვიზუალურ პარონისას, რაც აინტერესულია კლექტიკურ მეტყველებასთან ურთიერთმიმართებაში. არის სურვილი ხევესურულ კილოს წარმოჩენისა, რასაც ყველა მსახიობი ვერ ართმევს თავს, რაც სტილის არევის და უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმერული ინტონაცია ჰარზად შეიმჩნევა მეტყველებაში. ამ თვალსაზრისით ზედმეტად ცყოდაც უშიშას როლის შემსრულებელი ვალერიან გვენცაძე.

პოემისა და ინსცენირების მნიშვნელოვანი პერსონაჟია სვეისბერი, რომელიც, ამ შემთხვევაში, ანტიკური ტრაგედიის ქორის კორიფეუსად წარმოგვიდგება. ქართული სცენის გამოცდილი ოსტატი შოთა პირველი თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ ამოცანას. იგი ვერ წვდება თავისი გმირის შინაგან სამყაროს, როლი მიჰყავს ერთფეროვნად, ვერ აღწევს განცდის სიწრფელს. მის შესრულებაში არ ჩანს სვეისბერის ორთოდოქსული შეულება, ხასიათის სიზნვიად, მონუმენტურობა. კულმინაციურ სცენაში იგი — ალუდას მოკვების სცენაში, შ. პირველის ხევისბერის წყველა მოკლებულია დამაჯერებლობას, მისი ცრუპათეტური შემართება დაძაბული, ტრაგიკული მომენტის გაყალბებას იწვევს.

შიშველ ემოციებზე აქვს აგებული როლი იამზე ჩხვიძის. მსახიობს ვერ მიუკვლევათა ღელას გაორებული შინაგანი სამყაროს სადავებისთვის, ვერ ამოუზიდავს მისი ბუნების სიმშვენიერე, ვერ გვაჯერებს ბედისაგან შერისხული ქალის დრამატულ განცდებში.

სანტერესო აქტიორული ნამუშევრით წარმოგვიდგინა ერეშია სვანაძე. მან ერთადერთმა შემლო მეტ-ნაკლებად გაემთლიანებინა ალუდა ქეთელაურის ხასიათი, მიუხედავად მისი გმირისათვის შექმნილი არასაკმარისი სცენური წინააღმდეგობებისა. როგორც აღვნიშნეთ, სპექტაკლში ნაკლებია კონფლიქტური სიმძაფრე, ცოცხალი კონტაქტი პერსონაჟებს შორის, რაც დაბრკოლებებს უქმნდა მსახიობს ეტაპობრივად. თანდათანობით განვეითარებინა ხასიათი. მიუხედავად ამისა, ე. სვანაძემ მთელ რიგ სცენებში გულწრფელი ემოციით გადაამდები განწყობილება შექმნა.

მუსიკალური თანხლებას ხშირ შემთხვევაში ზედმეტ სამკაულად მოჩანს.

ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა „ორი პოემის“ მეორე ნაწილმა. რეჟისორმა წარმატებით გაართვა თავი „ალუდა ქეთელაურთან“ შედარებით სცენური თვალსაზრისით უფრო ართულ ნაწარმო-

ებს „სტუმარ-მასპინძელს“. დადგმაში მიღწეულია მონოლითურობა, განწყობილებათა მონაცვლეობის ფსიქოლოგიური სიმართლე. შექმნილია შესაბამისი სცენური ატმოსფერო; გამოკვეთილია ხასიათები და დაკონტრირებულია გმირთა მიწრაფებანი. გ. ქეთარაძის, როგორც რეჟისორის, დამახასიათებელი თვისებაა სპექტაკლს მოუძებნის ზუსტი რიტმი. „სტუმარ-მასპინძელში“ ეს სივეთე განსაკუთრებით თვალსაჩინოა სხვა კომპონენტთა პარმონიული ერთიანობის წყალობით.

აკატატროლო სექტაკლებში აწიზრ ხერხაძის ჯოყოლა ერთ-ერთი დასრულებული და საყურადღებო სახეა. ჯოყოსას პოემიდან სცენაზე გადმოსვლა მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ჯოყოლა ფსიქოლოგიური დრამის გმირის ყველა თვისების მატარებელია და ვაჟას ეს შეუდარებელი ოსტატობა აქვს გადმოცემული. ამ ლიტერატურულ ღირსებებს ა. ხერხაძე არ უკარგავს თავის გმირს, ცდილობს მაქსიმალურად გაიზიაროს ჯოყოსას ხასიათში მოცემული ნიუანსები, რომელთა ჩვენება სცენურ სიტუაციებში ზომიერების ზღვარის დაცვით, სიფაქიზით უნდა იყოს წარმოდგენილი. მსახიობი ახერხებს ძალთა მობილიზებას, ხასიათში ჩაღრმავებას და ფილოსოფიურ განჭვრეტას. ა. ხერხაძის ჯოყოლა ერთ-პიროვნული სიმართლის მსხვერპლია, გაორებული და ტრაგიკული პიროვნებაა და, ამასთანავე, სადაღაც ბედნიერი საკუთარი სიმართლის ღრმარწმუნაში.

ზვიადურის შთამბეჭდავი გარეგნული პორტრეტი გამოკვეთა გიზო დელუკვამ. მისი გამოჩენა სცენაზე უკვე ქმნის სათანადო განწყობილებას, რომ იგი ვაჟას პოემის გმირია. მსახიობს ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ ღირსეულად შეეპაექროს ა. ხერხაძის ჯოყოსას. მთელ რიგ სცენებში იგი ამა ახერხებს კიდევაც — მისი ქმედება წრფელია და დამაჯერებელი, მაგრამ ჩვენ მაინც ვურჩევდით მსახიობს, უფრო მეტი შინაგანი აქტიურობა გამოეჩინა ან როლის შესრულებისას.

ყურადღება მიიპყრო მან ჟორჟოლიანის ალაზამ. მსახიობი ნათლად ახროვებს სცენაზე. მის შესრულებაში არ შეიმჩნევა სენტიმენტალიზმი, ლტოლვა გარეგნული ეფექტებისადმი, მაგრამ აღაზას ნ. ჟორჟოლიანის წამოსახვით აკლია დრამატული სიმძაფრე, ხასიათის მასშტაბურობა.

მუსას კოლორიტიული სახე შექმნა დ. დვალისვილი. მსახიობი მსუვე ფერებით, ზუსტად მოზომილი შტრიხებით კვეთს მუსას ცივირე, ვერაგ, შემპარავ ხასიათს.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (დ. დ. თუიყვილი, ჯ. ქვიციანი) განწყობილებას არ არღვევს და, არსებითად, ფორმალური ხასიათისაა.

ქუთაისის თეატრალური ცხოვრება, მისი წარმატებები განუყრელად დაკავშირებულია დ. კლდიაშვილის სახელთან. ისტორიულად, მისი ნაწარმო-

ებების სცენური სივრცეზე მჭიდროდაა ქუთაისთან დაკავშირებული. უთუოდ გაკვირვებას გამოიწვევდა, ქუთაისის თეატრის თავის სავსატროლო რეპერტუარში დ. კლდიაშვილის რომელიმე ნაწარმოები რომ არ ჰქონოდა. კოლექტივმა თავისი არჩევანი „ქამუშაძის გაჭირვებაზე“ შეარჩერა (ინსცენირების ავტორი მ. თეიშვილი). ეს ფაქტი თავისთავად მიტყვევებს სპეციალის სურვილზე, რომ მას „იოლი გზით“ სვლა არ ჰქონდა განზრახული — ნათლად ჰქონდათ შეგნებული, ყველა-ყველა და დავით კლდიაშვილის შერეულ წარმოდგენა ორმაგი დანაშაული იქნებოდა — როგორც ტრადიციის შეზღვევის თვალსაზრისით, ასევე მათი ბუნებისთვის ორგანული მასალის დაუძლეველობით. გარდა ამისა, „ქამუშაძის გაჭირვებაში“ დასრულებულ ტიპათა მთელი გაღერება დასახლებული, რაც დამდგმელ კოლექტივის საშუალებას აძლევდა სრულად გამოფენინა მსახიობთა ყველა თათვის ძალა და უნარი.

ახალგაზრდა რეჟისორმა შოთა კობიძემ შეგნებულად უარყო რაიმე ორიგინალური ხერხით ახალი გადაწყვეტა მოეძებნა ამ ნაწარმოებისთვის. იგი თავს არიდებს გარვეწული გამოსახვის საშუალებებს, არ ცდილობს ეფექტურ მიზანსცენებს დაუქვემდებაროს სპექტაკლის ცალკეული მონაკვეთები. რეჟისორის აზროვნება მარტივია, სადა, რომელიც მიიღობს და ახერხებს კიდევაც, მსახიობების საშუალებით ამოსხსნას მწერლის ღრმა ჩანაფიქრი და ტიპურ გარემოში სიმართლის აიკეთე ცივის. წარსულის რეტროსპექტივულ წარმოსახვაში სოციალური მომენტი განსაკუთრებული სიმძაფრით გვაწუხებს; ზოგიერთ შემთხვევაში მკვეთრი ნატურალისტური ფიქრი არ გვეჩამუშება, ამგვარი გამჭუმბვა კიდევ უფრო გამოკვეთს და თვალსაწიერს ხდის კლდიაშვილისეული სამყაროს განწირულებას.

რეჟისორული ჩანაფიქრის სიხსადე ოპტიმალურად აისახა ჯ. ჭეიშვილის სცენოგრაფიაში, სადაც დეტალების გამოყენების საჭიროება აუცილებლობითაა ნაგარანხვეი. კომპოზიციურ განლაგებაში თავისებური სიძულწია სწადავითა და გემოვნებითაა აღბეჭდილი.

კარგა ხანია მოძველდა მუხედლეუბა დ. კლდიაშვილის პერსონაჟებზე, რომ, თითქოს, ისინი ავტორმა დაუნდობლად გაამართახნა და სამარცხირო ბოძზე გააკრა: „ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მწერალი, რომელმაც ასე გზარალობდეს თავისი ნაწარმოების ყველა პერსონაჟი, მის მიერ დახატული ყველა ადამიანი!“

ქუთაისელთა სპექტაკლში ეს ჭეშმარიტება ზედმიწევნითაა დაცული. ყველა მოქმედი პირი ისტორიული ასპექტითაა დანახული; წარსულის გაცოცხლებული სურათების არჩდილები ეთნოგრა-

ფიული მუზეუმის ექსპონატების სახით წარმოგვიდგებიან და მსახიობები თავინთ შესრულებაში შეანინუნავად ახერხებენ მწვავე პრობლემების აღქმას დღევანდლობის თვალთ.

დახვეწილი აქტიორული ნამუშევრით წარმოგვიდგა ახალგაზრდა მსახიობი მერაბ ჩიქოვანი, რომელმაც ოტია ქამუშაძის რთულ სახეს ცნობებისეული სიმართლე, გულწრფელობა, ადამიანური მომხიბვლელობა და სიღრმეააღლე არ დააკლო. მსახიობი თავის შესრულებაში განსაკუთრებით გამოკვივს ოტიას მცდელობას — საკუთარ შესაძლებლობაა და ოცნებას შორის მიუღწევლობა როგორმე დაძლიოს და უღობივლ ცხოვრებასთან ამაო ჭიდილში იშვას ოდნე მძეუტაგი ნაპერწკალი მაინც გადავივოს. მისი პროტესტი უსუსურია. მსახიობი საოცრად რბილად გადმოსცემს ოტიას უნიათობას, რომელსაც არამე და არამე არ უკარგავს კეთილშობილებას. ზუატი განწყობილებას ყველანა მ ჩიქოვანი თავის გმირს, როდესაც იგი ჭალის მოსახსნულებლად მიდის ჯინჯარაძეების ოჯახში. აქ შექმნილი სიტუაცია საშიშროებს ბადებს მსახიობის შესრულებაში მიეცეს მაღალფენილი ელემენტური იერი, რასაც მ. ჩიქოვანი სავსებით განერიდა. მისი გმირი ვერხვის ფთოლივით თრთის საკუთარი ბედნიერების მოლოდინში. ეს ერთდგავარად სისაცილოცაა და სეიდის მომგვრელოც.

ევერინე „ქამუშაძის გაჭირვებაში“ და, საერთოდ, დ. კლდიაშვილიან მიულ შემოქმედებაში, ჭალ პერსონაჟთა შორის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული სახეა. ნათლად საღარაძე შინგანი რწმენით, ხასიათში საოცარი ჩაღრმავებით, ყრუ ტკივილის გამოძახილით და, ამავე დროს, ხასგასმული გარეგნული სიმშველით, აუჩქარებელი, დარბაისიური ინტონაცებით წარმართავს ეკვირინეს მრავალპლანიან ფიქრს და გასაჭირს. მსახიობი დიდი გულისტკივილით, უძირო სველით მოსახს გმირის გამოუვალ მდგომარეობა, ეძებს ამ მდგომარეობიდან თავდაღწევის გზას. უსიტყვო სცენებში ნ. საღარაძე თავის პაუზას შინგანი მოწოლოვით ავსებს, ეს კი უკვე აქტიორული ოსტატობის ნიშანია.

პორფირი ბიაშვილის სახე მსახიობმა ანზორ ხერხაძემ, როგორც იტყვიან, მთლიანად გაითავისა. ყველა სცენაში მისი გმირი უშუალოდისა და ძალდატანებელი აქტიორული შესრულების სასურველ შედეგს აღწევს. ა. ხერხაძეს მახვილონიერულად აქვს მიგნებული გაქნილი ადვოკატის ხასიათი, მისი „ქვენა და ზენა“ გრძობიბი დაუფარავადა გამოშუქურებელი მსახიობის მიერ, მაგრამ სასაყვედურო მის მიმართ მაინც გვაქვს — იგი თითქოს შორიდან ტყებთა თავისი აქტიორული ოსტატობით, რითაც, ერთგვარად, ანელმეს მიკვლეული ხასიათის აღქმის პროცესს.

უქნწი შტრიხების გამოყენებით, შინგანი ორგანიზებულიობით, „საჯარო მარტოობის“ გამა-

1 ზ. ჟღენტი „დავით კლდიაშვილი“, თბილისი, 1962 წ. 33-5.



სცენა სპექტაკლიდან „დიდოსტატის მარჯვენა“

ხვილებული შერგნებით გამოირჩევა დაკით დგლიშვილის ბეგლარ ჯინჰარაძე. მახიობი მიმართავს გროტესკს, მაგრამ სპექტაკლის საერთო განწყობილებიდან ერთი წუთიც არ არის ამოვარდნილი. მისი თაშამი მდიდარია ქვეტექსტებით, აადაც ნათლად იკვეთება ბეგლარის ცხოვრებისეული მრწამსი.

„ქაშუშაძის გაჭირვების“ ყველაზე გატანჯული გმირების, ეფროსიანია და დევიანის ტოაგიული ბედი მთელი სიძაფრით გვაგრძობიხუს აცეხის გამოცდილმა ოსტატებმა თაზარ კიკნაძემ და მიხეილ სვანიძემ.

დავით კლდიაშვილის თვალთახედვის არე, მისი ხაჭაოთებუნიათვის დასახაიათებელი განუყოფელი კოლორიტი, თითოეული პერსონაჟითვის ხიოთეული თვისება — ოსტატურად შეხიღობის მწარე სისამკრებლად ანით თითქოს გააიოლოს გასაჭირი, კარგადა მოტანილი ამ სპექტაკლში. ტრაბახი და იუმორი დავით კლდიაშვილის გმირების თვითმონაზნი როდია. ისინი იუმორის მოშველიებით ცდილობენ დაბანინებელი მდგომარეობიდან თავის დაღწევას, ტრაბახით, — ადამიანური ღირსების შენარჩუნებას. „ქაშუშაძის გაჭირვებაში“ რელიეფურადა გამოკვეთილი ასეთი თვისებებით დაჯილდოებული შემოდგომის აზნაურებისა და წვლმაგარი გლეხობის ურთიერთშეპირისპირება, რაც კიდევ უფრო აშიშვლებს სინამდვილის უშედავათო ასახვას. ამ საერთო განწყობილებისა და კოლორიტის შექმნაში თავისი უცილობელი წვლილი შეიტანეს აგრეთვე, მსახიობებმა: თინათინ ლვინიაშვილმა (ველაგია), გრიგოლ ნაკვილიშვილმა (ომანი), ერეშია სვანაძემ (სამადაძე), ნინო კვიციანი (სონია), გივი ბერძენმა (სარდიონი და ნესტორა), იაკობ სისხარულიძემ (არისტო), ყენია კაკაურიძემ (ნინო), გურამ კოკელაძემ (ნიკოლოზი), ზურაბ ციარაშვილმა (კუნწულა), ნესტან კვიციანი (ქერივი დედაკაცი), ანზორ ნიკოლაიშვილმა (მოსუცი აზნაური), გიზო დღეღევი (ბიჭია), გიზო კაკაურიძემ (მესარი-

ონი), ნათო ნოსელიძემ (ფუსუტია), ჯემალ ჩხეიძემ (ხუცესი), დლო ტაბატაძემ და იანზე ჩხეიძემ (ომანის ქალიშვილები), ბონდო გურჩიანმა (მამასახლისი), კობა სამანიშვილმა (ფილიპე).

თავისთავად ის ფაქტი, რომ ქუთაისის თეატრმა პირველმა სცადა კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი რომანის „დიდოსტატის მარჯვენა“ გასცენიურება, მრავლისმეტყველია. სპექტაკლმა კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საკამათო მართლაც ბევრია. პირველ ნაბიჯს ყოველთვის ახლავს კრიტიკული თვალის სიმკაცრე, ამასთანავე, ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟების სცენაზე გადმოტანა მუდამ ბადებს უკმარისობის, შეუთვისებლობის გრძნობას. ასე მოხდა ამჯერადაც, ობიექტური აზრი სალად დასვიეს რეჟისორის გახედვებით, მის მიერ გაწეულ შრომას და მიღწეულ შედეგს. უმთავრესი ხარვეზი მაინც ინაცენიურებაში უნდა ვეძიოთ. ორიგინალობაში არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვი, რომ თითქმის ყველა ინსცენირება მნიშვნელოვანწილად ჩამოუვარდება თვით ნაწარმოებს. შეუძლებელია ინსცენირებამ მოიცვას ნაწარმოების ძირითადი ღირსება, უსტი თანმიმდევრობით გასდიოს მოვლენათა განვითარება და არ დააკლოს მას ის სრულყოფილება, რაც ნაწარმოების მიხედვით ახლავს ცალკეულ ეპიზოდებსა თუ პერსონაჟს. მითუმეტეს საძნელოა პოეტური პროზის სათეატრო ენაზე ამეტყველა. კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ თავისი გმირების სულიერ ამყაროში შემოდის პოეტური ლექსიკით, ფილოსოფიური განჭვრეტით, მორალიტიკით, ხმაშალალი ფიქრით, შეძახილებით, რაც თავისთავად სასცენო დიალოგის სრულყოფილად გამართვის საშუალებას არ იძლევა. ეს სიმწეულ რომ ნათელი გახდა ინსცენირების ავტორთათვის, იქნებამ ჩანს, რომ მათ მასშველ ძალად დასჭირდათ ახალი პერსონაჟის შექმნა ორეულის სახით (მასიობი დ. დვლიშვილი), რამაც ნაწილობრივ განტვირთა სიმწელები.

როდესაც რევოსორი გადაწყვეტს შევევიდოს ასეთ ურთულეს ქმნილებას, ამ შემთხვევაში მას უნდა შეეძლოს ნაწარმოებიდან ამოიღოს მისთვის მთავარი და ძირითადი, დაძლიოს ყოველმომცველობის პურილი, დრამატურგის ხელი და ამწინის რომანს, რაც არ უნდა შეტყუებული იყოს მისთვის ამგვარი ოპერაციის ჩატარება.

ინსცენირების ავტორები გ. კვარაცხელია და გ. ჭავჭავაძე შეეცადნენ გაყოლოდნენ მაგისტრალურ ხასს, არ გამოეტოვებინათ არცერთი ღრმსესანიშნავი მომენტი, რამაც სპექტაკლი გამოიწვია ცალკეული ეპიზოდების სწრაფი გაგება. ასეთი გეგმის წყალობით, ბინდი დაწავა ნაპრობების მთელ რიგ მნიშვნელოვან მომენტებს, ფერები დააკლდათ რომანის მთავარ მოქმედ გმირებს. რეჟისორმა გ. ჭავჭავაძემ გაიართულა ამოცანა. ბუნებრივია, რომ მან მსახიობებს მთელ რიგ სცენებში შესთავაზა აჩქარებული რიტმი, რამაც ხასიათების გამოკვეთას ხელი კი არ შეუწყო, არამედ სპექტატორებისაკენ უბიძგა.

გ. ჭავჭავაძემ უდავოდ ნიჭიერად გადაწყვიტა ცალკეული სცენები, სადაც აზრი და ემოცია, პირობა და შემოქმედის თანხვედრი ძალით გადაედო ერთმანეთს. ასეთი სცენებია — „შანდლების ქურდი“, ორელიას და ფარმანს სპარსის იდუმალი გასაუბრება, არსაკიდის მარჯვენის მოკვეთა.

სპექტაკლში უხადო მხატვრული სახე შექმნა შოთა პირველმა (ფარმან სპარსი), იშვიათია შემთხვევა, როდესაც ლიტერატურული პერსონაჟის ადექატური სახე იქმნება სცენაზე. შ. პირველის ფარმან სპარსი სწორედ აუთ სცენურ სახეთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. მსახიობი არ ერიდება მსუყე მოსაშვებს, არ ცდილობს ვენებათა დაოყვებას; მისი შესრულებისათვის ნიშნულთა ცეცხლოვანი ტემპერამენტი, შინაგანი ძალების მაქსიმალური გამოვლენა. მსახიობის ქმედება ყოველთვის გამართლებულია, რადგან შ. პირველი მხოლოდ გმირის ხასიათიდან ამოდის.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ შ. პირველის ფარმანის გვერდით სხვა საინტერესო სახეებიც გამოიკვეთა. მგეფ გიორგი ანზორ ხერხაძისთვის შემოქმედებით წინსვლად უნდა მივიჩნიოთ. მსახიობი სახიერად აზროვნებს სცენაზე, ცდილობს შეფის ხასიათის ნიშანდობლივი თვისებების ამოზიდვას. იგი ცდილობს, რომ მგეფ გიორგის ქცევებსა და მოქმედებებს გარეგნული იმპოზანტურობა მიანიჭოს, თუმცა მის სცენურ ქმედებას დიდებულება მაინც აკლია.

კონტაქტინე არსაკიდის სიწმინდითა და კეთილშობილებით აღბეჭდილი სახე შექმნა გიზო კაკურიძემ. მის გარეგნობაში ირველება პოეტური გამჭვირვალება. ყოველივე ამას შინაგანი ძალაც რომ მიემატებოდეს, სრულყოფილებასთან გვეჭინებოდა საქმე.

გრიგოლ ნაცვლიშვილის მელქისედეკ კათალი-

კოსი შურყვეფელი ფანატრისისა და საკრამენტული რწმენის მატარებელია. მსახიობი დამაჯერებლად გადმოგვცემს კათალიკოსის ხასიათის სიმტკიცეს და მის სულეერ დრტიკვის თავისიერის მთლიანობისათვის.

ინსცენირებით გამოწვეული სირთულე წარმატებით დასძლია მხატვარმა ჯ. ფაურსტულმა. სამი კომპის ეფექტური გამოყენებით მან მოახერხა ყველა ეპიზოდისათვის მოქმედა შექაფერი გარემო. მხატვარმა მაქსიმალურად გამოთავისუფლა სცენური სივრცე, რითაც რეჟისორის მსახური სცენების დაუბრკოლებლად განლაგების საშუალება მისცა.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოები, ნ. დუმბაიძისა და გ. ლორთქიფანიძის გახმაურებული, მრავალ სცენაზე ხორცშესხნული ლირიკული კომედია „მე, ბებია, ილიკო და ილიკოზი“. თბილისელ მსურველებს ამ პიესის ბევრი სცენური ვარიანტი აქვს ნანახი, მის წარმოსახვაში ჯერ კიდევ არ განუღებულა პირველი სცენური ინტერპრეტაციით მიღებული შთაბეჭდილება. გ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შესანიშნავი დადგმიდან, რომელიც პიესის ერთ-ერთ თანავტორს გიკა ლორთქიფანიძეს ეკუთვნის; დღემდე პირველქმნილი მშვენიერებით ცოცხლობს ჩვენს მესხიერებაში სესილია თაყაიშვილის ბრწყინვალე ბეგბია, რომელიც კარგა ხანია ქართული აქტიორული სკოლის კლასიკურ ნამუშევართა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი აშკარა ფაქტორების გაუთვალისწინებლობა შეუძლებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრის კოლექტივი თავის არჩევანს ამ ნაწარმოებზე არ შეაჩერებდა. თეატრის ნაბიჯის აისწორეთ თვალნათლივ დაივანაგეთ მათ მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში.

მაინც რითი მიიპყრო ჩვენი ყურადღება „მე,

სცენა სპექტაკლიდან „ქაუშაქის გავი“ გვგა





სცენა სპექტაკლიდან „სტუმარ-მასპინძელი“

ბებიანი, ილიკო და ილარიონმა?“, არ არის ის ახალი, განმსახვავებელი, საკუთარი თვალთახედვით მოტანილი, რაც შეინიშნება ამ დადგმაში? დამდგმულ რეჟისორს გ. ქავთარაძეს რაიმე პრინციპული თვალსაზრისის „გადატრიალება“ არ მოუხდენია, იგი ერთგული დარჩა ამ პიესის სცენური ინტერპრეტაციის „დადგენილი კანონებისა“ — ნაწარმოებზე შეუნარჩუნა და სპექტაკლში კიდევ უფრო გამოკვეთა ღრმა ლირიზმი, დიდი ადამიანური აითბო, ხალხური იუმორი, სუფთა, წმინდა, გამგვირავლე ურთიერთდამოკიდებულება — მაგრამ სპექტაკლის უპირველესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ ნაცნობი მასალის გასწვებასთან როდი გვაქვს საქმე, არამედ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პირველად ვეცნობით დუმაბისეულ გმირებს, რაშიც რეჟისორს მხარდამხარ მიპყენენ მსახიობები.

ასაღაჯრდა მსახიობის ვეა ხუტუნაშვილის უდავი მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ბებიას სახის შექმნა. ასაკობრივი ბარიერი ადვილად და ორგანულადაა დაძლეული. მისი ბებია ფარატინა ქაღალდივით მსუბუქია და საოცრად სათნო. იმ გარემოს, სადაც გამოდგებით ფუსფუსებზე ბებია, მსახიობი იმდენად შესაბამისობრივია, რომ განუყოფელ ნაწილად აღიქმება. ბებია — ე. ხუტუნაშვილის ყოველ მიმართვაში ზურვიკლასადმი განუსაზღვრელი სითბო და სიყვარული გამოსჭვივებს.

ილარიონის აახე დ. დვალისვილიმა წარმოგვიდინა აქტიორული ვირტუოზულობით, დეტალების ფილიგრანული დამუშავებით, ხალხური საწყისების შერწყმით ცხოვრებისეულ რეალობასთან. მისი გმირი ხელშესახებია, შეფარული და გადამდები იუმორის მატარებელია. დ. დვალისვილი მთელი არსებით ცოცხლობს მოცემულ სიტუაციაში, უყვარს თავისი გმირი და ასევე გეჟყვარებს ჩვენც.

კეთილი, თბილი მოხუცის ილიკოს აახე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რბილად ემუქრება რით გააცოცხლა იაკობ სიხარულიძემ. მოხუცებში ამ ანსამბლში მერაბ ჩიქოვანის ზურგიო სვალანდელი დღისა და იმედინაი მომავლის სიმბოლოდ აღიქმება. მახაობმა გვიჩვენა, რომ ასეთი ადამიანების გვერდით მხოლოდ სიკეთის ნერვმა უნდა იხაროს, მათ დანატოვარზე კერიბა ცეცხლი არ უნდა გაქრეს, მუდამ უნდა იციალოს მოყვასის გულის გასახარად. ერთი შეხედვით, მ. ჩიქოვანი ზურგიოს როლისთვის თითქოსდა ასაკგადაცილებულია, მაგრამ მსახიობი ისეთ მართალ შინაგან განცდას ბადებს, იმდენი სიწრფელები, ყმაწვილკაცური სირაუქე და სიხალისეა შინა შესრულებაში, რომ ასაკის საჩოთირო ზღვარი სასეებით წაშლილია.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლია სცენები ერთგვარად ამოვარდნილია სპექტაკლის სტილისტიკიდან და შეუფარავი გროტესკითაა წარმართული, მსახიობები ვალერიან გვენცაძე და ანზორ ხერხაძე ბუნებრივად ერწყმიან საერთო ანსამბლს. მათი შესრულება გამდიდრებულია კომიკური ხერხების მახელოვანებული გამოყენებით.

საკანგებოდ უნდა გამოვყოთ სპექტაკლის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის ზურაბ ძნელაძის მნიშვნელოვანი წარმატება; მსახიობი შესრულებაში არ არის არცერთი ყაბჭი მონაკვეთი, იგი ბოლომდე გულწრფელია და სასეებით დამაჯრებელი წმინდა კომედიურ სიტუაციებში, რომლის გამართლებას ძალდატანებული სიმსუბუქით აღწევს. ჩვენი აზრით, ზ. ძნელაძის რომელი საუკეთესოა მათ შორის, ვინც დღემდე გვიანხავს.

სპექტაკლში ერთ-ერთი საუკეთესო მატარებლის სცენა, სადაც მსახიობები მოქმედებენ ლაღად, იმპროვიზაციული გამოგონებლობით, თითოეული მგზავრი დასრულებული კოლორიტული სახეა.

ქუთაისის თეატრი თანამედროვე ქართული დრამატურგიის მიმართ მუდამ იჩენდა უდიდეს გულისყურს და ინტერესს. ჩვენი დრამატურგიის სიახლენი, მწირი შემთხვევაში, პირველ სცენურ ნათლობას ამ თეატრის სცენაზე მოკვებენ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, გოგი ჭავთარაძის რეჟისორული კრედო სასეებით ეთვისება ქუთაისის თეატრის ამ შესანიშნავ ტრადიციას. პირველი რიგის ამოცანა მისთვის სწორედ თანადროულობასთან ღრმა კავშირშია. ასეთი სიკეთე კი ქართული თეატრის უპირველესი მოვალეობის სწორი გაგება და მისი დანიშნულების რეალური ხორცშესხმაა. ამგვარ მცდელობას თან ახლავს მაცურებლის შეუნელებელი ინტერესი და, ამასთანავე, კეთილმყოფელი კონტაქტი ქართველ დრამატურგებთან.

საკანგებოდ რეპერტუარის სპექტაკლმა, აღმუქანდრე ჩხაიძის „შთამომავლობაში“ პირვე-



ლი ნათლობა სწორად ამ თეატრის სცენაზე მოიპოვა. ბუნებრივია, რომ დრამატურგიულმა სიასლემ, პიესაში წამოჭრილმა პრობლემებმა ერთიორად გაზარდა სურვილი სპექტაკლისადმი. უთუოდ ამ გარემოებით იყო გამოწვეული დაგვიმოილორი წარმოდგენის ნაცვლად კიდევ ერთი დამატებითი სპექტაკლის ჩვენება.

ალექსანდრე ჩხაიძე თავის პიესებში პუბლიცისტური სიმძაფრით წარმოგიდგენს თანამედროვე ცხოვრებისეულ პრობლემებს. მაყურებელს ამ პრობლემათა გააზრების საშუალებას აძლევს. მის მიერ შექმნილი სიტუაციები მწვავედ ასახავს საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას გარემოს სინამდვილესთან. პრობლემების არსი, მიზანი, ემიჯნება მათი დაძლევის საშუალებებს. ტენდენცია ნათელია და მებრძოლი.

„შთამომავლობაში“ ავტორი ერთგული რჩება თავისი პრინციპებისა. ძირითადი მიმართება, ზეამოცანა პიესისა—სიმატლის უკომპრომისო ერთგულებას, ვინაიდან, ერთი უმნიშვნელო შეცდომაზე გი წარმოქმნის შეცდომათა მთელ რიგს. ადამიანმა არასოდეს არ უნდა დაუშვას კომპრომისი საკუთარი სინდისის წინაშე, ვინაიდან ყოველი კომპრომისი თავისთავში მომაბოძო შეცდობათა მატარებელია; ყოველი მცდარი დათმობა დანაშაულად იქცევა ეთიკური ნორმებისა და ადამიანური მორალის წინაშე. ამ ხაზის გამოკვეთას გზადაგზა ბევრი რამ შეეწირა— კერძოდ, დამაჯერებლობასაა მოკლებული თეატრი გერმის გურამის ბრალდება ოჯახის წევრების მიმართ. თავისთავად, მისი პოზიცია საყვებთ სწორია, მაგრამ დრამატურგიულ გააზრებაში გურამის მსჯელობას ასეთ უმწვავეს საკითხებზე დეკლამაციური იერი დაჰკარავს.

გ. ჭავჭავაძემ ნაწარმოებს ორიგინალური გადაწყვეტა მოუძებნა, რაშიც გველისხმობთ რეჟისორული ხერხის სისადავეს, ლაიონიზმს, სიტუაციების ანალოზს მოქმედ გმირთა ხასიათების დეტალურად ამოხსნის საშუალებით. სპექტაკლში მიკვლეულია ზუსტი განწყობილება, მოძებნილია მიკვლეულია ზუსტი განწყობილება, მოძებნილია შესატყვისი ტემპორიტეტი, რაც დრამატურგიულ სათქმელს სიცხადეს მატებს.

მსახიობთა უფროსი თაობის წარმომადგენელმა თინათინ ღვინიაშვილმა შემოქმედებითი გზა რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიწყო. იგი აღიზარდა სანდრო ასმეტელის ბრწყინვალე სპექტაკლებზე და ამიტომ, მუნებრივია, მშობლიურ სცენაზე ხელახლა გამოსვლა თავისებური ზემოქმედ იყო მისთვის. ეს საზეიმო განწყობილება გაზარდა მსახიობის მიერ შესანიშნავად გამოძერწილმა ფატი გურიელის სახემ. თ. ღვინიაშვილი ორგანულად შეიტარა ფატი გურიელის შინაგან საყაროში, ზუსტად გადმოსცა დროისგან უკმდეგებული ამპარტავნობის რეციდივები.

ოჯახური სიმყუდროვისთვის ამაო ზრუნვა, შინაგანი დაჰაქშულობა, სინდელეთა დაძლევის

პასიური მცდელობა, ინდიფერენტობა, წამყვან თეატრ მომხმარებელთა ნაცვიმოვილისა და ევასტუნდანიშვილის შესრულებაში.

პიესის და სპექტაკლის ყველაზე კოლორიტული ფიგურა ბონდო ლანჩავა. მსახიობმა დაიხლოვდა დეკლამაციულად კიდევ ერთხელ მოგვიბოლა სახის არაში წადომის არაწვეულებური უნარით. მსახიობი გულისტკივლით მიხედვის თავისი პერსონაჟის მიმე ზედღს, მის მიუსაფრობას, განწირულებას, ამაო განცდული ცხოვრების საბედისწერო შედეგს. დ. დვალისვილის ბონდო ირონიითა და ნალექით სჭურეტს თავის ცხოვრების მომავალ გზას, რომლის რადიკალურად გარდამანა მის ძაღვის აღმატება. ამ სიტუაციათა გააზროლებას დ. დვალისვილი ტრაგიკომიკური ხერხების გამოყენებით აძლევს. ბონდო ლანჩავა თანაგრძნობას, სიბრალულს იწვევს ჩვენში, რაც სახისადმი მსახიობის სწორი დამოკიდებულების შედეგია. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მსახიობი დ. დვალისვილი თეატრალური თიბილისისთვის სასიამოვნო აღმოჩენად იქცა.

დამდგმული რეჟისორი გ. ჭავჭავაძე სპექტაკლში მთავარი როლის შემსრულებლად მოგვევლინა. თბილისელები იცნობენ მის აქტიურულ ნამუშევრებს, ამიტომაც ინტერესი სპექტაკლისადმი ერთიორად გაიზარდა. გურამის სახეს სპექტაკლში არსებითი დატვირთვა ეკისრება. ამ სახის სწორად გახსნაზე დამოკიდებული პიესის იდეური მიმართება. გ. ჭავჭავაძე თავის შესრულებაში სწორედ იდეურ მახვილს აძლევს ზუსტ მიმართს. მისი გურამი, პირველყოფის, ცხოვრებისეულია; მსახიობი რეალისტური სიბრალულით, პირდაპირი შეუვალობით, პროტესტანტული სულით და, ამავე დროს, ეპიური ტონით გვაჯერებს თავისი შეხედულებების სისწორეში.

თეატრის რეპერტუარში მყარი ადგილი დაიკვიდრა მიხეილ შატროვის დოკუმენტურმა დრამამ „ექვსი ივლისი“ (თარგმანი გ. ბათიაშვილისა). უთუოდ გაბედული ნაბიჯი იყო, როდესაც თეატრმა ამ ნაწარმოების სცენური ხორცშესხმა განიზარდა. გადაწყვეტილების სითამამეს, რა თქმა უნდა, საკუთარი ძალების დრმა რწმუნა და დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი შუასფერი სპექტაკლის შექმნის სურვილი ამოძრავებდა.

მ. შატროვმა „ექვსი ივლისის“ ჭანი დოკუმენტური დრამის უფლებებით განსაზღვრა. ცხადია, რომ აქ სიტყვა „დოკუმენტური“ განსაკუთრებული სიფრთხილის ნიშნად აღიქმება და ნაწარმოების სცენაზე განხორციელებისას თეატრი ვალდებულია ყურად იღოს ყველა ის მოთხოვნა, რომლებსაც ავტორი, და, მასთან ერთად, საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება ითვალისწინებს.

გ. ჭავჭავაძემ ერთადერთი სწორი გადაწყვეტი-



ლებს მიიღო, როცა დრამატურგიული მასალის ბოლომდე ერთგული დარჩა. მან თანმიმდევრობით გაიანაწილა დოკუმენტური სინამდვილეთ აღმუქდილი ამბავი და ძირითადი კონფლიქტი პიესისა — ბრესტის ზავის მიმართ ბოლშევიკებისა და ესერების დამოკიდებულება; ყოველმხრივ შეეცა-ნა პიესის მოქმედი პირობი, კონკრეტული ისტორიული გმირები რეალური სიცხადით წარმოეჩინა.

... 1918 წლის ივლისის ცხარე დღეები. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მეტად პასუხსაგებ მომენტში კიდევ ერთხელ გამოიანათა დიდი ბელადის გ. ი. ლენინის ნიჭმა და ასპარეზი ჰპოვა მისმა გამაჰტრიალობამ. მოვლენათა განვითარების მისეულმა ანალიზმა მკვეთრი ზღვარი დაუდო ალბათობის მოულოდნელობებს და მიზანაუცდენელი სტრატეგიის წყალობით განმუხტა მდგომარეობა.

ძალდაუტანებლად, ზუსტად შერჩეული ძენწი შტრისებით, გონივრულად მიკვლეული სამეტყველო დახასიათებით, პორტრეტული მსგავსებით, იუმორით და სცენური აზროვნების სიმკვეთრით და დავალიშვილის მიერ შექმნილი ლენინის სახე ქართული თეატრის ლენინიანას ღირსშესანიშნავი შენაძენია. ამ როლის შესრულებისათვის დ. დვალშივილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების საკავშირო დათვალეობებზე პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

რადგან ქუთაისელთა სპექტაკლში ძირითადი სირთულე — ლენინის ადამიანური მომხილველობა, მისი არაჩვეულებრივი სიდიადის გააზრება მიღწეულ ოქნა, მოქმედების განვითარების ლოგიკამ რეალური საფუძველი მოიპოვა და მძაფრმა შინაგანმა რიტმმა დაძაბული ბრძოლის გაუნელებელი განწყობილება დაბადა.

სპექტაკლში განსაკუთრებით გამოიკვეთა ძერქინსკის ძალა და მისი რკინისებური, გაუტყუელი შეუვალობა. მსახიობმა ე. სვანაძემ რევოლუციის რაინდის შემართება ემოციური დამაჯერებლობითა და ექვიტუაციული სიმძლავრით წარმოადგინა. ლენინის თანამებრძოლები — სვერდლოვისა (ა. ხრეჭავაძე) და ბონზ-ბრუვეიკის (გ. მგერელიშვილი) სახეები აღბეჭდილია როგორც პორტრეტული მსგავსებით ისე შინაგანი სიმატლით. ახალგაზრდა მსახიობი იამზე ჩხეიძე შეეცადა ბოლშევიკების მოთმომდმვე ბანაკის ლიდერი სპირიდონოვა ძლიერ პიროვნებად წარმოედგინა. ცალკეულ სცენებში მან ეს რთული ამოცანა წარმატებით დაძლია. მაგრამ ის პრინციპული დაპირისპირება, რაც ესოდენი სიმწვავეით უნდა წარმოჩინდეს კრების მსვლელობისას ორი ოპოზიციური ბანაკის დაჯახების დროს, ჯერ კიდევ ნაკლებ განვითარებას პოულობს. ჩანს, მსახიობი განაგრძობს სახეზე მუშაობას, რაც გვაიმედებს, რომ იგი თანდათანობით დაძლევს მის შესრულებას არსებულ ამ ნაკლს.

სპექტაკლში თეატრის თითქმის მთელი დანაშინაწილობის, რაც მოქმედ პირობა სინამდვილემ და მასობრივი სცენების აუცილებლობამ მოედინა ხოვა. გ. ქავთარაძემ ოსტატურად მოახერხა მასობრივი სცენების კომპოზიციური განლაგება, სადაც თავიდან აიცილა ილუსტრაციული სამიშრობე და მას მაინაჟა აქტიურ-ქმედითი ფუნქცია. რეჟისორული ჩანაფიქრის ხორცესმსხს, მოქმედების ადგილების ხშირ მონაცვლეობას შესატყვისი მხატვრული გადაწყვეტა მოუძებნა ჯ. ფანჯაშვილმა.

მიუხაზლოდით გასტროლების ყველაზე უფრო სადავო მომენტია. ჩვეთვის გაუგებარია რა მიზანი ამოძრავებდა თეატრის საშხატეო ხელმძღვანელობას, როცა საგატროლო რეპერტუარი ადგილი მიუჩინა ისეთ უმწეო სპექტაკლს, როგორიცაა ფ. შილერის „ჟაჩაღები“. იქნებ პიესის დასახელებით სურდა შეექმნა რუსმოდგენა რეპერტუარის მრავალფეროვნებაზე, რომლის შტგანით გარეგნულად შექმნიდა ერთგვარ ილუზიას. სამწუხაროდ, მიზნის ახსნას ჩვენ ვერ ვპოულობთ; ფაქტია, რომ სპექტაკლმა უცილობელი დისონანსი შეიტანა კარგად ორგანიზებულ და მოფიქრებულ გასტროლებში. არსებობს მეორე პირობაც — განა შეიძლებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე, სადაც ბრწყინვალე განხორციელება ჰპოვა შილერის ამ ნაწარმოებმა, და რომლის დიდების ეჭო დღესაც ცოცხლობს ქართველი მაყურებლის გულში, გამოგვიჩინოს ასეთი გამბედაობა და ცრუ პატივტკობის აპოლოგიით შეგვეწუხებინა წარსულის წმინდა ხსოვნა?

ზოგს შეიძლება მოუჩვენოს, თითქმის ჩვენ წინააღმდეგინ ვიყოთ საეტაპოდ მიჩნეული სპექტაკლების ხელახალი დადგობა. პიესებს ტაბუს ვინ დაადებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რეჟისორი თავის არჩევანს უნდა ამართლებდეს გარკვეული სიახლის შეტანით, თანამდროვეობასთან მიხადაგებით. შილერის „ჟაჩაღების“ დამდგმელმა ა. ჟენიამ ეს სიახლე სასტარტო დამაზაჩებიდან ავარდნილი კვალის სიუხვეში დაინახა. მარცხისაგან არავინაა დაზღვეული, შემოქმედის გზა გამარჯვება-დამარცხების მონაცვლეობას, მაგრამ მარცხიცაა და მარცხიც! თუდაც ერთი პროფესიულად გამართული სცენა, ან ერთი აქტიორული ნამუშევარი მაინც რომ გვეკუთვოდეს, ასეთი სიმკაცრით არ წარგმართავით საუბრას, მაგრამ „ჟაჩაღებში“ ასეთი ნათელი წერტილის მიკვლევა უდღესი მონდომებით მიუხედავადც ვერ მოახერხებთ.

გასტროლებმა დავგარწმუნა, რომ ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებით კოლექტივს ძალუდა დაძლიოს სირთულეები, წარმატებით გადაჭრას თანამდროვე თეატრის წინაშე წამოჭრილი პრობლემები, ფუნდაფეს მისდობს დროის აჩქარებულ რიტმს, განავითაროს თავისი მონაპოვარი.

# ქუთაისის ლალო გენსიჟილის სახელობის სახელმწიფო თეატრის საგანგებო სექციის ბანსილა

დირიჟორი ალექსანდრე (საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე) — ჩვენ დღეს აქ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ ობიექტურად, ღირსებისაშემბრ შევფასოთ ქუთაისის თეატრის მოღვაწეობა, საგანგებოდ ჩამოტანილი სექციის ავტორები და ერთმანეთს გულახდილად ვუთხრათ, რა გეიხარია და რა გავწუხებს. ჩვენი უპირველესი ვალია თეატრალური ხელოვნების დონის ამაღლება, განსაკუთრებით ჩვენი, ქართული თეატრისა და ძალიან გვიინდა, რომ ქუთაისის თეატრი იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე ამჟამად. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იგი იმ სახით, როგორც დღეს გამოიყურება, არ მოგვწონს, არა, ქუთაისის თეატრს ჰყავს შესანიშნავი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც ხმაშეწყობილად, თავდაუზოგავად შრომობს, ეძებს გამოსახველობის სულ ახალ და ახალ ხერხებს, აფართოებს თავის შემოქმედებით დიაპაზონს, უზრდოდ, ჩვენ გვიინდა, რომ იგი კიდევ უფრო უკეთესი იყოს, უფრო დიდი სიხარული მოქონდეს როგორც მშობლიური ქალაქის მოსახლეობისათვის, ასევე მთელი ქართველი ხალხისათვის.

როცა ქუთაისის თეატრის სექციის წევრები, ჩვენი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი კოლექტივის ერთსულოვნებამ მიიქცია თანამშრომლობისა და თანაშემოქმედების იმ დიდმა სურვილმა, რის გარეშეც

მოხლითური კოლექტივის შექმნა შეუძლებელია. ანსამბლის ერთსულოვნება თეატრის წარმატებას ძალიან უწყობს ხელს, მაგრამ მე მაინც მაფიქრებს და მაწუხებს ახალგაზრდობის პრობლემა. მხედველობაში მარტო ქუთაისის თეატრი კი არა მყავს, არამედ რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებიც, სადაც იშვიათად შეხვდებით მსახიობს, ოცდაათ წევლს რომ არ იყოს გადაცილებული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალგაზრდა მსახიობთა მეტეხის სტუდიას, ასეთი მდგომარეობა თითქმის ყველა ქართულ თეატრში. ეს კი საგანგაშო მდგომარეობაა. ამას წინაშე ჩვენ შემდგომი ორგანიზებისაგან მივიღებთ სახელმძღვანელოდ დიდებული დოკუმენტისაგან მნიშვნელობის დოკუმენტი ახალგაზრდობასთან შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. მაგრამ ჩვენ იგი ვერ გამოვიყენებთ, ვერ გავშალთ მუშაობა ისე, როგორც ამას შეუძლებელია დოკუმენტი მოითხოვს. ვის მიუძღვის ამასი ბრალი? ისევე ჩვენ, აღმზრდელ და კულტურულ დაწესებულებებს. ჩვენი ახალგაზრდობა ვერ კიდევ ჩრდილშია, ვერ კიდევ მოკლებულია სათანადო ყურადღებას. ახალგაზრდობამაც მეტი დაინტერესება, მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს და თუ ჩვენ მას მხარში ამოვუდგებით, სწორ გზაზე დავეყნებთ, თეატრის მომავლის ბედი ასეთი საგანგაშო არ იქნება. თეატრისათვის აუცილებელი უნდა იყოს თაობათა

ცვლა, ხანდაზმულობის სათანადო პატივით გაცელება და ახალგაზრდობის მოზიდვა.

მინდა თქვენს წინაშე ერთი საკრიზოორტო საკითხი წამოვიყენო. ეს არის ქართული ენის, მეტყველების, ქართულად სწორად მეტყველების საკითხი. ჩვენ ყოველთვის თავგამოდებით ვიბრძვით ენის სიწმინდისთვის და ნაწლებს ყურადღებას ვაქცევთ სწორ მეტყველებას. რად გვინდა ეს, რა საჭიროა მისთვის ბრძოლა, თუ მომზადებიან ენაზე სწორად ვერ ვიმეტყველებთ? მივესალმები იმ ამბავს, რომ ქუთაისის თეატრმა თავისი გასტროლები დაიწყო იაკობ გოგებაშვილის „დედა თვის“ საფუძველზე შექმნილი სპექტაკლით. მაგრამ ჩვენ ანთონს, ისინი, ვისაც გოგებაშვილი დედა ენა გვასწავლა, როგორ ვმეტყველებთ? ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, სადევდრის ეთქმის თეატრალურ ინსტიტუტს, იმათ, ვინც საუდენტიზს მეტყველებას ასწავლის, ყველა პუბლიკის, ვისაც ეს საქმე აქვს მინდობილი. მოკლედ რომ ვთქვათ, მსახიობის ოსტატობა მხოლოდ ორ ინტონაციასა და ფუნქციონალურ, ერთია პლასტიკა, პლასტიკური ინტონაცია, როცა მსახიობმა მიძრაობით უნდა სთქვას სათქმელი, მეორე — მეტყველება, სამეტყველო ინტონაცია, როცა მსახიობმა სიტყვით უნდა გამოხატოს ის, რის გარემოცვლში მოქმედებს განვითარება შეუძლებელია. სიტყვა ერის მეტყველების გამა, ერის მეტყველების ფერწერაა. და დღეს, როცა ჩვენ ვართ ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, ნუცა მჭედის მემკვიდრეები, ჩვენ, ვინც უნდა დავისწავლოთ და ვამოთავრეთ, რა ენაზე ვმეტყველებთ სცენადან? ბევრ შემთხვევაში, უფროს ქართულ ენაზე. პირადად მე წინააღმდეგი ვარ თეატრში კინოგაფიქსის, კუთხურების შემოტანისა, რას მატებს თეატრს დამასწავლებელი მეტყველება, მასევე უნდა გადავადგილობ. დღეს კულტურული მეტყველების გარეშე შეუძლებელია ერთნული თეატრალური ხელოვნების განვითარება.

ზედნეტია იმის მტკიცება, რომ თეატრის საფუძველი, თეატრის სული და გული რეპერტუარია. ამ მხრივ დღეს არც ისე საგულალო მდგომარეობაა. პიესები კი გვაქვს, მაგრამ მინც არ გვეყოფნის, ჩვენთვის ეს ცოტაა, ძალიან ცოტაა. ქართული თეატრი ქართულ დრამატურგიას უნდა ეფუძნებოდეს, რადგან შეუძლებელია ერთნული თეატრის განვითარება ერთნული დრამატურგიის გარეშე.

ქუთაისის თეატრის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ იგი ცდილობს თავისი რეპერტუარი ქართული დრამატურგიის ან ქართული კლასიკური ნაწარმოების ინსცენირებულ ნიმუშებით შეავსოს, ერთნული და ინტერნაციონალური ორგანულად შეუსისბლოროცის ერთმანეთს და ჩემი შენიშვნაც სწორედ ერთ-ერთი არაქართული კლასიკური ნაწარმოების დადგმას ეხება.

მე, რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ქუთაისის თეატრში დაიდგა ფრედრიხ შილერის „ჟანადაბი“. სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა, ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის მიერ აღზრდილმა რეჟისორმა ა. ჟვანიამ. მაგრამ მისი სპექტაკლის მიზართ მე სერიოზული პრეტენზიები მაქვს. ჩვენთვის გასაგებია, „შტურმ უნდ დანაოს“ ეპოქის სულისკვეთება, გვიყვარს შილერის რომანტიკული, მეამბოხე სული, მაგრამ როცა ეს სპექტაკლი ენაზე, უკმაყოფილების გრძნობა დაიწყო. მე

მინახავს ბრწყინვალე, გენიალური სპექტაკლი, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ სანდრო ახმეტელმა დადგა. ამ სპექტაკლში თამაშობდნენ ა. ხორავა და ა. ვასაძე. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის თეატრის სპექტაკლში არის კარგი მიგნებები, შთამბეჭდავი ეპიზოდები, ზოგიერთი როლის კარგი შემსრულებლები, მაგალითად, შ. პირაგური, სპექტაკლმა ჩემზე მინც მძიმე, არასაბიძგო შთაბეჭდილება დატოვა. როცა ცდილობ გადავასა ის, რაც შექმნა ს. ახმეტელმა, ანდა ადაპტაციის მაკრატლით მიუდგე შილერის შემოქმედებას, მაშინ უნდა შეველოს რაღაც უფრო სანტიურესო და სერიოზული მსოფლმხედველობის გამოძებნა, სპექტაკლის აზრობრივად გაღრმავება. ასეთი რამ კი ქუთაისის თეატრის სპექტაკლში არ აღმოჩნდა. არ შეიძლება ძველის გადავსება და ვიწყობ მანამდე, სანამ ერთხელ გავთვინულს უვით არ ვაგაყვებები, არ შეიძლება სატყვენოდ აღიარებული დრამატული ნაწარმოების სტილი, კანონი და არქიტექტურული შესცვლა. ბრუნვის მაგალითი აქ არაფერში ვამოგადგება, ბრუნტი თვითონ ქმნიდა თავის პიესების სცენურ ვარიანტებს და იძლეოდა პიესის ისე გაგების საშუალებას, როგორც დამდგემუს სურს. სულ სხვაგვარი მწერალია შილერი. მას ფრთხილად უნდა მივუდგეთ. და, საერთოდ, რეჟისორს მეტი სიფრთხილე მართებს მასალის შერჩევისას. არ შეიძლება სპექტაკლის შექმნა დროისა და სივრცის გარეშე, სინამდვილის გარეშე. ყოველ ნაწარმოებს აქვს თავისი შინაგანი ბუნება, თავისი კანონები, რაც მას განუმოკლებლობას ანიჭებს. ის კი, რაც ჩვენ ქუთაისის თეატრის სცენაზე ვნახეთ, შილერის პიესის მიხედვით დაწერილი ახალი პიესაა. ამის უფლება კი ჩვენ არ გვაქვს. მე უშეშოთა მოგასხენეთ და ახლავ ვიშორებ, მე სპექტაკლი კი არ ვწერებ, ინტერვიუებსა და უნიკობაზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ პრინციპზე. არ შეიძლება დრამატული ნაწარმოების ავტორს ინდივიდუალობა წაყაროთ, მის მსოფლმხედველობას აზრი გამოეცვალო. ჩამოიტანო, „ინ ტრანსიო“; იმ სცენაზე, სადაც ა. ხორავასა და ა. ვასაძეს უთანამშობი და ახალი არაფერი თქვა, წინდაუხედაობად მიმანჩია. რეჟისორმა მე ეგრე დამარწმუნა, რომ ს. ახმეტელის სპექტაკლის დადგმა სხვაგვარად უნდა და არა ის, როგორც ს. ახმეტელმა დადგა.

ქუთაისის თეატრმა ბოლო წლებში დიდ წარმატებებს მიადღწია, მაგრამ მე მინდა ქუთაისის თეატრის ტოლს არ უდევდეს თბილისის თეატრებს, რადგან მას საკმაოდ მდიდარი ტრადიციები და შემოქმედებითი პოტენციალი აქვს.

შაჰლი კიმნაძე (თეატრმცოდნე) — ჩვენი საზოგადოებრივი კვირის მანძილზე თვალყურს ადევნებდა ქუთაისის თეატრის გასტროლებს. ყოველი სპექტაკლის მიმდინარეობის დროს დრამაზე ხალხით იყო სავსე, რაც არც ისე ადვილი მისაღწევი გახლავთ.

დომიტილი ალექსიძემ აქ ბევრი რამ თქვა საგულისხმო, გეზი მისცა ჩვენს დღევანდელ თავგანთობას და მეც ვეუქრობი, რომ სადავო და საკამათო ბევრი რამ გვაქვს. გულახდილად უნდა ვთავაზობოთ იმ მიწოდებებს და იმ წარმატებებს, რაც ქუთაისელმა ამხანაგებმა დაგვანახეს და იმ ნაკლსა

და წარმატებლობაზე, რაც ამავე თეატრის გასტროლებმა ცხადყო. როგორც ცნობილია, ქუთაისის თეატრი თანგრძნის თუ ცამეტე წელია, რა თბილისში არ ყოფილა საგასტროლოდ. ეს კი მერვე დრო რიდი. ცამეტი წელი ემსახურებოდა თეატრი თავის შემოქმედებითი პოტენციალის გამოსამჟღავნებლად, ცამეტი წელი ეძებდა თავის თავს და როცა ყველაფერი დაჯაბა, გაიპარა და შეაფასა, კვლავ წარბის-დგა თბილისელი მაყურებლის წინაშე. თბილისში თეატრმა რვა სპექტაკლი ჩამოიტანა. ეს სპექტაკლები სრულ სურათს იძლევა იმისათვის, რომ თეატრი დღევანდით ყველა მის განზომილებაში — რეჟისორიაც, აქტიურული ხელოვნებითაც, სარეჟურტორი ორიენტაციითაც, მისი კულტურითაც, გემოვნებითაც, მხატვრობითაც და მუსიკითაც. ჩვენ დღევანდით თეატრის როგორც შემოქმედებითი, ასევე ტექნიკური და ორგანიზაციული მხარე. ამ გასატოლებმა თბილისელ მაყურებელს ნათელი წარმოდგენა შეუქმნა დღევანდელ ქუთაისის თეატრზე, იმ ადგილზე, რაც მას თანამედროვე ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში უჭირავს. ამჟამად ქუთაისის თეატრი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივია, მას უნარი შესწევს გადაწყვიტოს მეტად რთული პრობლემები, ხოლო ზოგიერთი პრობლემა თამამად წამოჭრას და მომავალში იზრუნოს მის გადასაწყვეტად. ქუთაისის თეატრის კოლექტივს ყველა მონაცემები აქვს იმისათვის, რომ შემოქმედებითი მეტოქეობა გაუყოს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო თეატრებს. თეატრი აღმავლობის გზას ადგას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც მაქვს ჩემი შენიშვნები და ჩემი კეთილი სურვილები, რომელთა გათვალისწინებაც შეიძლება გამოადგეს თეატრს რამდენიმე მომავალში.

მინდა დავიფიქსო რეპერტუარი, შედგამ ყველასათვის ცნობილია, რომ თეატრის სახეს, მის ორიენტაციას რეპერტუარი განსაზღვრავს და, საერთოდ, თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება მის რეპერტუარზე დაფუძნებული. ქუთაისის თეატრის რეპერტუარი როგორც თეატრად, ასევე ქართული თავისებურებითა და აქტიურულ შესაძლებლობით მოიცავს თეატრალური შემოქმედების ყველა ასპექტს — სახასიათოდ და ეთნოლოგიურ თვალსაზრისით, მასობრივ სცენებს, გრიმის, კოსტუმებისა და სხვა პრობლემებს. ერთი სიტყვით, რეპერტუარის მიხედვით თეატრალური შემოქმედების ყველა სფეროა გათვალისწინებული და გაანგარიშებული. ქუთაისის თეატრის რეპერტუარში წარმოდგენილია ყველა განრი — ბოქსური, დრამატული, ქართული კლასიკა, საშპოთა თემატიკა და უცხოური კლასიკა.

სხვა საკითხია, რამდენად სწორადაა შერჩეული რეპერტუარი, რამდენად ამართლებს თეატრის ორიენტაციას, მის შემოქმედებით შესაძლებლობას, როგორ წყდება ამ პიესებში დასმული პრობლემები. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ თეატრმა აღნიშნული რეპერტუარიდან პირველად წარმოადგინა ისეთი სპექტაკლები, რომლებიც სხვა ქართული თეატრის სცენაზე არ დადგნულა. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავახაზოთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდილტატიის მარჯვენა“. ეს მეტად მძიმე და სასწრაფოა საშუალო იყო. მეტიმეტად ძნელია დიდი რომანი ორმოცდაათ-სამცხვერიდან პიესამდე დაიკავანო. რა თქმა უნდა, რომანის ინ-

სცენირების დროს ბევრი რამ დაიკარგა, ბევრი რამ გადაუწყვეტილი დარჩა, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ საჭირო იყო ამ რომანის სცენაზე დადგმა, ის, რაც ჩვენ სცენაზე ვიხილეთ, რეჟისორული ჩანაფიქრით, აქტიურული შესრულებითა და სპექტაკლის საერთო კულტურით საინტერესო დადგმა მიმაჩნია. მსახიობთაგან უნდა გამოიყოფ. პირველი, რომელიც ფარმან სპარსის როლს ასრულებს. ამ როლში იგი დიდ წარმატებას აღწევს და აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ სახლიდან იწყება სპექტაკლში გარდატეხა და არა მარტო რიტმის თვალსაზრისით — სპექტაკლში ორი რიტმი, ფარმან სპარსისა და გიორგი მეფის რიტმი და მათი შეპირისპირება, ამ ორი რიტმის კონტრასტი ძალზე ეფექტურ სცენურ სანახაობას ქმნის. ასევე დროს, ეს რომანში ჩაშაივლილი რთული სოციალური კონფლიქტებისა და პოლიტიკური ენებების წარმოჩენის საშუალებას იძლევა. მაგრამ ეს წარმოჩენა იწყება დაახლოებით მეორე მოქმედებიდან, როცა ფარმან სპარსი იწყებს მოვლენების გაანალიზებას და გადაჯგუფებას. მთელი პირველი მოქმედება კი ექსპოზიციის შეწერია, რომელიც საკმაოდ სუბურულ ხასიათს ატარებს. პირველ მოქმედებაში არც სპექტაკლის კომპოზიციური საწყისი ჩანს და ვერც მსახიობები ასერხებენ გმირთა ურთიერთობის გასანს. ერთი სიტყვით, პირველი მოქმედება სქემატური და ფრაგმენტულია. და არა იმიტომ, რომ სცენაზე ინსცენირებულ რომანს ვუყურებდით, ასეთი რამ „ქაშუშპისი გაჭირვებაში“ არ იკნობა, უნარაოდ, „დიდილტატიის“ პირველ მოქმედებას აჯივლია მონუმენტურობა, სიღრმე, არა რიტმული სიღრმე, არამედ სიღრმე თვით მოვლენათა განვითარების თვალსაზრისით. დეკორატიული გადაწყვეტაც კი (რომელიც საკმაოდ საინტერესოა), ეს ჩამუშავებული, მკაცრი ფერები აზრს მხოლოდ მეორე მოქმედებიდან იძებს. მეორე მოქმედებიდან სპექტაკლი რიტმულადაც და აზრობრივადც უკვე ხსნის იმ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომელთა საფუძველზე ისინება გმირთა ურთიერთობა და კონფლიქტი. აქვე უნდა აღვნიშნო ერთი რამ, რაც მარტო ამ სპექტაკლში არაა, ქუთაისის თეატრის სხვა სპექტაკლებსაც ენება. მსახიობები სცენაზე ერთმანეთს თვალსაზრისით უყურებენ. ეს რა სენი დამკვიდრდა ჩვენს თეატრებში? ორი მსახიობი გვერდგვერდ დასა და ერთმანეთს ელაპარაკება. ასე ვეფერდებოდნენ დღემდე იმის თქმა უნდაა, თითქოს ვინცერთი ფეხით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამგვარი საუბრიდან არაფერი გამოდის. მსახიობის შემოქმედების კრედი — ეს არის ურთიერთონტაქტი, ერთმანეთისათვის თვალსაზრისით ეჭვარ. მოქმედების აგვის ყველა პრინციპი ამ ურთიერთობაზე დაფუძნებული. როგორც კი სპექტაკლის ეს საწყისი მომენტი დაირღვევა, ინგრევა საფუძველიც. ამის შემდეგ, რა ნიჭიერიც არ უნდა იყოს მსახიობი, მის აღდგენას მაინც ვერ ასწრებს, რადგან უკონტაქტობა რჩება მოქმედების მთელი განვითარების მანძილზე. ყოველივე ეს, რაზედაც უნებოთ ვისაუბრებ, ძალიან მკვეთრად შეიმჩნევა და თეატრის რეჟისორამ დიდი ყურადღება უნდა მიუახვიოს ამ საკითხს.

მეორე, რაზეც მინდა ვილაპარაკო, ეს გასლავთ მსახიობისათვის, და ყველა ხელოვანისათვის აუცილებელი ზომიე-

რების გრძობა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ როგორც კი ჩვენს სცენას ვტოვებთ და გავდივართ უკეთ სცენაზე, შინაგანად საოცრად მომიბიწვებელი ვხდებით, რაც მისასალმებელია, რადგან ემოციურად დამუსტვა დიდი ფაქტორია, მაგრამ შინაგან მომიბიწვებასაც გაჩაჩნა თავისი სასურველი და ამ სახდლების დაიდგევა უკურნავებია იწივეს. სწორედ ამის მიზეზია ის თავშეუკავებელი ყვირილი, რაც განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს „ალუდა ქეთულაური“. შეიძლება ამის მიზეზი რუსთაველის სახელობის თეატრის სცენა იყოს, რომელსაც სხვაგვარი აკუსტიკური მონაცემები აქვს, მაგრამ ქუთაისის თეატრსაც დაახლოებით ასეთი სცენა აქვს და პირველი სპექტაკლის შემდეგ მსახიობები უნდა მიმხდარიყვნენ, რომ ხმის ჩაწევრებამდე ყვირილი საჭირო არაა. ამ მსაყრის გამო ხშირად მსაყრებლამდე ვერ აღწევდა სიტყვისა და მოქმედების განხილვების აზრი.

სპექტაკლ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ძალიან რთულია გიორგი მეფის როლი. მისი გაორბეული სახე — ხან მეფე, ხან გლახუნა, — მსახიობისაგან დიდ გარდასახვასა და დაძაბულობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, ეს როლი მაინც ვერ იტყვის იმ ფიქრებს, გმირის იმ შინაგან ბუნებას, რასაც მწერალი გადმოცემს. ეს რომ უკეთ გამოეხატათ, ინსცენირების ავტორებმა სპექტაკლში შემოიყვანეს ორეული. ორეულს ამ შემთხვევაში შინაგანი მონოლოგის როლი აქვს არა. პირადად მე ამ ხერხის წინააღმდეგი ვარ, საერთოდ ორეულის გამოყენისა კი არა, კონკრეტულად ამ სპექტაკლში მისი შემოყვანისა, რადგან ორეული, ანუ შინაგანი მონოლოგი, რომელსაც დ. დვალისფილი განასახიერებს, არ სჭირდება არც გიორგის სახეს და არც შორენას ფიქრებს. ის, რაც იწვება მუორე მოქმედებიდან, ნამდვილია და ამიტომ ორეულის სახე მოქმედების განვითარებას არაფერს არ მატებს. ეს არის სუბიერული, მოფაღვრატე ლანდი, რომელიც გვიყვება გიორგისა და შორენას ფიქრების, მათი შინაგანი ნაწილების შესახებ და რაც უფრო ნიჭიერად ასრულებს დ. დვალისფილი ამ როლს, მით უფრო უწყობს გამოიყურება. გარდა ამისა, სპექტაკლს არ გაჩაჩნა ერთი ფნალი, მრავალფერაილიანობა კი უკმაყოფილების გრძობას იწვევს.

საერთოდ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველ მოქმედებას, სპექტაკლის მსატრეული ორგანიზება, რომლისეული ძირითადი და მფორმებისაგანია პიკეტების უზუსტური თვალსაზრისით მოტანა, მე მინიწერლოვან ფაქტად და თეატრის წარმატებად მიმაჩნია.

ქუთაისის თეატრმა წარმოადგინა მეორე ინსცენირებულ სპექტაკლს, „სტუმარ-მასპინძელი“. დ. კლდიაშვილის ამ მოთხრობის ინსცენირება სასურველ დონეზეა შესრულებული. ეს გასაკვირია, თვით მოთხრობა დაახლოებით პიკის მოცულობისაა. სანამ სპექტაკლის ღირებება და ნაკულ შეგებბოლით, მინდა აქვე აღვნიშნო, რომ დღეს ქართულ თეატრში მიმდინარეობს სცენური აზრინგების განახლების პროცესი, რამაც დიდ როლს ასრულებს დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები. დ. კლდიაშვილის პიკებისა და ინსცენირებულის მოთხრობების სტილიზაციაში, მოდერნიზაციაში, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ახალი ნაკადი შემოიტანა თანამედროვე ქართულ თეატრალურ აზრინგებში. განნდა ახალი ტენდენ-

ცია, ქართული აქტიორული ხელოვნების ახალი ფორმები. და ამ ახალი სცენური ფორმის ძიებაში რეჟისორმა შ. კობახიძემ ტაქტიკა და ზომიერების გრძობა გამოიჩინა, გაითვალისწინა როგორც შემოქმედებითი კოლექტივის პოტენციალი, ასევე თეატრის მთელი შესაძლებლობანი. სპექტაკლი რეალისტური, ტრადიციული ფორმებითაა გადაწყვეტილი, მაგრამ, ამავე დროს, მინიშნებულა ის სიახლეებიც, რასაც თანამედროვე ესთეტიკური აზრი მოითხოვს. სპექტაკლში ბევრი საინტერესო სახეა შექმნილი, მსახიობები თავისი როლებს უშუალოდ, დამაჯერებლად, დიდი ოსტატობით თამაშობენ. სპექტაკლი სცენოგრაფიულადაც საინტერესოდაა გაფორმებული, იგრძნობა ვარემო, იგრძნობა კომპონენტა ერთიანობა, ჩემის აზრით, ეს საინტერესო სპექტაკლი კიდევ დიდხანს დარჩება თეატრის რეპერტუარში, რაც ახალგაზრდა რეჟისორის პირველ საინტერესო განაცხადად, მის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული კლასიკიდან თეატრმა წარმოადგინა „ალუდა ქეთულაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“. „ალუდა ქეთულაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ რომ ძნელად დასადგმელი პოემებია, ამას ჩემი განმარტება არ სჭირდება. გ. ქავთარაძემ ეს სპექტაკლი სამეფო და სამჯერეე სხვადასხვანაირად, თითოეული დადგმა უნდა მივიჩნიოთ ახალ სპექტაკლად. ჩემის აზრით, თუ პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ დადგმა შეიძლება, მაშინ ეს ერთ-ერთი საუკეთესო დადგმაა. ამ დადგმით ჩვენში ამ პოემის სცენური გადაწყვეტილი ერთგვარი მოდელიც კი შეიქმნა. სპექტაკლში ფილინგანო, მასპინძელი და მუშავებული ყოველი დეტალი, ყოველი ეპიზოდი, მსახიობები გატაცებით თამაშობენ და არადა არ შეინიშნება არავითარი ზედმეტობა. მე მხოლოდ ერთი შენიშვნა მაქვს. როდესაც მუსა რყოილას ოჯახში მიმსახიობს და პირველად დაინახავს ზვიადურს, ეს დანახვა მის სახესე არ აღიბეჭდება, ე. ი. არ იწვევს რეაქციას, ყოველ შემთხვევაში მე ეს რეაქცია ვერ შევნიშნე. დიდი ყურადღებით ვაღწევები თვალს ამ სცენას და მაინც ვერ შევნიშნე რა ზემოქმედება მოახდინა მუსასე ზვიადურის დანახვამ. ეს მომენტო როგორღაც ამოვარდნილია სპექტაკლიდან. რა თქმა უნდა, ეს არ არის ისეთი ცოდვა, რომ ამის გამო სპექტაკლს წუხი დაელოთ, მაგრამ ისეთი მსახიობის, როგორც ეს უნდა. დვალისფილი, ასეთი უშინიშნელი დეტალიც კი არ უნდა გამოიჩინოს წყვედლობიდან. უფრო საკამათოა სპექტაკლის პირველი ნაწილი. მე მხედველობაში მაქვს „ალუდა ქეთულაური“. იგი არც სცენურად და არც კონსტრუქციულად და არის ისეთ აგებულებ, როგორც „სტუმარ-მასპინძელი“ და რადეცნაირ ქოტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. არც გმირთა ურთიერთობაა სათანადოდ მოწესრიგებული და შეიძლება ამის მიზეზია ის დიდი მხაური, ის თავშეუკავებელი ყვირილი, სცენაზე რომ მიხვს, ერთი სიტყვით, ხმაური სცილობდა იმ რეჟისტრს, რასაც სიტუაცია, მოვლდებოთა განვითარება მოითხოვს. სპექტაკლში არ იგრძნობა არავითარი მოდულიცა, მრავალფეროვანი მტყულებლობა. ჩემის აზრით, ამ მხრივ „ალუდა ქეთულაური“ დასხეწას მოითხოვს. აკლია სინათლე, არ ჩანს ალუდას ტრადიციული გაორება, შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც დამასახიანებელია ვაცას ძლიერი გმირების ურთულესი ტრაგეიზმი-



სცენა სპექტაკლიდან „ყაჩაღები“

სათვის. ყოველივე ამას სპექტაკლში გარეგნული, ვიზუალური ხასიათი აქვს. საინტერესოა სპექტაკლის მეორე ნაწილში ჯოჟოლას, ზვიადაურისა და აღაზას ურთიერთობა. ის, რაც აქ არის მინიმუმული, რაინდისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის, კაცის კაცურად სიკვდილის იდეალიზაციაა და ამ დამოკიდებულებით გამოწვეული აღაზას სიყვარული ან, თუ გნებავთ ენება, სპექტაკლის ცოცხალ, ასლებურად გააზრებულ დეტალად მიმაჩნია.

შეიძლება კლასიკისადმი მისწრაფებამ განაპირობა თეატრის სურვილი დაეგია „ყაჩაღები“. წინასწარ მინდა განვახატო, რომ მე არ ვეთანხმები და ალექსიძის აზრს, რომ რაკი ს. ახმეტელმა დადგა „ინ ტრანსის“, ამიტომ ჩვენ იგი არასოდეს აღარ უნდა დაეგიათ. „ყაჩაღები“ რუსთაველის თეატრში დაიდგა ამ ორმოცდახუთი წლის წინათ და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა შევფიქრობოთ ერთხელ დადგმული საუკეთესო ნაწარმოების ზღუდეებს გაფართობება. ეს შევეძენს ახალ ძალას, გაგივიღებებს ინტერესს. დაე, იყოს სხვაგვარი სპექტაკლი, მკვეთრად განსხვავებული წინა დადგმისაგან, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ დღეს დადგმული „ყაჩაღები“ ს. ახმეტელის მიერ დადგმული „ყაჩაღები“ გავდეს. დღეს თვითონ ახმეტელი და მარჯანიშვილი არ დადგამდნენ თავიანთ სპექტაკლებს ისე, როგორც თავის დროზე დადგეს. ისინი იმიტომ იყვნენ დიდი რეჟისორები, რომ თანადროულად აზრდებდნენ. ჩვენში ხშირად წერენ და ამბობენ, სპექტაკლი „ტრადიციული“ მანერითაა დადგმული. რა თქმა უნდა, თეატრი უტრადიციოდ ვერ იარსებებს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხშირად ტრადიციას დამუხრუჭებელი, შემანარჩენელი ძალაა. ამიტომ მე ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ რეჟისორმა ა. ჟვანიამ დადგა შილერის „ყაჩაღები“, ხოლო თეატრმა ჩამოატრია იგი თბილისში. საკამათო ისაა, როგორ დადგა ა. ჟვანიამ „ყაჩაღები“, რა სახისლენი შეიტანა მასში, რა განსხვავებული გზები გამოიხატა, რა ფორმები დაუთო საფუძვლად მოდერნიზაციას. იგი ვერ გაყვებოდა ს. ახმეტელის გზას, ახმეტელისეული არც არის არაფერი სპექტაკლში, მაგრამ ეს არ ანთავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. მასისგან ა. ჟვანიას მიერ

დადგმული „მოდერნი“ ფოთის თეატრში, მისივე „დარისპანის გასაპირი“, ორივე ეს სპექტაკლი სასებთო მისაღები და მოსაწონი იყო. რეჟისორმა შესძლო რაღაც ახალი, ტრადიციულისაგან განსხვავებული ფორმების გამოხატვა, მაგრამ როდესაც მან იგივე გაიმეორა „ყაჩაღების“ დადგმის დროსაც, არაფერი გამოუვიდა. ამის მიზეზი ისაა, რომ ახალი ფორმების ძიება აქ თვითმიზნურ ხასიათს ატარებს, პიესისადმი თვითმიზნურმა დამოკიდებულებამ კი გამოიწვია მისი დაკონსპექტირება. ხოლო რა შედეგი მოჰყვა პიესის დაკონსპექტირებას, ეს ყველა ჩვენგანმა დაინახა. ისევე როგორც ს. ახმეტელმა, ა. ჟვანიამაც ჩამოაშორა პიესას დეკლამაციური ტონი, ლოზუნგები, პათეტიკა, მაგრამ მტრისმეტი მოუვიდა და სათქმელი თითქმის აღარაფერი დარჩა. რეჟისორმა თავიდანვე ვერ აიღო სწორი ტონი. და აი, ჩვენ სცენაზე ესეც დღეს შესახებავდა ახალგაზრდას (კარლ შოროის როლს ასრულებს ე. სვანიძე, ქუთაისის თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარი) და პირველივე ხმაბალაი სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა, ტონალურად არასწორი აღმოჩნდა და შემდეგ, მიუხედავად დიდი მონდობებისა, მისი აღმოფხვრა ვერაფერი ვერ წახერხდა. მშვენიერია სცენა, როცა ყაჩაღები თოფალმართულნი დგანან. ელოდები რომ, აი, ახლა, აი ახლა მოხდება რაღაც მნიშვნელოვანი, გადაწყვეტი, მაგრამ არაფერი არ ხდება. სპექტაკლში არ აღმოჩნდა ის ტრადიციული შინაგანი წინააღმდეგობა, რითაც შილერმა თავისი გმირი დააჯილდოვა, სადავთა, აგრეთვე სპექტაკლის მხატვრულად გაფორმება, კოსტიუმები და სხვა. ჩემის აზრით, ამ სპექტაკლში ა. ჟვანიამ გადაუხვია იმ გზას, რითაც მისი სპექტაკლები მოწინააღმდეგეობის იმ სახეობებზე და ეს გადახვევა არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული.

რაც შეეხება თანამედროვე თემატიკას, თეატრმა რეპერტუარში შეიტანა საში პიესა — „მე, ბებია, ილიკო და ილიანინი“, „ევესი ივლისი“ და „შთამომავლობა“. ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე, ბებია, ილიკო და ილიანინი“ ამ თემატიკაზედ წლის წინათ დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში და მას შემდეგ ამ სპექტაკლის მიეთლი სპექტაკლიური სერია წამოვიდა. ამ მხრივ, ავრ ქუთაისის თეა-

ტრის სპექტაკლია გამონაკლისი. როცა ვუყურებდი, ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს ეს სპექტაკლი სადაღაც უკვე მიხანავს. მიუხედავად ამისა, სპექტაკლს მაინც აქვს რამდენიმე ღირსება. როდესაც სპექტაკლის ღირსებებზე ვლაპარაკობ, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს დ. დვალისმილის მიერ ილარიონის როლის შესრულება. ზამბეტის ყველამ, ვისაც ილარიონის როლი უთამაშია, მაგრამ მე არცერთ სცენაზე არ მინახავს ამგვარი ილარიონი. სცენური აზროვნების როგორი სიზუსტე, ფრასის მომხდევამში გატანის როგორი უშუალოება, როგორი მეტყველობა დუმილი ახასიათებს ამ ნიჭიერ მსახიობს! ასევე შესანიშნავია ბებიის როლი ე. ხუტუნაშვილი. ეს ახალგაზრდა ქალი მოსუცი ადამიანის როლს თამაშობს, რაც გარდაქმნას, გარდასასვლელს მოითხოვს და ჩვენთვის მეტად სასიხარულო იყო, რომ იგი სტრუქტურულ გზას არ გასცავდა. მან თავისი როლი იუმორით შეაფერადა და მოგვცა ნამდვილი ბე-ბიის სახე. შესანიშნავია აგრეთვე მატარებელი მგზავრობის სცენა. აქ უკვე ყველა მსახიობი, მთავარ როლს ასრულებს იგი თუ უმნიშვნელოს, დიდი პროფესიული ოსტატობით გა-მორჩევა. ასეთი სცენის დაიწყოება შეუძლებელია.

მ. შატროვის „ექვსი ივლისი“ მეტისმეტად რთული სპექტაკლია, მაგრამ მე გახარებული ვარ იმით, რომ თეატრმა ამ ძნელ ამოცანას თავი გაართვა და თანამედროვე თეატრალური ხერხებით გადაწყვეტილი სპექტაკლი წარმოვიდგინა. მე მხედველობაში რიტმიც არაა მაქვს, რიტმის თვალსაზრისით სპექტაკლში ახალი ანაფორა, მე ველოვსხსობ ლენინის სახეს. საჭიროა კავშირი ლენინის სახის შექმნას უდიდესი ტრადიციები გააჩნია და ეს ტრადიციები ერთგვარად შეუ-დაღს მსახიობს. მიუხედავად ამისა, დ. დვალისმილს, რომელიც ლენინის როლს ასრულებს, რამდენიმე ახალი, მნიშვნელოვანი დეტალებისთვის მიუგნია.

თეატრმა განსხვავებულ ვანრში წარმოვიდგინა ა. ჩხაიძის „შობაღმალისა“. ეს არის სერიოზული, მთლიანი, დასრულებული სპექტაკლი, რომელმაც დამსწრე საზოგადოება აადრეს. ოჯახის საკითხი, რომელიც ამ პიესაში ავტორმა დასვა, ჩვენი დროის ერთ-ერთ ურთულესი პრობლემა, მკაცრეული ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა, ამიტომ საჭირობოტოც. ინერგვა ოჯახი, ინერგვა საფუძვლიანი მი-ზეზების გარე და ეს მიზეზი ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილი და გასაგებია. ასეთი ოჯახი უნდა დაინერგოს და რაც უფრო ჩქარა დაინერგვა, მით უკეთესი, მაგრამ ფინალში ავტორი ხელოვნურად ცდილობს მის გადარჩენას. ფინალში მეგის გაწოსვლას არავითარი კავშირი არა აქვს სპექტაკლთან და ამიტომ შედეგით, არაბუნებრივია. ავტორმა აზრობრივი წერტილი ვერ მოუძებნა პიესას, ხოლო ის, რაც მოუძებნა, უშედეგოა. თუ როდენიმე სპექტაკლში მსახიობები ქების ღირსნი არიან, უპირველეს ყოვლისა, ამ სპექტაკლში. განსაკუთრებით, დ. დვალისმილი, თ. დვინიაშვილი, გ. ნაცვლი-შვილი და სხვები.

თეატრმა გასტროლები დაიწყო ი. გოგვაშვილის „დღეა ენის“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლით „დღეა ენის“ 100 წლისა“. ჩემის აზრით, ქუთაისის თეატრმა ერთგვარ შე-ჯობბში გამოიწვივა სხვა ქართული თეატრები იმით, რომ რვა სპექტაკლიან ექვსი ქართული სპექტაკლი დადგა და დაიწ-

ყო გასცენიურებით „დღეა ენისა“, რომელსაც ჩვენი ხალხისათვის უდიდესი ნიშნელობა ენიჭება.

ქუთაისის თეატრის საგრძობობად გაიზარდა, მომწიფდა მას შემდეგ, რაც საგასტროლოდ თბილისში არ ყოფილა და მე დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგი გასტროლებისათვის ჩვენს დღეატაკლში მას ამდენი დრო აღარ დასჭირდება.

ლევან სანიძემ — (მწერალი) — მე დიდად მახარებს ქუთაისის თეატრის საგასტროლოდ ჩამოსვლა თბილისში და განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ მისი სპექტაკლები რუსთა-ველის თეატრის სცენაზე გათამაშდა. მე რამდენიმე შენიშვნა მაქვს.

ჩემი შენიშვნები მინდა დავიწყო მ. შატროვის გახმაურებული პიესით „ექვსი ივლისი“. მინდა თამაშად განვაყსადო, რომ რაც კი სცენაზე თუ ვკრანზე შექმნილი ლენინის სახე მინახავს, დ. დვალისმილის მიერ შექმნილი სახე, ერთ-ერთი პიესეტოსია. ეს არის სახე დიდი პოლიტიკური მოღვაწისა, პროლეტარიატის ბელადისა, კაცთმოყვარე ადამიანისა. რო-კარც ვკრანზე, ასევე სცენაზე ხშირად გაუბოზდენ ლენინის ჩვენებას ყოფილ ვარემოში, ჩვეულებრივ ვითარებაში. მაგრამ, აი, ფოლმში „ლენინი პოლიანთში“ ეს ტრადიცია დაირღვა და წინა პლანზე წამოსწიეს ლენინის დიდი ადამიანური თვისებები, მისი ურთიერთობა ადამიანებთან. ერთსა და იმავე დროს გაიკვებულაც და აღტაცებულიც დადგინა დვალისმი-ლის თამაში. დ. დვალისმილმა შექმნა ლენინის მართალი, დასამახსოვრებელი სახე. საერთოდ, რომელ როლშიც კი არ მინახავს დ. დვალისმილი, იგი ყოველთვის ტრავდა ჩემზე ნიჭიერი, პროფესიული და ოსტატული მსახიობის შთა-ბეჭდილებას.

გულახდილად უნდა განვაყსადო, რომ ამჟამინდელი სპექტაკ-ლის მიმართ არ გამჩენია სურვილი მეტყვა, ნეტა არ დაედ-გა-მეთქი. რა თქმა უნდა, ყოველი სპექტაკლი თანაბარი ლენის არაა, ზოგი უფრო სუსტია, ზოგი ძლიერი. ენა-ხოთ როგორ დადგა ქუთაისის თეატრმა „უკანაღელი“? თავისი თეატრად, სპექტაკლი ცუდი არაა, მე ფრანც შიორის ბოროტი ფილოსოფიაც გაგიგე და ამ როლს შემსრულებელი მსახიო-ბი ა. ხერხაძე ვიყანი, მაგრამ არ ვთამაშებდი იმ ოპერაციას, რაც შიორის ტრაგედიაში განიცადა, არ ვთამაშებდი იმ გა-ზრებას, როგორც ეს სპექტაკლის დამდგმელმა ვიგო. ში-ლერმა თავისი დრამატული ნაწარმოები განიცადა, როგორც დიდი ტრაგედია, ეს ნაწარმოები ხომ განრობრივად ტრაგე-დიაა. სპექტაკლში დარღვეულია შიორის მწერლური კერ-დო. კარლ შიორი ლოკალური, ამა თუ იმ ფენის წარმომად-გენელი კაცი კი არ არის, ახამედ მასშტაბური, საყავობრიო მნიშვნელობის გმირი, მასში კაცობრიობის ზნობა, გონება და სულია ჩაქსოვილი და იგი სწორედ დიდი საყავობრიო იდეალებისათვის იბრძვის. ამგვარი ბრძოლა კი ყოველთვის ტრაგიკულია, რადგან მხედვარებს, თავის განწივებას მოით-ხოვს და კარლ შიორიც ეწირება ამ იდეალს. კარლ შიორ-მა წინასწარ იცის, რომ ეთიკურად დამარცხდება, განად-გურდება, მაგრამ იცის ისიც, რომ მისი სული, მისი კაცური შეხარობება, რაც, ახავე დროის კაცობრიობის შემართებაა,



გამიზრავებს. მართალია, პიესაში კარლ წორი არ კვდება, მაგრამ იგი კლავს იმ არსებას, იმ ქალს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს ამ ქვეყანაზე და სწორედ აქ მელაგდება მისი ტრაგიაში. გმირმა ან თვითონ უნდა შესწიროს თავი იდეალურ ბრძოლას, ანდა მისთვის გასწიროს ის, ვინც ყველაზე მეტად უყვარს. ამალის სიკვდილი ტრაგედიის კულმინაციაა. ეს მომენტი კი ბიესიდან ამოღებულია. ტრაგედიიდან ამ ადგილის ამოღება არაფრით არ შეიძლება. ასევე ამოღებულია ბიესიდან მრავალი მნიშვნელოვანი ადგილი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოქმედების განვითარებაზე. თქვენ მკითხავთ, რაღა დარჩაო, დარჩა ის, რომ საექტაკლში მსახიობები თამაშობენ და თამაშობენ იმ დონეზე, როგორსაც თეატრალური ხელოვნება მოითხოვს.

„დიდოსტატის მარჯვენაზე“ ინსცენირების პროცესში ბევრი რამ დაკარგა რომანმა, ბევრი რამ მექანიკურად გადავიდა სცენაზე და ამან გამოიწვია ის, რომ რომანის ძირითადი აზრი, ხელისუფლისა და ხელოვანის მარადიული ჭიდილი წვრილმანები გაითქვიფა.

ჩვენი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა ქუთაისის თეატრის გასტროლებს თბილისში და მინდა მივუღოთ ეს წარჩატბა ჩვენს საყვარელ თეატრს.

ნამოსა არმოსამი (თეატრმოცდენ) — ქუთაისის თეატრის გასტროლებმა ბევრი საკითხი და პრობლემა წამოჭრა. ამჯერად მე შევეჩრდი ერთ საკითხზე. ეს იმდენად მნიშვნელოვანია დღეს თეატრალური ხელოვნებისათვის და პირადად ჩემთვისაც, რომ არაფრით არ შემიძლია გვიჩირო ავუარო. ეს ვახლოვან ლიტერატურული მასალის ილუსტრაციების, სიტყვის მოქმედებაში გადასვლის საკითხი, ანუ იმის შექმნა, რასაც საუთორი თეატრი ჰქვია. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლიან უნდა გამოვყო ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. არაერთგულ მინახავს ამ ნაწარმოების სცენური ვარიანტი, მაგრამ იმან, რაც ქუთაისის თეატრმა გვაჩვენა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ვუყვარვარ მართლაც, უკომპრომისო სპექტაკლს. შესანიშნავია ჯოყოლასა და ზვიადურის შესხედლის სცენა. მათი ურთიერთობის ჩასახვა, ჯოყოლას მიერ ზვიადურის სახელში მიყვანა. აქედანვე, ამ მომენტებიდანვე ჩანს ვაჟას გმირების ურთიერთობის სცენაზე გადატანა. აქედან იწყება ჯოყოლას შინაგანი გარდაქმნა, მკვეთრად, მთლიანად გარდაქმნა. როგორ, რა საშუალებით მიიღწევა მსახიობმა ა. ხრესაძემ ამა, როგორ შეედო ჩვეულებრივი მთელი ადამიანის სულიერად ამაღლება, მისი პიროვნების დასრულებული სახის წარმოჩენა? ჩემის აზრით, აი, ეს არის ის გაუცნობიერებელი შემოქმედება, რისი ახსნაც ძალიან ჭირს. და ეს გარდაქმნა იმდენად საინტერესოდ მოხდა, რომ მე სწორედ აქედან მინდა დავიწყო დააბარაჟი ქუთაისის თეატრზე. როგორც კი ჯოყოლამ ზვიადური შინ მიიყვანა, მონადირე კაცი იმ წასვე გადაიქცა მასპინძლად. აქედან იწყება სტუმარ-მასპინძლის ტრაგედია. სპექტაკლში უსტყდება ასახული მთავარი სტუმრის დიდებას ვაჟაშვილი ადამ-წიქდას.

როგორც კი ჯოყოლამ ზვიადური შინ მიიყვანა, მაშინვე შეივალა სპექტაკლის რიტმი, ჯოყოლამ აფორიტიკებულია,

გულითა და სულით სურს სტუმარს პატივი სცეს, რაც კი გააჩნია, ყველაფერი სურფაზე გამოაქვს. ამას ჩვენ ვხედავთ, სინამდვილეში კი ჯოყოლას გამოაქვს ორი ფილა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი ჩვენს თვალწინ იწყებს გატარებამას და ამას აღწევს ძალიან ზუსტი გამოხსახელობითი საშუალებებით. აი, ამის სცენური მოქმედების გასულიერება, თეატრის დაბადება. კეის, დაიწყო სცენური მოქმედება, ჩვენ უკვე ორი ადამიანის ურთიერთობის პროცესის დაწყების მომენტი ვართ, ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ გადაიქცა მონადირე მასპინძლად და ახლა ვეითიერებებს, როგორ განვითარდება ეს ურთიერთობა. ურთიერთობა კი ლოგიკურად ვითარდება. როცა სტუმარ-მასპინძელი მფრთხილო გავიქმნება ერთმანეთს, ჯოყოლამ ზვიადურში უარყო სტუმარს კი არ ხედავს, არამედ შინაგანად ახლოვდო ადამიანსაც. ამ მომენტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჯოყოლას როლის შესრულების დროს. ჩვენ დავინახეთ გმირის კიდევ ერთი სულიერი მოძრაობა. ხოლო რა ხდება შემდეგ? ზვიადური ჯოყოლასათვის იმ სიტუაციაში სულიერადაც და ფიზიკურადაც ახლოვნილი ადამიანია, ვისთან ყოფნაც მას სწყურია, ვისთან დაახლოვებაც მას შინაგან კმაყოფილებას ანიჭებს. აი, ის პრობლემა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას მტკისმეტად აწუხებს, მე მხედველობაში მაქვს ორი ადამიანის ურთიერთობის პრობლემა. დღეს კაცობრიობის წინაშე ყველაზე მწვავედ სწორედ ორი ადამიანის ურთიერთობის პრობლემა დგას. რეჟისორმა და მსახიობმა სწორედ ამ მხრიდან დაგვანახეს ორი ადამიანის ურთიერთობის პროცესი და დავგანახეს იმე, როგორც ეს ვაჟას ვეადრდა. ამიტომ სრულიად ვსაგებია ხდება ჩვენივე, რატომ განვიხილავ მოქმედებას იმ, როგორც სპექტაკლში ვითარდება და არა სხვაგვარად. მე ამ ორი გმირის ურთიერთობის პროცესს სპექტაკლის საუკეთესო მიღწევად მიჩანია, რის გამოც ბევრ რამეზე თვალის დაფრუტე აბა, დაუვირდით, ის ხდება, რაც იცლება თვისობრივად გმირის ცხოვრებაში. ჯოყოლას მთელ სხეულში რაღაცნაირი განსაკუთრებული ნათელი ნაუღდა, ეს სწორედ ის ნათელია, რომელიც პირიქედნას ამაღლებულს, ბუნებასთან წილნაყარს, პარმონიულს ხდის და როცა ეს პარმონია დაირღვა, დაიწყო ტრაგედია. ყოველივე უნათლად, მკვეთრად ანაგრენის სპექტაკლში და ორი ადამიანის ურთიერთობის ამავერი დაბადება, სცენურ მოქმედებაში გადატანა ქების ღირსია. განა ორი ადამიანის ურთიერთობის თვალსაზრისით დიდებული არ არის ის სცენა, როცა ჯოყოლამ აღაწაო პიროვნება დანახა. აი, ქართული თეატრის სცენაზე ასეთი ბირობების, ასეთ ეპიზოდებს უნდა ვხედავდეთ რაც შეიძლება ხშირად.

მეორე სპექტაკლი, სადაც ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საკმე, „ქამუზაის გატარება“ ვაკვალეთ. მე აქ ვერ ვილაპარაკებ მთელი სპექტაკლის აგვარებისაზე, მე მინდა თქვენს ყურადღება შევამჩრო მხოლოდ ერთ მომენტზე, ეს არის ბეგლარ ტინგარაძის თვამში მომხდარი პატარა ტრაგედია, რომლის განსოგადება ძნელი არაა. აქაც, ისევე როგორც „სტუმარ-მასპინძელში“, სპექტაკლის გატარების დამინათა ურთიერთობის მოუწესრიგებლობაა. შეიძლება სწორედ ეს მოუწესრიგებლობა იმის მიზეზი, რომ ვერ გქმნით

პარმონიულ სასოგადობებს. შეიძლება რეჟისორმაც სწორედ ამიტომ გაიმეტა ბოლომდე დ. კლდიაშვილის გმირები. მხედველობაში მსაქვს ბეგლარისა და პორფირის ურთიერთობა, ამგვარი სცენები სიტყვიერი მასალიდან შობილ ძალიან ზუსტ სცენურ ნოქმედებს. ამის საფუძველს კი თვის კლდიაშვილი იძლევა, მის ნაწარმოებებში ხომ მთავარი ადამიანთა შორის არანაშვალური, ახადმაფიური ურთიერთობაა და ეს ურთიერთობა რეჟისორმა ჩვენამდე შეტანაოვრული სახით მოიტანა. ჩვენ სცენაზე ხედავთ და-ძმის ურთიერთობას, ამ ურთიერთობის განვითარებას და ყოველივე ეს ზუსტ სცენურ გარემოში წარმოგვიდგება. როგორც რეჟისორს, ასევე მსახიობს (ა. ხერხაძე) ზუსტი ხიზის აქვთ მოძებნილი მოქმედების გადმოსაცემად და სასურველ შედეგსაც ადვილად. პორფირი მხოლოდ ერთხელ შესვრდას ოტისა და მის შურეაში ერთსა და იმავე დროს სინანულივ იგრძნობა, ტკივილიც და ისეთი გაბრაზებაც, რის გამოც ეს პრაქტიკული, საქმიანი აკაცი ჩვენს თვალში მცირდება. ეს არის გმირის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის რთული პროცესი. როცა ჩვენ ამგვარ სცენას ვუყურებთ, ჩვენს შეგნებაში გამოვჩაგრებთ ამირის მიერ შექმნილ სახეს, საკმეზმარული პორფირის სახეს. შემდეგ კი, როცა მას ბეგლარ ჭიჭინაძის სახლში ვხედავთ, ჩვენ უკვე დამონტაჟებული გვაქვს მისი შინაგანი ბუნება, მისი ფიზიკური მდგომარეობა და ეს პროცესი გვაძლევს სწორედ იმას, რისი ნახვაც ვესურს, რისთვისაც მასურებლად ვიწოდებით.


მინდა შევეხებოდი ერთ საკითხს. ეს გახლავთ სკანის მხატვრულად გაფორმება. დღის ჩინ ბეგირი ნიჭიერი მხატვარი გვაყვას და სკანის გაფორმების დონეც დიდად ამაღლდა. ამჟამად თეატრში მხატვარი მარტო რეჟისორის ჩანაფიქრის განმხორციელებელი კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი შემოქმედიც, რეჟისორის თანავეტორიც.

აკაკი ბაქრაძე (კრიტიკოსი) — ქუთაისის თეატრის ვასტროლოგის შედეგების განხილვა მე საინტერესო დონის-

ტივად მიმაჩნია, რადგან ჩვენ შეგვიძლია ეს მსჯელობა ფართოდ გაგვშლით და მთელი ქართული თეატრული ცხოვრების საჭირობოტო საკითხებს შევხებით — სულერთია, სად მოლაწევებს ეს თეატრი — თბილისში, ქუთაისში, მანარაძეში, ზუგდიდში თუ თელავში. როგორც ყოველთვის, დღესაც ქართულ თეატრს დიდი და სერიოზული პრობლემები აქვს გადასატრელი. ეს პრობლემები სერიოზოტო ყველა თეატრისათვის და ამდენად კონკრეტულად ქუთაისის თეატრისათვისაც.

ჩემი ზოგადი დამოკიდებულება იმ სპექტაკლების მიმართ, რომლებიც ქუთაისის თეატრმა თბილისში ჩამოიტანა, ერთი ფორმულით, ერთი წინადადებით რომ ჩამოგვყალიბო, ასეთ რაშეს ვიტყვი: ყველაზე მეტად მომეწონა „შთამომავლობა“ და ყველაზე ნაკლებად „დადოსტატის მარჯვენა“. დანარჩენი სპექტაკლები ჩემთვის ამ ორ სპექტაკლს შორის გასდგავდა. ახლავე შევივლები ავისხნათ რატომ მომეწონა მე ყველაზე მეტად „შთამომავლობა“ და ყველაზე ნაკლებად „დადოსტატის მარჯვენა“. ამის შემდეგ ალბათ გასაგები იქნება ჩემი დამოკიდებულება სხვა სპექტაკლებისადმი. „შთამომავლობა“, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ მომეწონა, რომ პიისის ავტორმაც და თეატრმაც ამ სპექტაკლში დასაყის ისეთი საჭირობოტო და მტივიწეული საკითხები, რომლებიც ჩვენს სასოგადოლებს აწუხებს. ეს საკითხის ერთი მხარეა, მეორე — აქტიოვრული შესაძლებლობის თვალსაზრისით სპექტაკლი ათამამებუღია ძალიან ზომიერად, მარტლად, დიჭიანათ. აქ ვერ ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც წამოიძახებენ ამა თუ იმ სენტენიას, ამა თუ იმ წინადადებას და ცდილობენ ბაუა აწავებონ სხვებს, ანუ ერთი იყოს მასწავლებლის როლში, მეორე კი მოწიფისა. ამ სპექტაკლის გმირები მსჯელობენ, ათირობენ, სატვივარი სტაციავთ და შემაწუხებელი მოვლენები აწუხებთ. მათ აქვთ ნათლად გამოვლენილი გარკვეული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. და, ამავე დროს, პრობლემები, რომელთა გამოც ისინი მსჯელობენ, მნიშვნელოვანი და საინტერესოა. აი, ამიტომ მიიქცია ამ სპექტაკლმა ჩემი ყურადღება და, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში სხადასხვა ასაკის, სხვადასხვა გამოცდილების მსახიობები თამაშო-

სცენა სპექტაკლიდან „შთამომავლობა“



ბენ, მათი თამაშის საერთო ვაჟა, განწყობილება თანაბარია. არცერთი მთავანი არ არღვევს სპექტაკლის საერთო ქსოვილს. ამ თვალსაზრისით ეს სპექტაკლი გამომავლის არაა. იმ სპექტაკლებს კი, რომლებიც მე ნაკლებად მიმოვიხსნა, რეჟისორის ჩანაფიქრის საერთო ქსოვილს არცერთი მსახიობი არ არღვევს, თვით „დიდოსტატის მარჯვენაშიც“ კი. იგივე ითქმის აქ ყველაზე მეტად გაიტივტივებულ შილოერის „ყაჩაღებზეც“. სულ სხვა საკითხია ვეთანხმებით თუ არა ჩვენ იმ პრინციპს, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სპექტაკლი. მაგრამ არჩეულ პრინციპს მსახიობები არსად არ არღვევენ და არც ევლექტურბოა იგრძნობა მათ თამაშში. ყველაზე ნათლად ეს თვისება გამოვლინდა სწორედ „შთამომავლობაში“.

შემთხვევაზე ვიკვებ მოგახსენებ, თუ რის გამო მომეწონა ყველაზე მეტად „შთამომავლობა“, მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამავე სპექტაკლში გამოთქვნიდა ყველაზე ტიპური ნაკივი, რომელიც დღეს ქართულ ხელოვნებას გააჩნია — სულერიტა, მხატვრული ლიტერატურა იქნება ეს, თეატრალური ხელოვნება თუ ხელოვნების სხვა რომელიმე დარგი. სწორად ჩვენ ვებრძობით მანკიერ მოვლენებს და, ამავე დროს, ვაკეთებთ იმას, რასაც ვებრძობით. ზუსტად ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ სპექტაკლშიც. სწორედ იმას აკეთებენ ფინალში პიუხის ავტორი და თეატრის კოლექტივი, რასაც დასაწყისში ვებრძვიან. ყოვლად შეუძლებელია ეს სპექტაკლი ისე დამთავრდეს, როგორც სინამდვილეში თავდება. მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია იმ ტკივილებს, რაც ამ სპექტაკლმა ჩვენში გამოიწვია. წარმოადგენს ჩვენ ავადმელება, მოგვიწოდებს რადიკალსაყენ, თვითვე ჩვეულებრივ გამოიწვია ნერვოზი დაბალიანობა, შემდეგ კი დავგამვიწვია, გადმოვივიწვია დამაქრული სასრფო და გვიისხრა, არაფერი არ მომდარა, ყველაფერი კარგადაა, მართალია, ზებია მოვლდა, მაგრამ ავერ ახალი რძალი შემოვივია ოჯახში, ოჯახის წევრები ერთმანეთში მორიდებებიან და ყველაფერი კეთილად დამთავრდება. სპექტაკლის ფინალში ჩვენ ისეთივე ადამიანები აღმოვჩინებთ, რომელთა წინააღმდეგაც სპექტაკლი ილაშქრებს. — იმ ოჯახში, რომელსაც სცენაზე ვხედავთ, მას შემდეგ, რაც გურამი ჩამოვიდა და უთხრა მათ სინამდვილეს, უთხრა ვინც არიან და რაინც არიან, ყოვლად შეუძლებელია თანხმობა და ჰარმონია დამყარდეს, ან რაიმე ძალა გაბრძნდეს ისეთი, რომ მათ უშეშვლოს. ანდა, რა საჭიროა შევლა, ამ ოჯახის გადარჩენა. ამ ოჯახმა თავის ფუნქცია უკვე შეასრულა, შესარულა იმით, რომ ამ ოჯახში გაიზარდა კაცი, ვისაც სინამდვილის თქმის უნარი შესწევს. აი, ეს არის მნიშვნელოვანი, თორემ იმედი იმისა, რომ ოჯახის წევრებს შორის ჰარმონია დამყარდება — ტყუილია. სწორედ აქ ვამოვლდნა ის მოჩვენებებითი ნიღბი, რომელიც, სამწუხაროდ, მორგებულ აქვს სპექტაკლს. ეს ნიღბი უნდა მოიხსნას, ადამიანებს უნდა ვუთხრათ სინამდვილეს, უნდა ვუთხრათ, ის რასაც ვფიქრობთ, უნდა ვუთხრათ უშუალოდ, გულწრფელად, რადგან სწორედ ესაა ხელოვნების პირდაპირი დანიშნულება.

პირადად ჩემთვის სპექტაკლი დამთავრდა იქ, როცა გურამმა ზებია სურათი კედელზე გამოკრული სურათების გვერდით დაკიდა. მე არ ვიცი ეს დეტალი წინასწარ იყო ჩაფიქრებული, თუ მე მივანიჭე ასეთი წინმხედობა, მაგრამ

სცენის ამგვარ გაფორმებაში მე კიდევ ერთხელ დავინახე, თუ როგორ ემხარება გარეგნული გამომსახველი სახელებები რეჟისორის ჩანაფიქრს, მხატვრის მიერ ნაწარმოების ძირის გამხდობა, კვებეტაქტების შექმნა. მე ვუყურებდი პორტრეტებს, კედელზე ჩამოყრებივლ პორტრეტებს, რომელთაგან ბევრი სრულიად უნებო ადამიანებისა, ზოგიერთი კი ცნობილი ისტორიული პიროვნებისა, მაგალითად, ალ. ჭავჭავაძისა და ევკატერინე ჭავჭავაძისა. და უცვრად ასეთი აზრი გამიჩნდა. ნუთუ ალ. ჭავჭავაძისა და ევკატერინე ჭავჭავაძის საქართველო ამ ოჯახშიდ დავიდა და ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, სპექტაკლი აზრობრივად გაამდიდრა. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ რაიმე შემრიგებლურ ინტონაციაზე დამბარავი აქ არ შეიძლება. ჩემის აზრით, სწორედ ეს შემრიგებლური ინტონაცია ახასიათებს ამ სპექტაკლს და იგი უნდა ითხროს. ამის საშუალებას ეს სპექტაკლი იძლევა. მაშინ იგი იქნება მართალი, მკაცრი, შემრიგებლურ, სწორედ ისეთი, როგორც დასაწყისში იყო და რის გამოც მომეწონა.

ახლა მინდა მოვახსენებ, თუ რატომ არ მომეწონა „დიდოსტატის მარჯვენა“. „დიდოსტატის მარჯვენაში“, ჩემის აზრით, დადგეულია ნაწარმოების ძირითადი აზრი, ის ფიქრია, ტკივილიანი დამოკიდებულება ხელოვნანის ბედისადმი, რაც სპექტაკლის პროზაულ ვარიანტს ახასიათებს. ამიტომ მისი გაყენებულება ძალზე სერიოზულ შრომას მოითხოვდა. კ. გამასხურდიას პროზის დახასიათებელი თვისება, ჩემის აზრით, ანტითეატრია. ამიტომ მისი დამსუშვების დროს მეტი ინიციატივა, მეტი აქტიურობა უნდა გამოვეჩვიო. ამ შემთხვევაში არ უნდა მოვირდებოდით იმას, რომ რომანის ავტორი ქართულ ლიტერატურაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ჩვენ ვეხმობით სრულიად ახალ სცენურ ნაწარმოებს და ამიტომ თავისუფლად უნდა მოვექცეთ დასამუშავებელ მასალას, თავისუფლად უნდა გამოვიტანოთ იგი სცენაზე, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა, კ. გამასხურდიას ნაწარმოებისადმი ერთგულება კი არა, არამედ ახალი სცენური ნაწარმოების შექმნაა. ამიტომ უნდა ყველაფერი, რაც სცენისათვის იმუღებელია, ჩვენ მისთვის ყველა მოვლავდებინა. კ. გამასხურდიასათვის, როგორც მწერლისათვის, დამახასიათებელია ერთგული შინაგანი პათოსი, რაც ძალიან ასახეუნიერება ჟღერს სცენაზე. მეორედ, კ. გამასხურდიას ნაწარმოებში დიალოგი ინიციათა, იგი ვრცელდება დიალოგს, ცდლობს საკუთარი სიტყვით გადმოგვეცეს პერსონაჟის გუნებაგანწყობილება, მათი ურთიერთდამოკიდებულება, ხოლო როცა იგი დიალოგს იმართავს, ეს დიალოგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურულ-ხელოვნურ ელფერს ატარებს. რაც ძალიან ძნელი მოსამშენია სცენიდან, რადგან მას არ გააჩნია სასაუბრო ინტონაცია. ამის გამო მსახიობი იძულებული ხდება ილაპარაკოს დეკლამატორივით, იგი დეკლამაციის მიზნით გამოდის სცენაზე და არა იმისათვის, რომ სასაუბრო ინტონაციის მეშვეობით შექმნას ინტონაცი ვითარება, რაც ასე აუცილებელია მოქმედ გმირთა შორის კონტაქტების დასამყარებლად, კონფლიქტების შესაქმნელად აქტიურულ ხელოვნებაში ხომ მართლაც დიდად საინტერესოა, როგორ იქმნება სცენაზე ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, შინაგანად ერთმანეთის გავება თუ ერთმანეთისადმი

დაპირისპირება. ამიტომ უფრო თავისუფლად უნდა მოვიცი-  
დებოდით ჩვენ კ. გამასაბურღიას რომანს, უფრო მეტად უნ-  
და დავერდებოდა იგი და დავეწინაწერებინათ. მხოლოდ ამის შე-  
დეგად მივიღებდით მნიშვნელოვან, შინაგანი ტკივილები: გა-  
მასაბურღელ სცენურ ვარიანტს. ამის საშუალებას კი რომანს  
იძლევა. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ნაოლადა გამოკვეთი-  
ლი მტკივნეული საკითხები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას  
აწუხებს. ხელისუფალსა და ხელოვან შორის არსებობს მა-  
რადიული წინააღმდეგობა, რომელიც არასდროს არ აღმოი-  
ფხვრება. გამარჯვებული მხოლოდ მამონია ხელოვანი, როცა  
თავის მრწამსს დატყვევებდა. დავა, რომელიც გიორგი მე-  
ფესა და არსაკიძეს შორის მიმდინარეობს, მარადიული დავა.  
ჩემის აზრით, სპექტაკლში ეს დავა უკანა პლანზეა გა-  
დაწეული. ამის გამო ძირითადი ხაზი ისე ვერ გამოიკვეთა,  
როგორც საჭირო იყო. ამიტომ ვარ მე პირადად ინსცენირე-  
ბის კატეგორიული მოწინააღმდეგე. თუმცა, ისიც მოგეპოვებო-  
ბათ, რომ რუსთაველის თეატრის ხშირად მიმართავს პირო-  
ვნული თუ პოეტური ნაწარმოებების ინსცენირებას, რაც ჩვე-  
ნი სიღარიბის შედეგია. მე იმიტომ ვილაშქრებ ინსცენირე-  
ბის წინააღმდეგ, რომ არსებობს ხელოვნების სპექტაკლური  
ფანრი — დრამატურგიული ხელოვნება, რომელსაც მკვიდრად  
დასოვივდით თავისთვის ისევე აქვს და მისი გარდაქმნა,  
მისი რაღაცასთან შედგება ყოვლად შეუძლებელია. პროზაუ-  
ლი თუ პოეტური ნაწარმოების ინსცენირება ყოველთვის უარ-  
ყოფით შედეგს იძლევა, თუნდაც იგი შესრულებული იყოს  
მეტი პროფესიული დონეზე და მაყურებლის მოეწონოს. ინ-  
სცენირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ჩვენ  
საინტერესო სახელისაგან მივიღებთ სრულიად ახალ დრამა-  
ტულ ნაწარმოებს, დაახლოებით ისეთს, რაფორიცაა „ჩალი  
კამელიებით“. სხვა შემთხვევაში კი ჩვენ შეერთებული ძალით  
უნდა ვებრძოდოდით გასცენირებას, რადგან ამგვარი საცენ-  
იზურება პირადად მე კომპრომისად მიმართავს. ჩემი ეს შეხე-  
დულება ვერცდღებდა „სტუმარ-მასპინძელსაც“, „ქუშუშაძის  
გატორებაზეც“ და სხვა ინსცენირებულ სპექტაკლებზეც. ყვე-  
ლა მათგან გააჩნია ის ხარვეზები, რომელთა შესახებ ზემოთ  
გვეთქვა საუბარი. ჩემი სურვილია, რომ ქუთაისის თეატრ-  
მა მეტი თავგადაცა, მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს ინსცე-  
ნირების დროს, ანდა თუ უამისობა არ იქნება, საინტერესო  
მასალის საფუძველზე შექმნას ახალი მნიშვნელოვანი პიესა.

ჩემთვისაც და მაყურებლისათვისაც ძალიან სასიამოვნო  
იყო ის გარემოება, რომ ქუთაისის თეატრი ცდილობს რეპერ-  
ტუარი ქართული მასალით შეავსოს. ამ მიმართულებით უნ-  
და მივიღოთ ყველა ქართული თეატრი. ქართული თეატრის  
რეპერტუარი უნდა იყოს ერთფედიც და თანამედროვეც. შე-  
იძლება თანამედროვე ქართული დრამატურგია არ იძლევა  
ამის საშუალებას, მაგრამ მაინც დიდად მისასალმებელია,  
რომ ქუთაისის თეატრი ცდილობს გველაპარაკოს ამ მტკი-  
ვნეულ საკითხებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენგან მოი-  
თხოვს გადაწყვეტას. ამიტომაც ახდენს სასიამოვნო შთაბეჭ-  
დილებას „დიდა ენა“ 100 წლისაა“. აქ გამოყენებული მასა-  
ლა, აქ დასმული საკითხები იმიტომ გვხვდება გულზე, რომ  
ყოველი ჩვენგანისათვის მტკივნეულია და ასეთადაც დარჩება

კიდევ კარგა ხანს, რადგან ისინი იოლად მოსაგავარებელი და  
გადასაწყვეტი არაა.

ჩიხუტდავად იმისა, რომ სპექტაკლები ინტონაციით ძა-  
ლიან განსვადებდა ერთმანეთისაგან, მაგალითად, „ყაჩაღე-  
ბი“, „მე, ბები, ოლეო და ილარიონის“ ან „შთამთავლო-  
ბისაგან“, ანსამბლურობის თვალსაზრისით ამას მნიშვნელობა  
არა აქვს: მთავარია პრინციპი, მასალასთან დამოკიდებულება  
არაა პრინციპი. „ყაჩაღები“ მაგალითად, თუ ეს გამოთქმა მე-  
ტრისმეტად მკაცრი არ იქნება, ცრუპათეტუკურია, სხვა შემ-  
თხვევებში კი ცხოვრებისადმი დამოკიდებულება გასლავთ  
ადამიანური, შინაგანი ტკივილების გამოშხატველი, ისეთი,  
როცა ადამიანები ადამიანურად გვესაუბრებიან თავიანთ ბე-  
დნიერებაზე და უხედურებაზე. „ყაჩაღებიში“ სპექტაკლის  
წარმატებას ცრუპათეტუკა უშლის ხელს, თორემ ჩვენ თუ მი-  
ვიღებთ, გავიზიარებთ ამ პათეტუკას, ანსამბლურად სპექტა-  
კლი მთლიანად და პარნიულია. მაგრამ მე, როგორც მაყურე-  
ბელი, სწორედ ამ ცრუპათეტუკის წინააღმდეგ ვარ, არ მინ-  
და მისი მიღება, რადგან ამ პათეტუკას ჩვენ ცრუ მიმართუ-  
ლებით მივავართ, ხელს გვიშლის, გვაკუნძულებს და ამიტომ  
დღეს თეატრი ამგვარ რაბეს უნდა ებრძოდოს.

ალექსანდრე მალუტაშვილი (თეატრმცოდნე) — ქუთაი-  
სის თეატრი ქართულ თეატრებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო  
და ამიტომ მის მიმართ მომხიბვლელი, შეუწყნარებელი  
უნდა ყოფილიყო და დღევანდელი მსჯელობაც სწორედ ასე წარ-  
მართავს. სხვაგვარი დამოკიდებულება ისეთი პროფესიული  
დასის მიმართ, როგორც ქუთაისის თეატრს ჰყავს, შეურა-  
ცხმყოფელიც კი იქნებოდა.

ქუთაისის თეატრის გასტროლების შესახებ აქ ბევრი სა-  
ფუძვლიანი აზრი გამოითქვა, მე მხოლოდ ერთ საკითხზე შე-  
ვაჩერებ თქვენს ყურადღებას. აქ ლაპარაკი იყო თეატრის  
სტილისა და ესთეტიკაზე. საერთოდ, თუ თეატრის ისტორიის  
თვალს გადავავლებთ, კაცობრიობის თეატრალურ ცხოვრება-  
ში ახალი სტილის, ახალი ესთეტიკის წარმოშობა წყლით  
დაფარულ ოკეანეში აქა-იქ ამოწვილი კუნძულებს ჰგავს. ახა-  
ლი სტილი და ესთეტიკა არ იქნებოდა ასე. მიიღო დროის  
მანძილზე. ამისათვის საჭიროა ახალი თვალსაზრეობა, ახალი  
მსოფლმხედველობა, ასეთი რამ კი ახალი ისტორიულ ქარ-  
ტხილებს, კაცობრიობის მძაფრ შეზღუდვებს და არა თეატ-  
რალურ შთაგონებას და თეატრალური ხელოვნების განვითა-  
რების კანონებს. ამიტომ დღევანდელი ჩემი მთავარალური  
ხელოვნება იმით უნდა დაემაყოფილებდეს, რის შესაძლებლო-  
ბაც აქვს. პირადად მე მირჩენია ენაში იმ თეატრის სპექტაკ-  
ლი, რომელიც თავის ნიადაგზე დგას და დგას მყარად, ვიდრე  
იმ თეატრისა, რომელიც შთაგონებას თუ თეატრალურ-  
ი ხელოვნების განვითარების კანონებში იძებს ახალ სტილ-  
სა და ახალ ესთეტიკას. ასეთი თეატრი ხშირად კი არა, თი-  
თქმის ყოველთვის ეფიგონოს როლში აღმოჩნდება და ამ იპი-  
ნოურ მიზეზს ვგასაუბრებ როგორც სახალისო, აღმორჩინას.  
მაგალითად, ისეთ სპექტაკლში, როგორც „ყაჩაღები“, პრი-  
ნციპული სასიამოვნო მოვლენასთან გააქვს სახე და არა პიე-  
სის კარგად თუ ცუდად გათამაშებასთან. მართალია, ამ

სპექტაკლი ვხედვით საინტერესო მიგნებებს, სცენურ ორგანიზაციას, სწორ სტილისტურ ჩარჩოებს, მაგრამ მასში არის რეციდივები, რომლებიც შეიძლება ძალიან მაცდუნებელი აღმოჩნდეს ახალგაზრდობისათვის. შეიძლება „ყაღალების“ დადგმას შეუმჩნევად ჩაელო რთულიმეტრ სუბტექსტუალური თეატრის სცენაზე, მაგრამ როცა ეს პიესა იდგმება ისეთი დიდი თეატრის სცენაზე, როგორც ქუთაისის თეატრი, ეს უკვე საგანგაშოა. ჩემის აზრით, დიდი კლასიკური ნაწარმოების აღმადგენია, ანუ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით მისი შეკვეცა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ძველი სამოსილის თანამედროვე ცხოვრებაზე შორგება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ნაწარმოების აზრში, შესაბამის ფორმებში გაცხადებას, ხოლო ის სიხსენებები, რასაც ქუთაისის თეატრის სცენაზე ვხედავთ, მთლიანად თვითმიზნურ სახისადაც ატარებს და იმასაც კი მაფიქრებინებს, რომ რეჟისორს შეიძლება პიესა მთელი სიგრძე-სიანართი არც კი აქვს გააზრებული. ანაქრონიზმად მიმაჩნია ამ სპექტაკლის მუსიკა, ეს ისეთი შეუპაპარბოა, რომ ვერაფერია კრიტიკას ვერ უძლებს. სრულად გაუგებარია ცეკვები, ცეკვების ის მოდერნიზაცია, რომელიც ამ სპექტაკლშია გამოყენებული. მართალია, ეს ეპიზოდური მოვლენაა, მთლიან სურათს არ ქმნის, მაგრამ სწორედ ესაა ის მაცდუნებელი ხერხები და საშუალებები, რომლებიც ორგანოდ არ შემოდის სპექტაკლში. სპექტაკლის სტილისტიკა კი არ მოითხოვს ამას, არამედ სხვა თეატრებისაგან მიღებული შთაბეჭდილებებით ვიკვებებით და გვერნია, რომ ასე გათამაშებული სცენების სისრულე შემოგვაქვს სცენაზე. ყოველივე ამას პრივილეგიური მიხედვითაა აქვს და ამიტომ ვუსვამ განსაკუთრებით ხაზს. ხელოვნებაში ყველაფერი სხვადასხვა, შევიკითხა ყოველგვარი ფორმა გამოვიყენოთ, ყოველგვარი ნაწარმოები დადგათ, არა დიდ ავტორიტეტთან არ უნდა გვერთვინო საქმე. სპექტაკლი აზრობრივად გამართლებულია, თუ იგი ახალი ხიდეა წარსულსა და თანამედროვეობას შორის. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ფორმები მოდის ეპიკური თეატრიდან, სადაც რეჟისორი მყარდება ცივ წყალს ასხამს თავზე იმისათვის, რომ ყურადღება მიაცქვიროს ტრადიციულ ხერხებიდან გადახვევაზე, იმ სიხსენებზე, რაც ამ სპექტაკლში შემოიტანა. როდესაც მე ამას სცენაზე ვერ ვხედავ, ახალი ხერხები და საშუალებები თვითმიზნურ, გამაღიზიანებელ მოდერნულობად მიმაჩნია. სხვა საკითხია, როცა დღევანდელი ინტელექტუალური დრამა ხელს ძვირფას ყველაზე ცნობილი სიტუეტს და მას იმდენ უღელტეხილს გადაატარებს, ისე გაძარცვავს და შემოსავს, ისეთი კუთხით შემოაბრუნებს, როგორისთვისაც მანამდე მონაბრუნე კაცს ყურადღება არ მიუქცევია. ამიტომაც ჰქვია მას ინტელექტუალური დრამა. ქუთაისის თეატრმა კი მიღერის სოციალური ტრედიცია დაივიწყა ჩვეულებრივ დრამამდემიტომაც ისმება კითხვა, დღეს ჩვენ წინ მივუძღვით ქართულ თეატრს თუ უკან მივანახალბეთ? აქ რომანტიკაში კი არაა საქმე — რომანტიკა და რომანტიკაში ერთიმორერი არ უნდა აფურთხო — აქ ჩვენ საქმე გვაქვს შეუფერებელი ხერხებითა და საშუალებებით — ტრადიციულიდან გადახვევის, ცხელთან, მაგრამ სანამ იმ დენმდე ვერ ავსულვართ, რა დო-

ნეც სჭირდება ძველის გადაფასებას და ახლის დამკვიდრებას, ასეთი ცდა ყოველთვის მარცხით დამთავრდება.

ბადრი კობახიძე (თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის შოადგილე) — ჩვენ დღეს აქ იმისათვის შევიყარეთ, რომ გულწრფელად ვილაპარაკოთ ქართული თეატრის საბჭოთაობის საკითხებზე, გავანალიზოთ, განავსოვალოთ ავიც და კარგად და აღმოვფხვრათ ის ხარვეზები, რაც დღეს ხელს გენოლის შემოქმედებით შრომად, კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი გადავადგათ უკეთესი მომავლისაკენ. აქ ლაპარაკი იყო თეატრის ორიენტაციაზე, სტილზე, ყოფით და ინტელექტუალურ სპექტაკლებზე, მაგრამ თითქმის არაფერი თქმულა მსახიობის მუშაობის თავისებურებაზე, იმ ტექნოლოგიაზე, რაც აუცილებელია სცენაზე მოქმედებისათვის, როლის შესრულებისათვის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ თეატრციოდენტები არ იცნობენ მსახიობის მუშაობის ტექნოლოგიას, ეს საკითხი კი მსჯელობისა და ანალიზის საგანი უნდა გახდეს.

აქ ნათლად გამოიკვეთა ორი ტენდენცია — ზოგი სპექტაკლი ერთხმად იყო აღიარებული როგორც თანამედროვე, აქტუალური, სადაც მსახიობები უშუალოდ, დამაჯერებლად, ოსტატურად ასრულებენ თავიანთ როლებს და რიგი სპექტაკლებსა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს, სადაც მსახიობები ვერ დგანან თავიანთ სიმადლებზე, ვერ გვაჯერებენ, ვერ გვაღებებენ. ჩემის აზრით, მსახიობს ამაში ბრალი არ მიუძღვის. ყველაფერი დამოკიდებულია მასალაზე, რას აწვდის, რის თამაშს მოითხოვენ მსახიობისაკენ. აქ საუბარი იყო რომანტიკაზე. რომანტიკაში შეიძლება თავისთავად აუცილებელი და საჭიროა, როცა იგი ნამდვილია, მაშინ იგივე დასრულებულია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ცნურომანტიკითან, ფსევდორომანტიკითან. სწორედ ეს არ აძლევს მსახიობს შესაძლებლობას იყოს უშუალო, დამაჯერებელი. მისგან მოითხოვენ მეტ ემოციურობას, მეტ გამოხმატეგლობას ექ, სადაც მასალა ამის საშუალებას არ იძლევა, სადაც საგრძობით და გამოსახატავი თითქმის არაფერია და ამის გამო მსახიობი იძულებულია მიმართოს კითხობიდან ამაღლებულ, მაგრამ სინამდვილეში ყალბ პოსტიკას. ამის რეციდივები ქუთაისის თეატრის სპექტაკლებშიც საკმაოდ ხშირი იყო.

მაგრამ, აბა, ნახეთ იგივე მსახიობი სხვა სპექტაკლში, თუნდაც „ქამუშაის გაჭირებაში“, სადაც იგი ბუნებრივ გარემოში, სადაც ნამდვილ ტკივილი და ნამდვილი სიხარული სუფილე, სადაც ყველაფერი შენია და შენგანვე მოითხოვს მართლად პასუხს. ასეთ შემთხვევაში მსახიობი, რომელიც ფსევდორომანტიკულ სპექტაკლში ყალიბი იყო, უადრესად გულწრფელი, უშუალო და დამაჯერებელია. აი, ამის შესახებ უნდა გველაპარაკა აქ საფუძვლიანად, უნდა გველაპარაკა რეჟისურაზე, ცალკეული მსახიობის ოსტატობაზე, თეატრალური ხელოვნების ზოგად საკითხებზე კი არა, კონკრეტულად ქუთაისის თეატრის სადამდგომლო და მსახიობობა ოსტატობაზე. ამ საკითხის განხილვა ვიდალება უნდა აი-



ლო თავის თავზე, დაესაბუთებინა ჩვენთვის რა წარმატებები აქვს და რა აკლია ამ მხრივ ქუთაისის თეატრს. და როცა ეს ყველაფერი ერთად მოიყრიდა თავს, შეფასებოდა, ეს იქნებოდა ჩვენი დღევანდელი თავყრილობის დადებითი შედეგი. ეს შედეგი მაშინ იჩინა თავს, როცა ქუთაისის თეატრი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდება, პირველ რეპეტიციასზე შეიკრება და გადაწყვეტს, რომ მის მიერ არჩეული ჯგუფი სწორია და ამ გზით სიარული მათ კიდევ უფრო დიდ წარმატებებამდე მიიყვანს.


მიწრბი ძამპარამ (ქუთაისის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი) — მე არც იმის განმეორებას ვაპირებ, რაც აქ ითქვა და არც გამოსული ამხანაგების სიტყვის შეფასებას. მე მინდა ჩემი სათქმელი რამდენიმე პუნქტად ჩამოვყავლიყო. უპირველეს ყოვლისა, მოხარული ვარ, რომ აქ გაიმართა საქმიანი, სერიოზული, ფართო კამათი ჩვენი თეატრის ორიენტაციაზე, სტილზე, ტენდენციებზე, ფილოსოფიურ აზროვნებაზე, სიტყვა ფილოსოფიურს მე აქ პრეტენზიული თვალსაზრისით კი არ ეხმარებ, არამედ მოხანდასხსულად. ჩვენ უნდა დავდეთ სერიოზული სპექტაკლები როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც. ჩვენ უნდა წამოგვტაროთ ის პრობლემები, ის მტკივნეული საკითხები, რომელთა დასმასა და, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, გადაწყვეტასაც ჩვენგან ჩვენი თანამედროვეობა მოითხოვს. მაგრამ სპექტაკლისადმი სერიოზულად მივდგომა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კარგ შედეგს მივალწვეთ. აქ მთავარია ორიენტაცია, იმ მიმართულებით სიარული, რა მიმართულებასაც ცხოვრება გვკარნახობს. აი, აქ ა. ბაქრაძემ ჩვენი სპექტაკლები ორ უკიდურესობას შორის მოაქცია, ყველაზე მეტად მოეწონა „შოამომავლობა“ და ყველაზე ნაკლებად „დიდოსტატის მარჯვენა“. მისი აზრით, „შოამომავლობა“ გამოხატავს თეატრის საუკეთესო ტენდენციებს, ხოლო ისეთი სერიოზული სპექტაკლი, როგორიცაა „დიდოსტატის მარჯვენა“, ამავე თვალსაზრისით მისთვის მიუღებელია. ჩვენ, რა თქმა უნდა, თანაბარი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მივუდევით ორივე სპექტაკლს, გვინდოდა ერთიც კარგი გამოსულიყო და მეორეც და თუ რაღაც ისე არ გამოვიდა, როგორც ვათვალისწინებელი გქონდა, ეს უკვე ჩვენი შესაძლებლობის შედეგია და არა სპექტაკლისადმი მეტნაკლები ყურადღებისა.

ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ იმით, რომ ასე სრულად წარსდგებით თბილისელი მაყურებლის წინაშე, კმაყოფილი ვართ ჩვენი სპექტაკლების მიუკერძოებლად, ობიექტურად შეფასების გამო, მაგრამ აქვე მინდა საყვედურიც გამოვთქვა ნუთუ არ შეიძლებაოდა ქუთაისის თეატრის მსახიობთა თამაშის უფრო კონკრეტულად, ანალიტიკურად, დეტალურად შეფასება. ეს ხომ დიდ სარგებლობას მოუტანდა მათ! მსახიობი ხომ გულისყურით უსმენს ყველას, ვინც მის შემოქმედებას იხილავს. ამას მე გულისტკივილი მაღაპარაკებს, რადგან მსახიობს მეტი ყურადღება, მეტი დაფასება სჭირდება.

აქ ილაპარაკეს ჩვენი დღევანდელი დღის საკრებორობაზე მტკივნეულ საკითხებზე და ხელოვანისაგან, კერძოდ კი თეატრალური ხელოვანისაგან მოითხოვს სიმართლის გაბედულად თქმა, ჩვენი ეროვნული პრობლემების წინა პლანზე წამოწევა, მამებლობის უკუდგება და უკომპრომისობა, რაშიც მე მთლიანად ვეთანხმები როგორც ა. ბაქრაძეს, ასევე სხვა ამხანაგებს. ჩვენ ამას ყურად ვიღებთ და ვეცდებით ვიყოთ მართალნი, უკომპრომისონი. ჩვენ სხვისი, გარეშე პირის სახელით კი არ უნდა ველაპარაკოთ ხალხს, არამედ, თანამედროვე ქართველი კაცის სახელით და ველაპარაკოთ იმაზე, რაც მას აწუხებს, რაც უკვე მომწიფებულია სცენაზე გამოსატანად. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, საით წავიდეთ, რა ორიენტაცია ავირჩიოთ იმისათვის, რომ უფრო თანამედროვენი, უფრო აქტიურნი ვიყოთ.

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის, რეჟისორის პასუხისმგებლობაზე. მე სასებით ვეთანხმები აქ გამოსულ ამხანაგებს, რომ თეატრში ყველაფერზე პასუხს უნდა აგებდეს მხატვრული ხელმძღვანელი ან მთავარი რეჟისორი. არავის არ აინტერესებს, რა ხდება თეატრის შიგნით, მისი ლაბორატორიული მუშაობა, მთავარია, რას ვუწვევებთ მაყურებელს, რა ხარისხისა და მნიშვნელობის სპექტაკლი გამოგვაქვს სცენაზე. შემთხვევით ჩვენ არაფერს არ უნდა ვაგვივებდეთ, არ უნდა ვდგამოდეთ ისეთ სპექტაკლებს, რომელთაც თეატრის საერთო ორიენტაციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენ კომპრომისი მაშინ დავუშვით, როცა „ყარაღები“ საგასტროლო სპექტაკლების სიაში შეიტკანეთ.

სპექტაკლები, რომლებიც ჩვენ თბილისში ჩამოვიტანეთ, ბოლო ორი წლის მუშაობის შედეგია. გვინდა ჩვენი რეპერტუარი კიდევ უფრო გავამდიდროთ ქართული თეატრით, დეგამთ შექსპირს, ჩეხოვს. საშუალო ბევრი გვაქვს, შევღებს კი მომავალი გვიჩვენებს.



# ნათელა იანქოშვილი

მარინე კერესელიძე


ღმსს, როდესაც საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს ნათელა იანქოშვილს 60 წელი შეუსრულდა, ხოლო მისი ინტენსიური, დაძაბული ძიებებით აღსავსე მოღვაწეობა სამ ათეულ წელს მიუახლოვდა, მკაფიოდ წარმოგვიდგა ამ მეტად თავისებური ხედვის მქონე ხელოვანის შემოქმედებითი პოზიცია, გამოიკვეთა მის მხატვრულ მონაპოვართა გამაერთიანებელი ნიშნები.

ნ. იანქოშვილის შემოქმედებას ჩვენი საზოგადოებრიობა პირველად ომის შემდგომ წლებში გაეცნო. ნიჭიერი ფერმწერისა და გრაფიკოსის ნამუშევრებმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ტექნიკურ და კოლორისტულ ძიებათა ორიგინალობით. სწორედ ამ ძიებათა პროცესში ყალიბდებოდა ის ესთეტიკური კონცეფციები, ის სტილისტური სისტემა, რომელიც ნ. იანქოშვილის შემოქმედების საფუძვლად იქცა და რომლის სათავე ეროვნული კლასიკური ფერწერის ტრადიციებია, მხატვრის მიერ თანამიმდევრულად ათვისებული, საკუთარი აზროვნების პრიზმში გარდატეხილი და

თანამედროვე ფორმაში განსხეულებული.

ნ. იანქოშვილისადმი მიძღვნილ ვრცელ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა მისი შემოქმედების მემკვიდრეობითი კავშირი ნიკო ფიროსმანაშვილის ხელოვნებასთან. ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული შემოქმედებითი ხედვით იგი მართლაც უახლოვდება დიდ მხატვარს და ამავე დროს შორდება მან თავისი მხატვრული ინტერესებით, ამოცანებითა და განწყობილებებით. ნათელა იანქოშვილმა შექმნა საკუთარი სამყარო, რომელიც თავისებური სურნელებით და მკვიდრდა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში, ორიგინალური ფერწერული ხმირებით შეერწყა მას.

შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე გამოვლინდა ნ. იანქოშვილის უანრულო მიდრეკილებები. მხატვრის პირველივე პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც 1960 წელს მოეწყო აკართველოს სურათების გალერეაში, ცხადყო მისი დიდი ინტერესი პორტრეტის ხელოვნებისადმი. სწორედ ეს ჭან-



ჭვარი

რი გახდა წამყვანი ნ. იანჭოშვილის შემოქმედებაში, ამ ჟანრის ქმნილებებში ჩააქსოვა მან თავისი არტისტიზმი და ფერწერული ტემპერამენტის სიძლიერე. სამი ათეული წლის მანძილზე შექმნილ პორტრეტთა ვრცელი გალერეა, კონკრეტულ პიროვნებათა პორტრეტებსა და მხატვრის წარმოსახვით აღმოცენებულ სახეებს რომ აერთიანებს, საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ნ. იანჭოშვილის შემოქმედებით ძიებათა მიმართულებას, მისი ხელწერის ევოლუციას, იმ გზებსა და ხერხებს, რომლებზეც ირჩევს მხატვარი ამა თუ იმ კოლორისტული ამოცანის გადასაწყვეტად.

თავისი მხატვრული აზროვნებით ნ. იანჭოშვილი კოლორისტია. მისი ხელოვნების ძალა ძირითადად მის ნაწარმოებთა ფერწერულ, კოლორისტულ მეტყველებაშია. რაღა თქმა უნდა, მხატვარი დიდ ყურადღებას უთმობს ხაზის აიუსტებსა და მონდენილობას, ფორმის გამომსახველობას, მაგრამ ნ. იანჭოშვილი შემოქმედების საფუძველი მაინც ფერია. ნაწარმოების ყოველ, ყველაზე

უწვრილეს დეტალშიც კი იგი ფერის ემოციური ძალის გამოვლენას ცდილობს. ფერს აკიარებს მხატვარი ფორმადქმნადობის ძირითად ფუნქციას, ფერით აღწევს ნატურის ფსიქოლოგიურ დასახი-ათებას. ნ. იანჭოშვილი მუდამ ბეჯითად და გატაცებით ეძებს სურათის კოლორისტულ გასაღებზე, უდიდეს ყურადღებას უთმობს ფერთა შეხამების, მათი თანაფარდობის ამოცანას. იგი არა მარტო აგნებს სრულიად მოულოდნელ და ეფექტურ კონტრასტებს, არამედ ქმნის ამ კონტრასტების მთელ ჯაჭვს, რომელიც სურათს ურთიერთმოქმედ და ურთიერთგამამდიდრებელ ფერთა მრავალხმიან ქმნილებად აქცევს. ამასთანავე ნაწარმოების კოლორისტულ გამომსახველობასთან ერთად ნ. იანჭოშვილი ცდილობს მიაღწიოს ცოცხალი ფორმისა და ფაქტურის გადმოცემის მოხდენილი, პლატიკური, ექსპრესიული მონახით. მხატვარი წერს ფართოდ, მსუყვდ, პასტოზურად. საღებავების ეს სქელი ფენა ნ. იანჭოშვილის ტილოებზე ხან მძიმე ხავერდოვან, ხან კი გამჭვივრავლ, პაეროვან



ქსოვლად გარდაიქმნება, ხან მშვენიერი მანდილოსნის მეკრდა თუ მაჯაზე ძვირფას თვალად აკიაღდება, ხანაც მისი სახის სათუთი ნაკვთების სინაზეს შევავარსობიანებს. დე უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას მხატვარი ყოველგვარი დაწვრილმანების, დეტალური დამუშავების გარეშე, ფუნჯის ორი-სამი ზუსტი და მეტყველი მონასმით აღწევს.

სწორედ დეტალიზაციისა და ფერის დაქვემდებების უარყოფა, სამყაროს იანჭოშვილისკული ხედიდან რომ მომდინარეობს, განაპირობებს მხატვრის წერის მანერას, რომელსაც ფართო, თავისუფლად დადებული მონაპოვს უდევს საფუძვლად. მქედრი ფერადოვანი აკორდების შესაქმნელად ნ. იანჭოშვილი ხშირად უარს ამბობს სინათლის წყაროზე, ფორმის მრავალფეროვნების დეტალურ გამოვლენას რომ უწყობს ხელს. განათების პირობითობას ხელოვანის წინაშე დასახული ესა თუ ის მხატვრულ-ფერწერული ამოცანა განაპირობებს. ამ ხერხით მხატვარს ერთგვარი დეკორატიულობა შეაქვს ნამუშევარში. სწორედ მეტყველ ფერწერულობასთან შერწყმული დეკორატიულობა იქცა ნ. იანჭოშვილის ნაწარმოებთა ერთ-ერთ მხატვრულ თავისებურებად.

შემოქმედებითი გზის დასაწყისში ნ. იანჭოშვილს დიდი წარმატება მოუპოვა „წინო ტაგუაჰაძის პორტრეტმა“ (1956). კლასიკური ფერწერის ტრადიციასზე დაყრდნობით განსწორიებული ამ პორტრეტში ნ. იანჭოშვილმა შექმნა ხელშესახებად ცოცხალი და ამავე დროს ზემოწივრად ამაღლებული, კონკრეტულად ინდივიდუალური და ამასთანავე ზოგადდამიპირი ნიშნების მატარებელი სახე, რომელშიც ქართველი ქალის იდეალა განსხეულებულია.

ნატივად შერჩეულმა ფერადოვანმა გამამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა „წინო ტაგუაჰაძის პორტრეტის“ პოეტურ-რომანტიკული ამაღლებულობა, ფერთა მინიმალური რაოდენობით (ძირითადად შავი და მწვანე ფერები) მხატვარმა ნაწარმოების მდიდარ ფერწერულ ძვერადობას მიაღწია. ძირითადი აქცენტები გადატანილია მანდილოსნის სუდამამდგარ თვალბეზე, მის სახეზე, რომელიც მომზიბოვლი სითუთით ელვარებს მოღურჯო-მომწვანო და შავი ფერების გარემოცვაში. სახის განათებული ნაწილის ერთიანი მოვარდისფრო, ნიუანსირების გარეშე აღებული ტონი რბილად გადადის მომწვანო გამჭვირვარ ჩრდილებში. შავი კაბის მთლიანი ლტა ლამაზ სილუეტად გამოყოფს ქალის სხეულს ფონიდან და ამავე დროს დეკორატიული მომენტია შეაქვს კომპოზიციას. მაგრამ ეს სიბრტყობრივი დეკორატიულობა როდია. ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე, მხატვრის მაღალი ოსტატობის წყალობით, იქმნება რელიეფური ცოცხალი ფორმის არული ილუზია.

5. იანჭოშვილს ადრეულ ნამუშევართაგან

ყველაზე სრულად სწორედ „წინო ტაგუაჰაძის პორტრეტში“ იჩინა თავი იმ ესთეტიკურმა კონცეფციამ, მისი მხატვრული აზროვნების, მისი ხელწერის იმ თავისებურებამ, რომელმაც ტრანსფორმირებული სახით მხატვრის შემოქმედების პომდეწხო პერიოდების აუკეთესო ნამუშევრებში ჰპოვა განვითარება.

ადრეული პერიოდის ძიებებთანა დაკავშირებულ „ლალი ცვარლის პორტრეტი“, „ნურია“, „ლადო ავლიახის პორტრეტი“, ავტოპორტრეტი „შავი პალიტრა“, „ბელა მირიანაშვილის პორტრეტი“, „ლილი ძალილი“, „მამის პორტრეტი“, „იომა ჩოფიაშვილის პორტრეტი“. მასივლ პორტრეტულ დახასიათებასთან ერთად ეს ნამუშევრები ყურადღებას იქცევენ ფერწერულ ამოცანათა მრავალფეროვნებით, რომელთა გადასატრულად მხატვარი იმარჯვებს ზუსტად მივებულ კოლორისტულ გასაღებს.

ნ. იანჭოშვილის ადრეულ ნამუშევრებს შორის არ შეიძლება არ აღვიშოთ „მამის პორტრეტი“ (1959), რომელმაც საგამოფენო დარბაზში გამოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება. ამ პორტრეტის მაღალ მხატვრულ ღირსებებს აღნიშნავს თითქმის ყველა ავტორი, რომელიც ნათელა იანჭოშვილის შემოქმედებას უხეხია.

მოცისფრო-მიმწვანო ნახევარტონებისა და მომწვანო-შავი ტონების ნერვიული შენაცვლებით იქმნება ავტოპორტრეტ „შავი პალიტრის“ (1959) კოლორისტული საფუძველი, რომელსაც მხატვარი ფაქტად უფარდება ვარდისფერსა და ვერცხლისფერს და წმინდა ფერწერული ხერხებით ანიჭებს რომანტიკულ განწყობილებასა და ლირიკულ სინაზეს.

სხვა ხასიათის კოლორისტულ ამოცანას ისახავს ნ. იანჭოშვილი „იომა ჩოფიაშვილის პორტრეტში“ (1960), რომლის ფერადოვანი გამა შავია და ხავერდოვანი მწვანის მდიდრულ ძვერადობაზეა აგებული. შავით მოსილი ახალგაზრდა ქალის ფიგურა სილუეტად გამოიყოფა მომწვანო-მოშავო ფონზე. ყურადღება მილიანად მოდელის მკვეთრად განათებულ სახეზეა გადატანილი (ინკარნატი მომწვანო-მოყვითალო მონასმებითაა შესრულებული). სახასიათოს ხაზგასმით ამოწერს მხატვარი ირთი ჭრილის მქონე პირდაპირ მხორალ დიდრონ სეგანდა თვალზე, ამოწეულ ყვრიმალბეს, მეტყველ ბაგებს, ქნის მკაფიოდ ინდივიდუალიზებულ სახეს. საერთო კომპოზიციური და კოლორისტული სიმკაცრე და სისადავე დრამატულ ელფერს ანიჭებს ამ საინტერესო, ფსიქოლოგიურად გამომსახველ ნაწარმოებს.

წინო ტაგუაჰაძისა და ირმა ჩოფიაშვილის პორტრეტში გამოჩნდა ის მხატვრული აღლი, ზომიერების გრძობა და დიდი ოსტატობა, რომელსაც ნ. იანჭოშვილი შავი ფერის ხმარებისას ავლენს. შავი მის ტილოებზე დიდ ძალასა და ძვერადობას იძენს. ამავე ნაწარმოებებში დაისახა და ააგმოად


ორიგინალურად გადაჭრა მხატვარმა შავი და მწვანე ფერების ურთიერთშეხამების ამოცანა. ეს ურთიერთშეხამება, სხვადასხვა ვარიაციებში იქცა ნ. იანჭოშვილის ნაწარმოებთა ძირითად კოლორისტულ საფუძვლად, რომელზეც მხატვარმა ააგო საკუთარი ფერადოვანი სისტემა და საინტერესო ფერწერული კონცეფციები განავითარა.

ძიებებისა და ექსპერიმენტების პროცესში (ამ ვხაზე იყო ერთხელ მიგნებული ფერწერული ხერხის გამეორების, მისი თვითმიზნური გამოყენების შემთხვევები) გარკვეული სახეცვლილება განიცადა იანჭოშვილის ხელწერამ, თავი იჩინა მხატვრის სწრაფვამ განზოგადებისა და პირობითობისაკენ, მეტი სიმკვთრე შეიძინა ფერთა კონტრასტებმა, შეიცვალა სახის წერის მანერა. დროთა განმავლობაში მკაფიოდ გამოიკვეთა ნ. იანჭოშვილის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ფერწერულიობისა და დეკორატიულობის სინთეზის ახალ-ახალი წახანაგები.

ყოველი ახალი პორტრეტი ნ. იანჭოშვილისათვის ახალი ფერწერული თუ კოლორისტული ამოცანის გადაჭრასთანაა დაკავშირებული. შესაძლოა სწორედ ამიტომ მხატვრის პორტრეტულ ნაწარმოებთა ვრცელ გაღრუბაში დიდი ადგილი ღამაზე, მხოდენილ თეატრალიზებულ კოსტუმებში გამოწყობილ მანდილოსანთა გამოსახულებებმა აქვს დათმობილი. იანჭოშვილის ტილოებზე აღბეჭდილ მსახიობთა, მომღერალთა, მხატვრის ნაცნობ-მეგობართა ფერადოვანი სამოსი (რომელსაც მოდელის ხასიათიდან გამომდინარე გულდასმით ირჩევს თვით მხატვარი) მისი ინდივიდუალობისათვის აინტერესო ფერწერულ ამოცანებს უსახავს ველოვანს.

1965 წელს შესრულებულ „ლილის პორტრეტში“ იანჭოშვილმა მომწვანო-შავ ფონთან მოდელის ჭრელი, — წითელი, ყვითელი, ცისფერი, მწვანე ყვავილებით დარითული კაბის შეხამების რთული ამოცანა დაისახა. ამ ნამუშევრის სახეით სტრუქტურაში წინა პლანზე დეკორატიულობა იწვევს, მაგრამ მხატვრის ობიექტობის წყალობით დაძლეულია დეკორატიულობისათვის დამახასიათებელი სიბრტყობრიობა და ფერადოვან ყვავილთა ურთიერთგანლაგებით, ფერთა შეხამებით (შუქ-ჩრდილით მოდელირების გარეშე) მიღწეულია სხეულის ფორმათა მოცულობითობა. „ლილის პორტრეტში“ მკაფიოდ გამოვლინდა ნ. იანჭოშვილის სწრაფვა ფერის პირობითობისაკენ, მაგრამ აქ ყოველივე იაგა გამოვლიანებული და დამორჩილებული ფერწერულ ამოცანას, იმდენად დიდია თითოეული ფერის ფუნქციონალური დატვირთვა, რომ მხატვრის აზროვნებაში გარდატეხილი ყველაზე უჩვეულო დეტალიც კი დამაჯერებელი ხდება.

მკაფიო დეკორატიულობით იქცევის ყურადღებას



ნაჭურბანი ქალი

კრებიონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნაწარმოების კვანძს, მასში მიმოიღველი, ამალგულებელი ამბების მოულოდნელად ჩართვას, რათა მეტი ეფექტისათვის მიედგინა. ყოველივე ამის გამო დრამატურგმა ბოლომდე ვეღარ შესძლო ხასიათების სრულყოფილად დამუშავება, ამიტომაც, რომ ისინი ზწირად სქემატურნი არიან. კრებიონის შემოქმედება კლასიციზმის ტრაგედიის დრამატურგიის, კლასიციზმის სისუფთავის კრიზისის გამოხატავდა.

ისტორიული ცნობები ფარსმან მეფის შესახებ შემდეგს მოგვიხიბრობს: ასალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართლის მეფეები ძლიერნი იყვნენ. ისინი თავიანთი



სამხედრო ძლიერებით და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის მეოხებით თანხმდებოდნენ რომაელებს ურთიერთ „მეგობრობაზე“, რიაც თვითონ უფრო მეტად სარგებლობდნენ. ამის შედეგად ქართლ იზრდებოდა, ფართოვდებოდა, მტკიცდებოდა. რომაელებს საქართველოსთან სამხედრო კავშირი სჭირდებოდათ პართელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჩვენი წვლილთაღრიცხვის 35 წელს პართელებმა სომხეთი დაიპყრეს. რომაელებს არ ყოფილათ ძალ-ღონე მარტო გამკლავდებოდნენ პართელებს. რომის იმპერატორმა საქართველოსადამ დახმარება ითხოვა — მაშინდელ ქართლის მეფეს ფარსმან პირველს შემოუთვალა: ერთად გაავაყვით სონხეთი და პართელები და მეუ იქ მეფედ შენი ძმა მითრიდატე დასვიო. ფარსმან მეფე დათანხმდა იმპერატორს და შეუტია პართელებს. ბრძოლა სასტიკი იყო. ბოლოს პართელები იძულებული გახდნენ სომხეთი ქართველებისათვის დაეთმოთ. სომხეთმა სამეფო ტახტზე ფარსმანმა თავისი ძმა მითრიდატე დასვა.

მითრიდატეს მეფობა სომხეთში თითქმის თხუთმეტი წელი გაგრძელდა (ა. წ. აღრ. 35-51 წწ.). იგი დაიღუპა თავისივე ძმის ვერაგული საცეკილის გამო. ფარსმანის ვაჟს რადამისტს, არარჩეულბერიევი ძალ-ღონის ვაჟაკს, დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ის თურმე ხშირად ამბობდა: მა-მაჩნები იმდენად მოხუცდა, რომ ქართლის გაძლიერების ველარ უწყობს ხელსო. ფარსმანმა ეს რომ გაიგო, შეკრა. იფიქრა, შეიღობა შეიძლება ტახტი წამართვასო, ამიტომ გადაწყვიტა რადამისტისათვის ჩაგონებინა: წადი სომხეთში, ბიძაშენი ტახტიდან ჩამოაგდე და მისი ადგილი შენ დაიკავო. რადამისტს მოეწონა მამის ჩრევა. წავიდა სომხეთში, სადაც მოახვდა სომეხ დიდგვაროვანთა თავის მხარეზე გადაბირებადს, რის შედეგადც მამა-შვილმა მითრიდატეს ომი გამოუცხადეს და ბოლოს მოკლეს. სომხეთის სამეფო ტახტი რადამისტმა ჩაიგდო ხელში.

აღსანიშნავია, რომ შეშენილი ვითარება არც რომაელებს აწყობდა და არც პართელებს. ამას ისიც დამატა, რომ რადამისტის სასტიკი მმართველი გამოდგა, ხალხი აიმხდრა, აჯანყებულებმა მის ადგილსამყაფელს ალყა შემოარტყეს. რადამისტი იძულებული შეიქნა აცნობდა იკურობას.

ისტორიულ ცნობებში ისიცაა აღნიშნული, რომ ფარსმან მეფე განაგრძო ბრძოლა. მან 58 წელს სომხეთს მესხეთი შეუსია, შემდეგ რომაელებს დიდი დახმარება გაუწია აღმოსავლეთში. სანაცვლოდ, რომაელებმა სომხეთს რამდენიმე ოლქი ჩამოაჭრეს და ფარსმანს გადასცეს<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, მსკრორაში აღნიშნული ამბებისა და მოვლენების პირველი აღმწერი არის შესანიშნავი რომელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი (დაიბ. ა. წ. აღრ. დაახ. 54 წ. და გარდ. დაახ. 134 წ.), რომელსაც თავის ე. წ. „ანალებში“ გადმოცემული აქვს რადამისტისა და ზენობიას თავდასაცაველი. სომხეთის სამეფო ტახტიდან ჩამოაგდებულ რადამისტს და მისი ფეხმძიმე ცოლი, მითრიდატეს ქალიშვილი — ზენობია ცდილობენ თავს უშველონ მარჯვე ბედურებით, რომლებითაც ისინი იბერიისაკენ მიიქარაინ.

უკან მოსდევთ გააფთრებული მტერი. ზენობია ჯერ იტანს ყოველგვარ გასაჭირს, მაგრამ როცა ძლიერ ტვივილს ვეღარ უძლებს, ქმარს ემუდარება პატრიარქის სიკვდილით იხსნას იგი სამარცხსიონ ტყვეობაში. ცოლის დიდულოვნება ოლტაცებულ რადამისტი გაუხსნა ჩაიკრავს მას და ახსენებებს. შედეგ, შემოფრთხილი იმ ტანჯველი ახრი, რომ ზენობია მიტოვების შემთხვევაში სხვა ვინმეს ჩაუვარდება ხელში, გადაწყვეტს მოკლას იგი. ასეც იტყვეა. რადამისტის მახვილს ჩასცემს თავის ზენობიას და მის მხეულს მდინარე არაქსის ტალღებს გაატახს. იბერიაში მოსული პატრიარქი რადამისტი ცდილობს მამა, მეფე ფარსმან პირველი, თავიდან მოიცილოს და მცხეთის სამეფო ტახტზე თვითონ ავიდეს, მაგრამ ფარსმანი დაასწრებს და შვილს ბოლოს მოუღებს.

ტაციტუსის „ანალებში“ მოთხრობილი ამბებიდან ისარგებლა ფრანგმა დრამატურგმა კრებიონმა და შექმნა საინტერესო ნაწარმოები „რადამისტისა და ზენობია“. პიესის მიხედვით რაღაც სასწაულმოქმედების შედეგად გადარჩენილი რადამისტ და ზენობია იბერიის დედაქალაქ არტანისში, ფარსმანის სასახლეში არიან: რადამისტი — რომის ელჩის სახით და ზენობია — ისმენად სახელმწიფოელი. მათი ვინაობა არავინ იცის. რა მოხდა? თურმე, სასწაულებრივად გადარჩენილი რადამისტ სირიაში გაქცეულა, იქიდან რომში აყოფლმარეა მომზობილავ ზენობია ყველა მოსწონს. მისი ჩამოხალხობის შესახებ არავინ არაფერი იცის. ზენობია შეუყვარდება არასან, ამავე დროს მის მამასაც — ფარსმან პირველს. ორიენტი ცლილობზე ზენობიას ცოლად შერთავს. აი, ამ დროს არტანისში ჩამოდის რომის ელჩი, რომელიც თვითონ რადამისტია. მას აქ ვერაინ იცნობს, იგი ყველას მგდარი პკონია. ამბები და მოვლენები ისე მახფრად ვითარდება, რომ ფარსმან მეფე და რომის ელჩი (რადამისტი) ერთმანეთს სასიკვდილოთ შეჯახებინან. რადამისტმა ვერ გაიმეტა მამა, მამამ ვერ იტო შვილი და ხელზე შემოაგდეს. რადამისტის გმირული სიკვდილის შემდეგ, ფარსმანი გაიკვებს, რომ ეს მისი ვაჟია და მშრეე განსაყვადლში ვარდება. მიიკრებს ძალღონეს, მოვა გონს და არსამს და ზენობიას უცხადებს, იქტარონ, წვაიდნენ სომხეთში და იქ სამეფო ტახტად დაუტკარონ. სანმ ცოცხალია, მას მოსვენება არ უწერია.

მოქმედება მიმდინარეობს იბერიის დედაქალაქ არტანისში, ფარსმან მეფის ციხე-დარბაზში. ტრავედია იწყება ზენობიასა და მისი მოახლის ფენისის საუბრით. დაღონებული და სასოწარკვეთილი ზენობია ემდურას თავის ბედს, სიკვდილს ნატრობს. ფენისი მას აწმვიდებს, ემუდარება დივიწყოს ყველაფერი, შეიმშრას თვალბზე ცრემლი, კეთილად შესვლებს მსოფლიოს მკარობელის, ქვეყნად მფხობამები მეფის სურვილს, წყალბობს, პატებს და ყურადღებას, დაამშვენოს მისი ტახტი თავისი სიღამაზით. მაშინ ზენობია გულს გაუხსნის ფენისს და მოუყვება თავისი ცხოვრების ტრაგიკულ ისტორიას.

1. ნ. ბერტინიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1948, გვ. 80-82.

გაოცებული ფენისი თორთოვლით უკმენს ზუნობიას ტრაგიკულ აღსარებას. ზუნობია განაგრძობს თხრობას და დასძინა, რომ ის არის:

ღალ შეფთვა ჩამოშავალი  
და დიფუზული სისხლის მემკვიდრე,  
უცხოლოშობილესი, მაგრამ ბედისწერით უფრო მეტად უბედურია.\*

ზუნობიას მამა მითრიდატე და ბიძა ფარსმანი ერთხანს მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ფარსმანი ძმას აღაპარდებულად მიანდო თავისი ვაჟი რადამისტი, რომელიც იზრდებოდა ზუნობიასთან ერთად. ამ ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ ძლიერ, მარადიული სიყვარულით. განვლილი დროა, — განაგრძობს ზუნობია, — და ყველაფერი აირ-დაირობა, ფარსმანი შემოიჭრა მითრიდატეს სამფლობელოში, განრისხებულმა, ვითომდა ძმის ღალატის გამო, გამოიყენა რა შვილიცა, ჩემი საკუთრო რადამისტი, სიცოცხლე მოუსწრაფა მითრიდატეს. ქალ-ვაჟის ძლიერმა სიყვარულმა გადალახა ეს მიმიშ მდგომარეობა და ისინი მიანი დაქორწინდნენ. აწინაირად, ნათესაური სისხლი დაიდგრა, ქორწინება მოხდა, „წმინდა კავშირი“ შეიკრა. ზალმა რადამისტს არ აპატია ბიძისა და სიმამრის მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედება. ხალხის მრისხანებამ აიძულა რადამისტი ახლადშერთული ცოლით გაეცუკულებო. ისინი გარბოდნენ, უკან მდგომარე მისდევდათ. რადამისტმა ერთხელ კიდევ შეაბასდა თავის ცოლს და გაფრთხულმა მახვილი ჩასცა, ზუნობიას გასისხლიანებულ სხეული არაქვის ზვირთებმა შთანთქ. სიკვდილს გადარჩენილ ზუნობიას, გონს რომ მოსულა, კარგა ხნის შემდეგ გაუყვია: ფარსმანმა აღწერიულ შვილს, რადამისტს, თავისივე ხალხი აუჯანყდა და სიცოცხლე მოუსწრაფაო. ყველაფერზე ხელჩაქეულმა ზუნობიამ ქვეყნისაგან განმორება გადაწყვიტა და მივიძლია გადაიხვეწა. ათი წლის შემდეგ მას შეხვდა რადამისტის ძმა არსამი, რომელიც, ქალის სილამაზით მოხიბულმა, წამოიყვანა იგი იბერიაში, თავისი მამის, ფარსმანის ციხე-დარბაზში. არსამს ძლიერ შეუყვარდა ზუნობია. ასევე შეუყვარდა იგი ფარსმან მეფესაც. კრებიონის ოსტატურად აქვს აღწერილი ზუნობიასადმი დამოკიდებულებებში მამა-შვილის შორის არსებული შუღლი და ბრძოლა. ზუნობია კიდევ უფრო მეტ საგონებელშია ჩავარდნილი. მამა-შვილი ყველაფერს აკეთებენ ზუნობიას ამაცი სულისა და გულის დასამორჩილებლად, მაგრამ ამაღ.

ტრავმადის მეთრე მოქმედებში რადამისტი რომის ელჩის სახითა წარმოადგენილი იბერიაში. მისი ვინაობა არანინ იცის. ის ებარება თავის მეგობარს, სომხეთის წარჩინებულს პიეროსს. ზუნობიას მსგავსად, რადამისტიც უჩივის თავის ბედს, იტანება თავისი „ოვდვილი სულის“ გამო. რადამისტი პიეროსს უყვება „თავის საზარელ წარსულს“, თუ როგორ გამოვლენდნ ის და მისი ცოლი და როგორ მისადგინდნ მათ მდგერები, თუ როგორ ქვეითებდა ზუნობია რადამისტის მეგრულ მთხუტებულთ. ამ უმძიმეს წუთებში რადამისტის წინაშე ასე დადგა საკითხი: ჩემი სიკვდილი გარდუვალია და ჩემი ცოლი, ყველაზე ძვირფასი არსება ჩემთვის, ბელში უნდა ჩაუვარდეს დაუძინებელ მტრებს, ამიტომ ერ-

თადერთი გამოსავალი — სიკვდილით შევეწარწნო მას თავისი პატიოსნება და ღირსება. ამ რწმენით რადამისტმა მახვილი ჩასცა ზუნობიას და მისი გასისხლიანებული სხეული არაქვის ზვირთებულ ტილდებს გაატანა, რომ მისი გვამისთვისაც კი არავის წივინ.

თვითონ რადამისტი მცირე აზიაში გადაიხვეწა, სადაც ის მარტობის სიმწარეს, ცოდის ასე დაკარგვას ვერ ურიცდებდა, შფოთავს, რომ იტყვიან, ცუცხლი უკილი. დააპირა გამოხალგებოდა ამ საშინელ წუთისოფელს, მაგრამ ვერ შეძლო. რადამისტის იტანჯებოდა სინანულით და სინდისის ქნჯებით. ამ დროს რადამისტი შეხვდა იკაურ სარდალს, იბერიის მოწინააღმდეგე კორბიულოსს, რომელიც მას გადაარჩენს, გულუხვად და დიდულუონად მოღყრობა. ასე გაიარა ათმა წელმა, რადამისტამდე მოაღწია ხმამ, რომ ფარსმან მეფეს სურდა სომხეთის სამეფო ტახტის ხელში გადაეხა. მას სისხლი აემღვრა, ძალა მოეშტა, შურისძიების ვანობა გაუღვივდა. კორბიულოსს ყველაფერში გამოუტყდა, თავისი წარსულიც უამბო და, მშობლის წინაშე ამხედრებულმა, თხოვა სარდალს მიეღონებნა ის იბერიაში, ვითარცა რომის ელჩი. კორბიულოსმა რადამისტს თხოვნა დასრულა.

და აი, რადამისტი იბერიაშია. ნაწარმოების მეთრე მოქმედების მიერე სცენაში ის ხედება მამას — ფარსმან პირველს, ისე, რომ, მეფემ რადამისტის ვინაობა არ იცის. რადამისტის ფარსმანს ტყობინებს, რომ რომის სარდლობა უკმაყოფილია მისი ლაშქრობით, რომ კესიარს არ სურს სომხეთი ფარსმანს დაუთმოს. მეფე ზიულთ ისმენს რომის ელჩის სიტყვებს და განრისხებულად ეუბნება მას: არ მოველოდი ჩემს წინაშე ასეთ ლაპარაკს, ნუთუ კორბიულოსს ვარისკაცში ასეთი თამაში სული იზრდება, მიკერს ჩემს ქვეყანაში მე ბედებს ნერთის ნების გამომქედებებს, ამ არასდროს მშინებია ლეგიონისაც კი, ჩემს ძღვენისოლ ვარს ყველა გაურბის, რომაელებიც და პართლებიც, ახლა რა მოხდა, ძალიან მიკერს.

არ ეუნახივარ ჯერ არავის რომის ფორუმზე სამარცხენოლ ჩაყვანილი, ბორკილავარლი, შეხმული ეტლში, ვასართობად დამკრებული, მე ამ ბრძოლებით უსსატკეს შურისძიებას დავეწაფებო და ვერ მიხილათ უნუემოლ დამონებულს, ვინმეს მიმღევარს.

ამაცი, გულუხვიად ფარსმანი ელჩს აბურად იგდებს, ბცინებით, ქედმაღლურად ელაპარაკება მას. რატომ შეუწუდი, რისთვის გამოიარეთ ამდენი გზა, ნუთუ ნერთი ახალ ბრძოლებში მიწვევს, ზომ არაფერი ელდება? ემ, სამხრ არ აქვს უღირს მსახურთან ამაო ლაპარაკს!

ევონედ არსად ჩანს ლშქრის წყობა, სიდ ვავიხიზნათ ლეგიონები? ნუთუ მოყოფილია დამკრებლები მხოლოდ ელჩებს სიტყვით იბრძვიან? თ, არა, არამ მხოლოდ ცუცხლით და მახვილით თუ შეუღლებ, რომ მომლოთ ბოლი. თქვენ რა ვადლებთ ფუვი უხელობით და დამუქრებთ უღირს რომაელებს იქნენ სურთ, რომ აუარინ ვეგრედ არტკაქსატს? უსუკებობა კორბიულოსს მიადწიოს ევფრატის ნაპირს.

პიერონიც ჩაერევა ლაპარაკში და ფარსმან მეფეს გაბედულად ეუბნება: რომაელები ნებას ვგრთავენ თვითონ ავირ-

\* ყველან ესარგებლობ პიოფ ვევა გვახიბის თარგმანით, რომელიც მზადა დასაბეჭდად.

ჩიოთ ჩვენი მმართველი. ნუ ფიქრობთ კვლავ ჩვენი მყარობელი გახდეთ. ხარბი პარტელები და მოსურნე რომელები ყოველი მხრიდან ამხედრდებიან თვენს წინააღმდეგ. გაშმაგებული ფარსმანი უბასუბებს:

ამოღ ყებდლობთ!  
შეგისწავლიათ რომისაგან ფარისკელობა!  
შენი მოქმედი ცხოვრება, ლტოლვა, განსრახვა საფლავს

რაჲს კაცანებ და საით ისწრაფები—ეს ხომ ჩემთვის ნათელი არის. ბოძოლმე განსაჯოს ჩვენი ძალა, ჩვენი უფლება. გამარჯვებული ვიკარახებხს თავის კანონებს, რომი — ფარსმანი, აბა, ენახოთ ვინ დაეღონებთ! წმიდალ-წმიდა სომხეთის ტახტზე ჩემი უფლება, მე შევიკიდრე ვარ გარდაცვილ ძმის და ჩემი ვაჟის.

ამ სიტყვების გაგონებაზე რადამისტს სისხლი აემღვრა, მოთმინების ფილა აფესო და ფარსმანს პირში მიასახა მწარე სიტყვები: „ოჲჲჲ, რომელმაც ერთადერთმა მოსოპი ისინინი?! განა მემკვიდრეობას მველელები იღებენ?!“ განხრისხებული ფარსმანი ხნალს იძრობს და კარისკაცებს უხმობს. შემდეგ შექერდება, რადამისტა გადაარჩინა ნერონის მიერ ბოძებული ტიტულა.

მესამე მოქმედებაში რადამისტი ცდილობს თავის მხარეზე გადაიზიროს არსამი, რომელსაც დიდი უკმაყოფილება აქვს მამასთან (არსამმა რადამისტს ვინაობა არ იცის). ისინი ერთმანეთს შეხვდებიან. ძლიერ ანადგურებელია ეს სცენაჲ. არსამი უამბობს რადამისტს, რომ ის მძიმედ განიცდის იგივეღმობობა, დიდსულოვანი, გმირობისათვის დაბადებული ძმის დაკარგვას. შეიძლება მსა უარსი ბედი მოიღოს, მაგრამ ის ამის შესვლა კი არ უწესს, ხსვა რამე ადარდება. რადამისტი არსამს ეუბნება, რომ თუ ის დათანხმდება, სარდალ კომბოულინი იბერიას შემოუტყვის და გამარჯვების შემდეგ სარდმომ ტანტუფ არსამს დასცემს. არსამმა მიყინა, რომ რადამისტმა მას ვერ გაუყოფს უფლისნადები და ისეთის შეუფერებელი საქმის ჩადენა შესთავაზა:

რას მოვაჯობოთ, ამას რას მირჩევთ, ჩემო მეუღეჲ!  
ღმერთო, რა კუდალ გუგია გულისნადები,  
როგორ? ვაჲკაცმა ველაღატო მამას, სამშობლოს,  
რომის მონიხონი მოვიპოვო წმიდა სახელთ!  
ნათუ კილიენ ვასაწირად ვავიშვო მამაჲსი და რწმენა,  
და, ნურაფერს გამოელის ზვიადი რომი,  
მე ველარაფერს ველარ შავთხოჲ, რაჲ კოლღას იწვევს,  
გვესუს მოვიპოვოთ სამართლი საქმით და ბძობლით.

არსამი რადამისტს თხოვს: როგორმე მისცეს თავშესაფარი მას და ერთ ულმასზეს რომელი ქალს, რომელიც არსამმა ნახა უცხო მხარეს ტყვეობაში, წამოიყვანა იბერიასი და ძლიერ უყვარს. არსამი იმასაც აბსკობინებს რადამისტს, რომ ეს უშეშენიერესი ქალი ისმენი უყვარს აგრეთვე მამამისს. და თუ ეს უწველოდ არსება არ დარჩება არსამს, ის იხოხვს, რომ ისმენი ვათავისუფლდეს ტანჯვიან და უბედურებისაგან და, სადაც სურს, იქ იცხოვროს. ამასთანავე, არსამი იმასაც აცნობებს რადამისტს, რომ ქალს ძალიან უნდა რომის ელჩთან ცალკე შეხედვრა. ეს შეხედვრა წოხდა. ეს სცენა კიდევ უფრო ანადგურებელია. რადამისტი გამოიყვანა თავის ცოლს ზენობიას, ასევე ქალიც იცნობს თავის ძვირფას ქმარს. გაოცებული რადამისტი ამბობს: „გოგონაკლავიერიო სატრფო დახმედა გულქვა მამასთან“.

თუ სინანული უღანასაშულოს ადგილს იკავებს გაქრება ზოლი, შურისსებაჲ, ენება რასისვისა, ერთადერთო, რაჲ ჩემს მიმართ ტყვენ გამოარაკებთ, ეს გრძნობა არის, დიადი გრძნობა კეშმარტი სიყვარულისა.

ასე მიმართავს რადამისტი ზენობიას. ისინი ერთმანეთს განადიდებენ, ამხნევენ, აიხედებენ.

მეთოც მოქმედებაში არსამს ვებრძოთ იბერიიდან განდევნილ, ის კოლხეთში უნდა წავიდეს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი არსამი გაიგებს, რომ რაჲმის ელჩი, ვისაც ის ასე დაუწვევობრდა — მისი ძმა — რადამისტი ყოფილა, ისმენი კი, ვინც ასე ძლიერად შეუყვარდა — რადამისტის ცოლი — ზენობია. არსამი მძიმე განსაცდელი ჩაყარდა. ეშვიდობება ძმას და რძალს. ამ დროს ფარსმანის მცველთაშუგევი მითრანი გამოჩნდა და არსამს უთხრა: მეფის განკარგულებით თვენე დაბატონრებული ხართ, განრისხებული და შეშფოთებული მეფე ლომიგიით ბორგავს, წყველა-კრულვით ასანგნებს არსამის სახელს, რომელსაც რომის ელჩთან პირი შეუკრავს და სამშობლოს დაღატობს.

მესოუე მოქმედება იწყება იმით, რომ გამშავებული მეფე ფარსმანი თავის ხელქვეითებს ამცნობს, რომ მისმა შვილმა არსამმა საერთო ენა გამოიხაზა რომის ელჩთან მისი სამფლობლოს — იბერიის დასამხობად, ქალის გულისთვის გადაუღვა მამას; სამშობლოს. მეფე თავისიან უამბობს არსამს და მიმართავს ყოფილ მწარე და დამამცირებელი სიტყვებით, არსამი იტანს ყველაფერს. გასწი, დათავის დედა, მამის ორბული, მიაახებეს მას ფარსმანი და თოხის კარისკაცებითურთ გავა. გაოცებულმა არსამმა აღარ იცის რა ქნას, ბოლოს გადაწყვეტს მამას გაუშობლოს საიდუმლო. ამ დროს კვლავ ბრუნდება მთლად გააფთვებული ფარსმანი, რომელიც სახალისო კართან შესუვლარი გასაქვევად გამსადიდებლ რადამისტსა და ზენობიას, და რადამისტთან შერგინებისას სასიკვდილოდ დაუჭრია იგი. შემზარავია რადამისტის სიკვდილის სურათი.

ნაწარმოებში დაცულია კლასიციზმის ცნობილი სამი მთლიანობის წესი (ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა). ტრაგედიის სიუჟეტი ალბულოა ანტიკური წყაროდან, მოქმედება მიმდინარეობს მკაცრი რეკლამენტაციის პირობებში, ავტორი ხშირად მოულოდნელ ამბებს რთავს ნაწარმოებში და ა. შ.

კრებიიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტრაგედიის მოქმედ გმირთა ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე თითქმის აღწევს პიერ კორნელისა და ჟან რასინის დრამატურგიული შედევრების გმირთა ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმის ღონედედ.

მეთოცველის მესსიერებაში წარმულია მარად უკვდავი, დიადი სახეები ფარსმანისა, რადამისტისა, ზენობიასა და არსამისა, მათი პირადი ღირსებანი, ადამიანური სრულყოფილება, ჭედმოუღრეკლობა, სულიერი სიმტკიცე.

ფრანგული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა გუსტავ ლანსონმა კრებიიონის „ყველაზე მნიშვნელოვან და დაზახასიათებელ“ ტრაგედიად სწორად „რადამისტს და ზენობია“ მიიჩნია.

# იოჰან სებასტიან ბახის ინტონაციური ლექსიკონის საკითხისათვის

რუსულდან ხოჯავა

მუსიკოს-შემსრულებლისათვის ბახის ნაწარმოებთა წაკითხვა ძალზე რთული პრობლემაა. ამიტომ, რომ დღეს ბახის შემოქმედებას იცვლევენ არა მარტო მუსიკისმცოდნენი, არამედ მედაგოგებიცა და შემსრულებლებიც. წინამდებარე წერილიც მიზნად ისახავს დაეხმაროს პიანისტ-შემსრულებელს ბახის ნაწარმოებთა შინაარსის გახსნაში. ამისათვის ჩვენ შევეცადეთ ზოგიერთი პრაქტიკული დაკვირვების განზოგადებას ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“ რე-მაჟორული პრელუდიისა და ფუგის (I ტომი) მასალის საფუძველზე.

ჩვენს მიერ შენიშნული მუსიკალური მოვლენების გააზრებაში დაგვეხმარა ასაფიევის მოძღვრება ინტონაციის შესახებ. ასაფიევისეულმა ცნებებმა — „მუსიკის სიტყვები“, „ინტონაციური ლექსიკონი“, „ინტონაციური ფონდი“, „ინტონაციური მარაგი“ — ნათელი მოჰფინეს იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენს წინაშე წამოიჭრა მუშაობის პროცესში.

ცნებები „მუსიკის სიტყვები“, „ინტონაციური ლექსიკონი“ ქმნიან საყრდენს ნაწარმოებთა შესწავლისათვის. აქედან გაშომდინარე, მთელი რიგი მუსიკისმცოდნენი ნაწარმოებთა ანალიზის ერთ-ერთ ხერხად მიიჩნევენ ტიპური ინტონაციური ფორმულების მიკვლევასა და მათი შინაარსის გახსნას, როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ

(ისტორიულ) ასპექტებში, ასევე ერთი კომპოზიტორის შემოქმედების, ან სულაც ერთი ნაწარმოების ფარგლებში, რამდენადაც ასეთი ანალიზი «позволяет объективно судить о содержательности произведения, рассмотреть вопросы традиций и новаторства, национального, народного, реалистического и, в конечном счете, способствует выходу анализа к широкой эстетической оценке».

ეს შეხედულება წინამდებარე ნაშრომის ამოსავალი წერტილია. მის საფუძველზე შევეცდებით განვიხილოთ იოჰან სებასტიან ბახის ინტონაციური ლექსიკონის ერთ-ერთი მელოდიური ფორმულა. ჩვენ იგი ფორმულად მივიჩნით ბახის სხვადასხვა ნაწარმოების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე.

საკვლევთად ცნობილია, რომ იოჰან სებასტიან ბახი ძალზე ფართოდ იყენებდა ერთსადამივე მუსიკალურ მასალას სხვადასხვა ნაწარმოებებში — ხშირად ახდენდა მასალის „გადანერგვას“ ახალ ნიადაგზე. ეს დამახასიათებელი იყო იმ ეპოქისათვის<sup>2</sup>. დაახლოებით ოცი პროცენტი ბახის მუსიკისა „გადანერგულია“ ერთი ნაწარმოებიდან მეორეში. ასე მაგალითად: საკლავირო სონატა რე-მინორი ავტორისეული ტრანსკრიპციაა ლა-მინორული სავიოლინო სონატისა; რე-მინორული საკლავირო კონცერტის პირველი ორი

ნაწილი შევიდა კანტატაში № 146; „საშობაო ორატორიის“ დიდი შესავალი გუნდებით და თითქმის ყველა სოლო ნომერი სხვა ნაწარმოებებიდანაა გადმოტანილი.

მალალი მესის (სი-მინორი) სასოტო გუნდი *Gratias agimus* ბაზმა გადმოიტანა პირველად 1731 წლის 27 აგვისტოს შესრულებული № 29 კანტატიდან — ივლისისმება გუნდი № 2 „მადლობელი ვართ, უფოლო, შენი“. *Gratias* ბაზი იმეორებს აგრეთვე მალალი მესის დასკვნით სამადლობელო სიმღერაში—*Dona nobis pacem* („მოგვეც მშვიდობა“). შენიშნული არ არის, რომ აღნიშნული ფუგების თემა აღებულია გაცილებით უფრო ადრე შექმნილი საკლავირო ფუგის თემისა და საწინააღმდეგო სვლიდან — მხედველობაში გვაქვს პრელუდია და ფუგა რე-მაჯორი „კარგად ტემპერირებული კლავირიდან“ ტ. 1<sup>3</sup> (მაგ. 1, 1ა).

№ 29 კანტატაში საკლავირო ფუგის თემას, შემოაღნიშნული ფუგის გარდა, ვხვდებით აგრეთვე არიგემი № 3 და № 7 — ალოლია. საკლავირო ფუგის თემა და საწინააღმდეგო სვლა ამჯერად მოცემულია მთლიანად, ხოლო შუაში ჩართულია ახალი მოტივი (მაგ. 2, 2ა).

მალალ მესაში კი, *Gratias* და *Dona nobis* გარდა აღნიშნული საკლავირო თემა საფუძვლად ედება საგუნდო ფუგის *Et resurrexit* („და აღსდგა“) თემის (მაგ. 3, 3ა).

საკლავირო ფუგის თემასთან ამ თემათა ნათესაობა ყოველთვის არ არის ადვილად შესამჩნევი, რადგან შეცვლილია რიტმი, ფაქტურა, ორგესტრობა, ტემპრი, ტემპი, ზოგან ჩართულია სხვა მოტივი, ან პირიქით — ამოღებულია მოტივი. საკლავირო ფუგის თემა მარშისებური ხასიათისაა და დაწერილია ფრანგული სახეობის უერტიკურის სტილში; № 29 კანტატის № 2 გუნდში და მალალი მესის *Gratias* და *Dona nobis* იგი ქორალურ სამოსელშია მოცემული. აქ თემა ედება საფუძვლად ორმაგ საგუნდო ფუგებს; კანტატის № 3 და № 7 არიგემი წინა პლანზეა სუბიექტური საწყისი, — ფართო სუნთქვაზე აგებული მელიდია იუბილაციის ტიპისაა. *Et resurrexit* ფუგის თემაც იუბილაციაა. მიუხედავად გადმოცემის ასეთი სხვაობისა, თემები მსგავსნი არიან ემოციური თვალსაზრისითაც — მათში გამოხატულია სიხარულის განწყობილება.

გარდა თემების მსგავსებისა, რე-მაჯორულ საკლავირო ფუგას მალალ მესასთან ცალკეული ინტონაციების მსგავსებაც აკავშირებს. თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ ერთმანეთს საკლავირო ფუგის მე-9 მე-10 ტაქტები და მალალი მესის კლუზინაციული ნაწილის, — სიდალითა და ბურწყინავლებით აღსაესე *Sanctus*-ის („წმიდაა“) 25-ე — 28-ე ტაქტები (მაგ. 4, 4ა).

ორივე ფრაგმენტში თითქმის ერთიდაიგივე საყრდენი აკორდები გვაქვს (ანალოგიურ შემთხვევაში, ფუგის 21-ე ტაქტში სოლ ბეკარია), ხოლო

ამ აკორდების ზევითა ხმის გამოსახმარისება (ობყრვანინე) ორივეგან იუბილაციაა. გარდა ამისა, ორივე ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია მარშისებური რიტმი და მოძრაობა პარალელური სექსტაკორდებით (მაგ. 5, 5ა).

მ. დრუსკინი აღნიშნავს, რომ მალალ მესაში სექსტაკორდები თითქმის ასახვენ სერაბიმების „ფრთების მოქვეყას“, ბიბლიის თანახმად, აღტაცებით რომ შესახებენ: *Sanctus! Sanctus!* სერაბიმებს სამი წყვილი ფრთა აქვთ, ხოლო ქრისტიანული მოძღვრების თანახმად სამი საღვთო



მაგ. 1, 1ა



მაგ. 2, 2ა



მაგ. 3, 3ა



მაგ. 4

რიცხვია. დრუსკინის აზრით ეს სექსტაკორდები (სამი ხმა, ტრიოლები) ქრისტიანული სამების სიმბოლოს წარმოადგენენ.<sup>5</sup>

თემებისა და ინტონაციების ასეთი მსგავსება გემოწმებს იმას, რომ რე-მაჯორულ საკლავირო ფუგას კავშირი აქვს მალალი მესის ფილოსოფიურ-პოეტური კონცეპციის ერთ-ერთ ძირითად საწყისთან — სიხარულის, სინათლის, სიკეთის, ცხოველმყოფელი მოქმედების საწყისთან,



დაიღე იმანაც განაპირობა, რომ მასში პპოვა განსახებრება XVI საუკუნის უდღესი სახალხო აჯანყების — გუგუთა ომის სახეებმა, თემებმა, სიმბოლოებმა. „შემოქმედებითი გენიის ძალით ბაჰმა თავის მუსიკაში ადაღინა ის, რაც დასამარებუელი იყო პროტესტანტულ ქორალში — „XVI საუკუნის მარსელიეზას“ გამარჯვების ძახილი, ხმაურა და რიბიანი გლუხური კანგი, ხალხური ცხოვრების სისხარული და მწუხარება, მისწრაფება ბრძოლისკენ“.<sup>10</sup>

სმენით ადგილი შესაჩნევია რე-მაჟორული ფუგის თემის მსგავსება გერმანულ პოპულარულ ხალხურ სიმღერასთან „დიდი ხანია არ ვყოფილვარ შენთან“. თვალსაჩინოებისათვის ფუგის თემა სოლ-მაჟორში წარმოვიდგინეთ. თუ კარგად დაუკვირდებით ამ მიამიტ ხალხურ სიმღერას, რომელიც ბაჰს გამოყენებული აქვს „ოლდბერგ-ვარიაციების“ ფინალში, შეამჩნევთ ბაჰის საკლავირო ფუგის თემისა და საწინააღმდეგო სვლის ინტონაციებს.

არაჩვეულებრივად საინტერესოა და ნიშანდობლივი საკლავირო ფუგის თემის, უფრო მეტად კი მისი მოდიფიკაციის — (№ 29 კანტატის № 2 გუნდში და მაღალი მესის Gratas და Dona nobis-ში) მსგავსება მარტინ ლუთერის ქორალთან „Ein feste Burg ist unser Gott“ („მტკიცე ციხე-სიმაგრეა ჩვენი უფალი“). კანტატისა და მაღალი მესის ფუგების თემის პასუხში იგივე ბეგრებია, რაც ბაჰის მიერ გამოყენებულ ლუთერის ქორალში, უფრო ზუსტად, ქორალის ერთ-ერთ მოტივში (მაგ. 6).

ქორალი „Ein feste Burg“, რომლის ინტონაციები ბაჰის ზოგიერთ ნაწარმოებში ანალიზის მეშვეობით აღმოვაჩინეთ, ბაჰს მთლიანად აქვს გამოყენებული რაც ნაწარმოებებში: ქორალურ პრელუდიაში „Ein feste Burg“ და თავის უდაღეს ქმნილებაში — გმირულ-ეპიკურ კანტატაში № 80 „რეფორმაციის ზეიშისათვის“.<sup>11</sup>

განხილული ნაწარმოებები ასაფიევის აზრის დადასტურებაა: «В музыке порожденной хоралом, всегда сохранялось пламенное дыхание интонации, рожденных в борьбе народа за право мыслить и чувствовать национально, по своему»... «Напевы хоралов и элементов их — не только формальные стержни и «балки» полифонической конструкции, — это мысли, образы, идеи, ставшие интонацией».

გამარჯვების რწმენით გამსჭვალულ ქორალს „Ein feste Burg“ ეგუგელსი „გლუხური ომის მარსელიეზას“ უწოდებს, რადგან ამ მელიოდის აჯანყებული მასები მღეროდნენ. ჰენრიხ ჰაინე წერს: „სიმღერა, რომლითაც იგი (ლუთერი, რ. ხ.) თავის თანამოღვაწეთა თანხლებით შევიდა ვორმში, ნამდვილი საბრძოლო სიმღერა იყო. ძველი ტაძარი შეიძრა ამ ახალი ბეგრებისაგან, შე-

შინდენ ყვავები კოშკების კენწეროზე შეყუჟულ ბნელ ბუდეებში. ამ სიმღერამ — „რეფორმაციის მარსელიეზამ“, ჩვენს დღეებამდე შეინარჩუნა თავისი ძალა. შესაძლოა, რომ მალე, ასეთივე ბრძოლებში ჩვენც დაგვეჭვათ რკინაში გამოჭედილი ამ რიბიან ძველ სიტყვებს“.

ამრიგად, იმედის, სისხარულის, სიდაიდის, გმირული პათოსის, ზეიშის განწყობილების გამოხატვისა ბაჰი გამომსახველობით საშუალებებს იღებს ორსაუკუნოვანი ინტონაციური ფონდდან, ლუთერის ცნობილი ქორალიდან, რომლის ემოციურმა ატმოსფერომ ახალი სიტყვებზე პპოვა ბაჰის ქმნილებებში.

ანალიზმა დაგვანახვა, რომ ბაჰის განსხვავებულ, მაგრამ ერთი განწყობილებით მსგავს ნაწარმოებებს — საკლავირო პრელუდია და ფგა რე-მაჟორი, ქორალური პრელუდია „Ein feste Burg“, კანტატა № 29, რეფორმაციულ კანტატასა და მაღალი მესის ნაწილებს — საფუძვლად უდევს ახლებურად გააზრებული პროტესტანტური ქორალის მოტივი.

თავისთავად ეს მოტივი კონკრეტული ნაწარმოების გარეშე, წარმოადგენს ფორმულას, ინტონაციურ მოდელს, მრავალი მუსიკალური ტექსტის ინვარიანტს (მაგ. 7). ასაფიევი ასე განმარტავს მუსიკის ამ უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებას:

«...Бах, Моцарт, Бетховен, Глинка, Чайковский — как оказываются при ближайшем рассмотрении состава их «интонационного словаря» — работали над сравнительно «скромным кругом основных выразительнейших интонаций окружающей среды», не боясь «разменной интонационной монеты». Но их мысль, их идеяность, становясь их художественным почерком, создавала из привычно слышимого богатейшие новыми возможностями обобщения».

ასაფიევის მოძღვრება ნათლს ჰქვენს არა მხოლოდ ნაწარმოებთა ფორმის, არქიტექტონიკის საკითხებს, მუსიკალური ხელოვნების განვითარების კანონზომიერებებს, არამედ მუსიკის აღქმასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც. სამკე ისაა, რომ განმეორებადი ინტონაციური ერთეულები უკავშირდებიან გარკვეულ ასოციაციებს, რაც მსმენელს ესმარება მუსიკალური შინაარსის აღქმასში.

საკლავირო ფუგის გენეზისის განხილვა ჩვენს წინაშე აყენებს მუსიკალური მეგვიდრეობითობის მეტად აქტუალურ საკითხსაც. მუსიკა, როგორც ხელოვნება, ვერ იარსებებდა ტრადიციის, მეგვიდრეობითი კავშირის გარეშე, რადგან ამ შემთხვევაში დაკარგავდა „თავის პირობით კოლს, განზოგადების უნარს“.<sup>12</sup> ბაჰის თემის მეგვიდრეობითი კავშირის დადგენას მივყავართ საუკუნოა სიღრმეში — ქორალ „Ein feste Burg“-ის მელიოდა, რომელსაც მარტინ ლუთერს მიაკუთვნებენ, „ნაქსოვია“ გრეგორიანული ქორალის მი-

მოქცევებიდან, ხოლო ბაზის საკლავირო ფუკის ინტონაციები, თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ, „ახლებურადაა ინტონირებული“ ბეთპოვენის სოლ-მაჟორულ კვარტეტში თხზ. 18 № 2.<sup>13</sup>

ბაზის შემოქმედებაში ევროპული მუსიკის ისტორია განზოგადების უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი. ასაფივე ბაზის შემოქმედებას უწოდებს „მძლავრ შემოქმედებები ლაბორატორია“, რომელშიც გადაიდნო და გამოიწოთო მისი ეპოქისა და წინა ეპოქების სტილისტური და მხატვრული მიმდინარეობები.

რაც უფრო ფართოა და მრავალფეროვანი კომპოზიტორის სტილის მკვებაეი წყაროები, რაც უფრო ახლებურად, ღრმად და თავისებურად აქვს მას გააზრებული წინამორბედი ეპოქების მუსიკალური ელემენტები, მით უფრო სრულყოფილად ასახავს იგი სინამდვილეს, მით უფრო დიდია მისი მუსიკის ზემოქმედების ძალა, ხანგრძლივია მისი ხიცოცხლე. ყოველივე ამას გვიდასტურებს იოჰან სებასტიან ბაზის მუსიკა.

**შენიშვნები:**

<sup>1</sup> Е. Ручьевская — Интонационный кризис и проблема перинтонирования. «Советская музыка», 1975, № 5.

<sup>2</sup> В. Асафьев. Музыкальная форма как процесс Л., 1971.

<sup>3</sup> კარგად ტემპერირებული კლავირის I ტ. დათარღლებულია 1722 წლით.

<sup>4</sup> სიხარულს ექსტაზის გამოხატველი ვოკალიზები.

<sup>5</sup> М. Друскин. Пассионы и мессы И. С. Баха «Музыка», Л., 1976.

<sup>6</sup> Мильштейн — Хорошо темперированный клавир и особенности его исполнения». М., 1867.

<sup>7</sup> Альберт Швейцер. Иоганн Себастьян Бах. М., 1965.

<sup>8</sup> კანტატა პირველად შესრულებული იყო 1725 წლის 25 დეკემბერს, შობას.

<sup>9</sup> საუკუნეთა მამილზე გერმანული ქალაქების თვითმპართეულობებს შტატში ჰყვადით მესაყვირენი, რომლებიც მონაწილეობდნენ ყველა საქალაქო ზეიმში. აქედან იღებს დასაბამს ბაზის მრავალი ნაწარმოების სახეობა ტონი. ეს ნაწარმოებები უმეტესად რე-მაჟორშია დაწერილი, რადგანაც მამილელი საყვირები განსაკუთრებით კარგად ეღერდნენ ამ ტონალობაში.

<sup>10</sup> Георгий Хубов, Себастьян Бах. М., 1963.

<sup>11</sup> კანტატა № 80 იწ. „რობორმაციული კანტატა“ პირველად შესრულდა 1724 წლის 31 ოქტომბერს. ამ კანტატაში მთლიანად შევიდა პირველად საყვირები განსაკუთრებით კარგად ეღერდნენ ამ ტონალობაში.

<sup>12</sup> Е. Ручьевская. Функции музыкальной темы. «Музыка», Л., 1977.

<sup>13</sup> Р. З. Ходжава — К вопросу о преемственности в свете учения В. В. Асафьева об интонационных связях. ვ. სარაყვიშვილის სახ. თბილისის კონსერვატორია. სტატეების კრებული. თბილისი, 1977.

# ქართულ სტულენტთა სათვისტომო იურიკუში 1897—1911 წ.წ.

## მაყვალა გაერჩილაძე

ქალაქ იურიკუში, ახლანდელ ტარტუში, ქართველ სტულენტთა სათვისტომოს შექმნისა და მისი თანდათანობითი განმტკიცება-გაზრდის პროცესი წარმართა არაბული წესისამებრ, რაზედაც მეტყველებს ყველა ის მასალა, რომელიც შევკრიბეთ სათვისტომოს ყოფილი წევრებისაგან, ამოვკრიბეთ ესტონეთის სახელმწიფო ცენტრალური არქივიდან და იმ ჟურნალ-გაზეთებშიდან, რომელთა ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ყოველგვარი ცნობები მათ შემოქმედებით მოღვაწეობაზე, კულტურულ ღონისძიებებს თუ გკონიომურ სიდუხჭირეზე დაწყებული 1897 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე. წერილებია ავტორებით იყვნენ: გ. ყაზახაშვილი, ვ. ქორიაშვილი, ე. ლოსაბერიძე, ზ. ედილი, ე. ცხვეთაძე; ალ. მხეიძე, ს. დედუარიანი, მიხ. კიაზოშვილი და სხვანი.

ტარტუში, ესტონეთის ამ ყველაზე მსხვილ

<sup>1</sup> იურიკუის ქართველ სტულენტთა სათვისტომოს შესახებ ბიბლიოგრაფია მოგვაწოდა ხელუენების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ზუხნიკაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.



კულტურულ და მეცნიერულ ცენტრში სხვადასხვა დროს სწავლობდა და მუშაობდა მრავალი გამოჩენილი მეცნიერი და მეკლვიერი. ქართველთაგან: ვ. კატეტაშვილი, ვ. ერისთავი, თ. ბეგიაშვილი, პ. კვიციანი, ჰ. ჰაბუკიანი და მრავალი სხვა.

ქართველი სტუდენტები იურიევში 1894-95 წლიდან ჩანან. 1897 წლისათვის იქ თავი მოიპარა 12 სტუდენტმა, რომლებშიც გადაწყვიტეს სათვისტომოს დაარსება, შეადგინეს წესდება, შეთანხმეს უნივერსიტეტის რექტორატთან და განათლების ორგანოებთან, გააკეთებინეს ბეჭედი და იურიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოც ოფიციალურად გაფორმდა და დაიწყო მოქმედება 1898 წელს.

სათვისტომოს წესდება შესდგებოდა მრავალი მუხლისაგან. წესდების I მუხლის მიხედვით სათვისტომოს წევრები შეიძლება გამხდარიყო ყველა სტუდენტი, რომელიც საქართველოდან ღირსაძენი ჩავიდოდა სასწავლებლად. წევრისათვის სავალდებულო იყო გადაეხდა საწევრო გადასახადი შესვლისას 1 მან. პემსტრიალურადაც 1 მან. საპატიო წევრად ჩაითვებოდა ის, რომელიც სათვისტომოს სასარგებლო გადაიხდიდა არა ნაკლებ 25 მანეთს (ისინი თავისუფლდებოდნენ სემესტრიალური გადასახადისაგან).

შემოსავლის გადიდების მიზნით სათვისტომოს უნდა გაემართა კონცერტები, სპექტაკლები, მიეღო შემოწირულობები იმ პირობისა და დაწესებულებებისაგან, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა სამეცნიერო წრეა კი უნდა მოეწყო სხდომები, წაეკითხა რეფერატები და სხვ.

პირველ რიგში სათვისტომოს დავებოდა ბიბლიოთეკის დაარსება, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და სასწავლო ნივთების შეძენა. ყველა საკითხი იხილებოდა კრებაზე. არადღეგების დროს კრებას არ იწვევდნენ. სათვისტომოს სალაროში იყო ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი. თითოეულ წევრს სესხად ეძლეოდა 10 მანეთი ორი კვირის ვადით. ამ საკითხთან დაკავშირებით იქმნებოდა რევიზია 3 კაცის შემადგენლობით.

ყოველი წლის ბოლოს სათვისტომო უნივერსიტეტის რექტორს უდგენდა ანგარიშს თავის შემოქმედებით მუშაობაზე. სათვისტომოს ლიკვიდაციის შემთხვევაში მთელი ქონება გადაეცემოდა ნაციონალურ დაწესებულებას.

წესდებაში კრებას შეჰქონდა შესწორება, რომელიც მიტყციდებოდა უნივერსიტეტის საბჭოზე. სათვისტომო ჰქონდა ბინა და წარწერა „იურიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო“. (ესტ. ცენტ. სახ. არქივი, ანაწ. 402 უნივერსიტეტის ფ. გვ. 70).

იურიევის ძირითად მცხოვრებლებს ესტონელები და გერმანელები შეადგენდნენ. გერმანელები

ბი ითვლებოდნენ მოსახლეობის პრივილეგირებულ და ამავე დროს ხელმძღვანელ ნაწილად, რის გამოც იურიევის ბიბლიოთეკა-სამეცნიეროები ძირითადად გერმანული წიგნებით იყო დატოვებული. აქედან მხოლოდ 1/3-ს თუ შეადგენდა რუსული წიგნი. გერმანული ენის არცოდნა ქართველ სტუდენტებს ხელს უშლიდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით ესარგებლათ. გადაწყვიტეს დაეარსებინათ ქართული ბიბლიოთეკა-სამეცნიერო. ამ საქმის მოსაგვარებლად მიმართეს კავკასიის რუსულ და ქართულ გამომცემლობებს თხოვნით — თავიანთი გამოცემებით მოეზარებინათ იურიევის სათვისტომო, რაც გამომცემლობების უმეტესმა ნაწილმა დაუზარებლად შეასრულა.

მართალია, ესტონეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კარგად იცნობდა საქართველოს ადგილმდებარეობას, მის ისტორიას და კეთილდამცემი განწყობით ამ ქვეყნის მიმართ, მაგრამ იურიევის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი, პროფესორთა და სწავლულთა ჩათვლით, ქართველებსა და კავკასიაში მცხოვრებ წვილ ერებს ერთმანეთისაგან ვერ ანხვავებდა, კავკასიას რუსეთის ნაწილად თვლიდა და არ იცოდა, რომ ქართველებს თავიანთი დამწერლობა და თავიანთი კალტურის ისტორია ჰქონდათ.

ასეთი ვითარება ქართველ სტუდენტებს აძულებდა როგორმე დაახლოებოდა იმ საზოგადოებას, რომელიც თითქმის უგულვებელყოფდა მათ და არც რაიმე ინტერესს იჩენდა მათ გასაცნობად. ქართველი სტუდენტები ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე აღდგნენ. მიზნად დაიასახეს ესტონეთის მოწინავე საზოგადოების — ამ უცხო ტომში წარმომადგენლების ყურადღების მისაპყრობად რიგი ღონისძიებები ჩატარებინათ. სათვისტომო ბრველ რიგში შეეცადა გაემართა ქართული საღამო.

აღნიშნული საღამოსათვის სამზადისი ჯერ კიდევ 1897 წლის დეკემბრიდან მიმდინარებდა. სათვისტომოს წევრებმა გაითვალისწინეს, რომ ქართველებს ამ ღონისძიებით გერმანულ სტუდენტთა მოწონება უნდა დამსახურებინათ, რადგან „იქური საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, მსხვილბურჟუას, ბარონებს, ნემცები შეადგენდნენ“.

გერმანულ კორპორანტებს თავი მაღლა ეჭირათ და ზიზღით და ამპარტავნულად უცქეროდნენ ყველას, ვინც მათი ტალი არ იყო. ადვილი წარმოსადგენია რა დამოკიდებულება ექნებოდათ ასეთ ადამიანებს სხვა ეროვნების ხალხთან და მით უფრო ქართველებთან, რომლებიც აქ მიერერიცხოვანი იყვნენ, ისტორიულად უცნობი და არც სიმდიდრით ბრწყინავდნენ. ასეთი გაზვიადებული თავმოყვარეობის მქონე ამპარტავანი ხალხის ჯე-

როვანი ყურადღება რომ მიექციათ („ამათ გარე-  
შე აქ ერთ ნაბიჯსაც ვერ წარდგამ წინი“ — ამ-  
ობიდან ქართველი სტუდენტები), საქირო იყო  
მიღებული და ორიგინალური საღამოს გამართო-  
ვა, რაშიაც გერმანულ „კორპორანტა“ მოთხოვ-  
ნილებებიც უნდა გაეთვალისწინებინათ — უმუნ-  
დიორად ან შეღავათი ტანსაცმით სტუდენტს  
კრძალვოდა საღამოზე დასწრები. ასე იყო თუ  
ისე, ქართველმა სტუდენტებმა არც ხარჯები და-  
ზოგავს, არც ძალ-ღონე და 1898 წლის 14 თებერ-  
ვალს ქართული კულტურის გასაცნობად და და-  
რბო სტუდენტთა დასახმარებლად გამიზნული  
ნაციონალური მნიშვნელობის მქონე კარგად მომ-  
ზადებული პირველი ქართული საღამო გამართეს  
ყველაზე დიდ გერმანულ თეატრის „ბიურგერ  
ზიუსესი“ დარბაზში. აღნიშნული კონცერტის  
მოსაწვევი ბარათის დედანი დაცულია საქ. სსრ  
თეატრალურ მუზეუმში, მ. ბალანჩივაძის პირად  
არქივში. ბარათი შედგენილია რუსულ და გერ-  
მანულ ენებზე.

როგორც წესი, საღამოს მოწყობას უთანხმებ-  
დნენ ხოლმე უნივერსიტეტის გამგეობას, რომელ-  
იც თავის მხრივ ატუდენტთა დახმარების მიზ-  
ნით კონცერტის ხელმძღვანელად ნიშნავდა რომ-  
ელიმე პროფესორს. იმეზავად საღამოს ხელმძ-  
ღვანელთა იცისრა ქართველებისათვის კარგად  
ცნობილია და მათთვის მზრუნველმა პროფესორმა  
ქართველოლოგმა ლეონპარდ მაზინგმა. საღამოს,  
პროგრამა ღრმად გააზრებული იყო და დიდი გე-  
მონებით შერჩეული. პირველ განყოფილებაში  
იყო ქართული სიმღერები და რიმონები; მეორე-  
ში — ცოცხალი სურათები, ხოლო მესამეში  
ცეკვა-თამაში (დავლური, ლეკური, აფხაზური).  
საღამოში მონაწილეობის მისაღებად პეტერბურ-  
გიდან იყვნენ „მოწვეული ქ-ნი არლანი, ბატონე-  
ბი: მ. ბალანჩივაძე, ბარათაშვილი, ქუთათელაძე,  
მაყაშვილი“. პეტერბურგიდან მოიწვიეს აგრეთვე  
მხატვარიც, რომელმაც გემონებით და მიმზიდვე-  
ლად გააფორმა სცენა, დეკორაციები და სურათე-  
ბი. პირველ განყოფილებაში მონაწილეობდა გუნ-  
დი და ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა  
მელიტონ ბალანჩივაძე. იგი ორი კვირით ადრე  
ჩავიდა იურიევში კონცერტის მისამზადებლად.  
ბალანჩივაძის გუნდის წევრები ჩაცმული იყვნენ  
ყველა სახის ქართულ ტანსაცმელში. ზოგა ეცვა  
გურული ჩაქურა, ზოგა ჩოხა-ახალუხი, ზოგა ჩერ-  
ჩხული, ქეულაყა-კაბა და სხვა. მესარულს სიმ-  
ღერები, რომანსები, მთავრ განყოფილებაში აჩვენ-  
ეს ცოცხალი სურათები, რომელსაც აღტაცებუ-  
ლი შეხვდა საზოგადოება — ამირანი მიჯაჭვული  
კაკასიის ქედზე; შემდეგ ქართული ლხინი —  
ქეიფი თავისი რიტუალებით, დოლით, და ცეკ-  
ვა-თამაშით; მესამე სურათი იყო გმირების დე-  
და, რომელსაც გარს ესხვოდნენ ხმალომდე-  
ბული გმირი შვილი. მესამე განყოფილე-  
ბაში გაიმართა ცეკვა-თამაში — ლეკური, კინ-

ტური, აფხაზური, დავლური. „ღამის ორ საათ-  
ზე დაიწყო ევროპული ცეკვები, რომელსაც შემდეგ  
დაშვი ჩაენსაკვებოდა ხოლმე მოხდენილად ლეკუ-  
რი და საზოგადოების აღტაცების საზღვარი არა  
აქონდა“ — იუწყებოდა გაზ. „ივერია“. ცეკვა  
დამთავრდა დილის 8 საათზე და უღრესად ემა-  
ყოფილი საზოგადოება თავის პრეს და დუგარგად  
გამოსთქვამდა. „დორპატელები ასეთ საღამოს  
არ მოგსწრებივართ და დიდი მადლობია ღირსნი  
არიან ქართველები, რომ ნათლად დაგვანახეს  
თავიანთი ზნე-ჩვეულები, მომხილავი ცეკვა-თა-  
მაში და დავიკვებებს სხნა თავის მშვენიერის გე-  
სიკითათ“ (გაზ. „ივერია“, 1898, № 75).

ადგილობრივი გერმანული და ესტონური გე-  
სუებით ძალიან თბილად გამოეგზავნურენ ამ დო-  
რპატელებს, ხოლო გაზ. „ივერიაში“ თავის ფურც-  
ლებზე გადმოიბეჭდა ეს წერილები... ერთ-ერთი  
ესტონური გაზეთის რეცენზია ქებათა და მადლო-  
ბის გრძნობით იხსენიებდა ამ საღამოს, „როგორც  
ყველა ეროვნების წარმომადგენლების თავმყე-  
რის საბაბს, რომელსაც კვლავ ვერსადა ქნახავთ  
ხოლმე... პროგრამა მშვენიერად იყო შედგენილი  
და ამასთანავე სრულიად უნაკლები. სასურველია,  
რომ მუდამ ასე იგებოდეთ თეატრი და ნაციონალ-  
ური განსხვავების ადგილი არ აქონდეს ხოლმე.  
ვიმედოვნებ, რომ ამ საღამომ, ერთი მხრივ, კარგად  
გაცნო ქართველებს მათა და საინტერესო საღამო  
თავის გაჭირვებულ სტუდენტთაც, რომელთა სა-  
სარგებლოდაც იყო გამართული, კარგს დახმარე-  
ბას გაუწევს“. მეორე ესტონური გაზეთი წერდა:  
„ქართველებს მეტად საინტერესო საღამო გამა-  
რთეს. საზოგადოება მრავლად დაესწრო და ქება  
და დიდების შესხმას და საზოგადოების სიხა-  
რულს სასულიერო აღვარა აქონდა“.

ასე რომ, პირველმა ქართულმა საღამომ მასზე  
დაკისრებული მიაია ბრწყინვალედ შესარულა —  
ესტონელ და გერმანულ ხალხს გააცნო საქართვე-  
ლოს თვითმყოფი კულტურა, ქართველი ხალხის  
ტრადიციის და რიტუალები.

დორპატის ქართველმა სტუდენტებმა პრესის  
ფურცლებიდან სიამოვნებით აუწყეს ქართველებს,  
რომ „ჟერ-ჯერიბით ამირანი სამხაურის მოსაწვე-  
ველიცა სამშობლოსათვისო“.

ამ დღიდან ქართველი სტუდენტების სახელი  
პატივისცემისა და დაფასების სიმბოლოდ იქცა.  
ესტონელების ყურადღება და სიმპათია ქართვე-  
ლებისადმი ერთი-ორად გაიზარდა. გერმანულმა  
საზოგადოებამ გული გაუხსნა ქართველებს და  
„წყალბის ღიმილი“ მიადრქვია. ქართველი  
სტუდენტობა ცოტა გამართა წელში და იმედით  
მეცა შემდგომი წარმატებებისა.

იურიევში საერთოდ ასეთი წესი იყო. უნივერსი-  
ტეტის თუ ინსტიტუტის სტუდენტობა ყოველ  
წელს რექტორატის მეთაურობით მართავდა სალა-  
მოს სპეციალურად ღარიბ სტუდენტთა დახმარე-  
ბებლად. ამ პალატივში ყველა ეროვნების სტუ-

დენტი იღებდა მონაწილეობას, ვისაც კი რაიმე მონაცემები გააჩნდა, ამისათვის ისინი ასრულებდნენ სხვადასხვა კლასიკურ ნაწარმოებებს და აზრად არავის მოსვლია ნაციონალური ნომრით გამოსულიყო.

1900 წ. 12 ოქტომბერს იურიევში საბიოლო ინტელექტუალმა გამართა ევროპელები „მუნიციპალურ-სალიტერატურა“ საღამო. ამ საღამოში ქართველმა სტუდენტობამაც მიიღო მონაწილეობა. შეადგინეს 7 თუ 8 კაცისაგან გუნდი (ლოტ-ბარბოდა მამამთავრობელი) და ერთი ნაციონალური ნომრით წარსდგნენ საზოგადოების წინაშე, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, სამი სხვადასხვა ნომრით შესარულებინეს გუნდს და გეოთხედამ „ვაზა-ვაზას“ ძახილით იხსოვდა უდიდესობა მათ გამოსვლას.

საზოგადოებას ღრმა ინტერესი აღერა ქართველებისადმი, მიენატრა ქართული მუსიკის მოსმენა, ცეკვა-თამაშო ქართულ ტანსაცმელში და წამახალისებლად აქეზებდა მომავალი საღამოს ჩასატარებლად. ქართველთა სათვისტომიც არ აკლებდა ცდას, რომ საზოგადოების მილოდინი გაემართლებინა, ქართული კულტურისათვის პროპაგანდა გაეწია და ღარიბ სტუდენტობას დახმარებოდა. ამ მიზნით ისინი თითქმის ყოველწლიურად აწყობდნენ საღამოებს. გეოგნებით და ეროვნული კოლორიტით გაფორმებისათვის არ ზოგადდნენ თანხებს, იძენდნენ ნაციონალურ ტანსაცმელს, იწვევდნენ მატყვრებს, რომ მათი კონსულტანტობით და ფოტოსურათების მეშვეობით საქართველოს ბუნება და ხედი შესაფერისად დაეხატათ. ამას ხელს უწყობდა კიდევ ესტონელი საზოგადოების გულმხურავად მგობორული თანადრწობა; თითოეული ქართველის მონაწილეობისათვის კი საღამოს გამართვა იყო უწმინდესი მოვალეობა სამშობლო ქვეყნისა და ღარიბი ამხანაგების წინაშე, ამიტომ ამ საქმიანობას ყველა სინარულით და მინდომებით ემსახურებოდა.

1901 წ. მოეწყო მეორე საღამო, ხოლო 1904 წ. — მესამე. თუ 1901 წელს მოწვიბოლ საღამოზე დარბაზი მშვენივრად იყო მორთული ხალიჩებით, ქართველი მწერლების სურათებით და სხვადასხვა ქართული იარაღებით და ნივთებით, „ბუფეტში ორი შადრევანი იყო — ერთი ღვინის და მეორე ტკბილი წყლის, იქვე ნახებისაგან გაკეთებულ ორ კარავში ეკვივო და ქართული საჭმელები იყიდებოდა“, არანაკლებ საინტერესო და გულის დამატყვევებელი იყო მესამე ქართული საღამო. გაზ. „ივერიის“ გადმოცემით „საზოგადოება საღამოს იმდენი მოაწყდა, რამდენიც იურიევში ჯერ არავის ახსოვს. დამსწრე თავს ბედნიერად თვლიდა, რომ ასეთ რამეს დაესწრო. ამბობენ: ასეთ მოწვიბოლ და შინაარსიან საღამოს, არა თუ იურიევში, სხვა დიდ ქალაქებშიაც ვერ მნახავთო.“

ახალგაზრდებს არ დაუზოგავთ ენერგია, ფან-

ტაზია, და თანხა, რომ საზოგადოებისათვის სრული შობაქედობა შეეძენათ საქართველოს თვალწარმტყ ბუნებასა და მისი ხალხის უძველეს კულტურაზე... პროგრამაც ამ თვალსაზრისით იყო შერჩეული და დეკორატიულადაც სანიმუშოდ გაფორმებული. მივყვით ისევ წერილს: საკონცერტო დარბაზამდე ქართველმა უნდა გაეცლოთ გზა გემოვნებით და ქართული ტემპერამენტით გაკეთებული. ქვედა კიბის თავზე სურამის გვირაბი იყო დიდ ტილოზე დახატული, რომელსაც რამდენიმე ახალგაზრდა იცავდა ნაბადას და ბუხრის ქედებში გამოწყობილი, მხარზე თოვებდაცაიკიდებულნი. ისინი გაატარებდნენ სტუმრებს მეთორ კიბემდე, რომელიც მორთული იყო ნაძვის ხეების ტოტებით. წინ უზარმაზარ ტილოზე დახატული საქართველოს გზა გადმოწყობილი ვეება კლდეებით, მიხვეულ-მიხვეული გზით და აქაფებული თერგით. ნაძვის ხეებიდან, რომლებიც კიბეს ფარადდნენ, გამოიყურებოდა კიკერ წაყვდილი ირემი, მეორე მხარეს პატარა დათვის ბელი, როგორც კი შედგამდით ფეხს პირველ ოთახში, ხეებს შორის კუთხეში დაინახავდით ვევერთულა დათვის უკანა ფეხებზე შემდგარს, მეორე კუთხეში ღუქანი იდგა დამტვრეული რუსული წარწერით, სადაც იყიდებოდა რუსული ღვინო, ქართული საჭაპურები, მწვადები, საცივი და სხვა ნაციონალური საჭმელები. შემდეგ ოთახში იდგა მამაპაპურად დიდი ხის ბოთლი მქეჭვარე ღვინის შადრევნით. ირველიც ბუქმეტ-ბალახებში გაწლილიყვენენ ვეფხვები, დაფინის მშვენიერ ხეებში სხვადასხვა ცხოველები და ფრინველები იქევედნენ ყურადღებას.

როცა დიდ დარბაზში შეხვდოდით, თვალში გეცემოდათ „ჩვენებური ხალები, მათზე მიკრული ქართული ხმლები და ზვეით ცოცხალი მცენარეების ხვეულებში ჩასმული ჩვენი მწერლების სურათები, ილაა, აკაცი, ყაზბეგი, გ. წერეთელი, რ. ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი, უკვდავი შოთა და მისგან თამარისადმი „ვეფხისტყაოსნის“ მითმევა. ცალკე ლენტეხითა და ვარდებით მორთული დიდი თამარის სურათი ამთავად ჩამი შესინჯვანა სანახაობას. („ივერია“, 1904, № 271).

პროგრამით გათვალისწინებული იყო ძირითადად აიმღერები, ცოცხალი სურათები, პიესა, რომელიც რუსული შინაარსის იყო და რუსი სტუდენტები ასრულებდნენ, და ცეკვები. ამ საღამოსათვის ლიტბარად პეტერბურგიდან მოწვეული იყო სტუდენტი გ. ფოცხვერაშვილი, რომლის დირიჟორობით გუნდმა შესრულა მისივე მუსიკალური ნაწარმოები „ვახტანგ მეფე“. ქართული სიმღერის შესრულება ირკესტრისა და გუნდის შეთანხმებით ერთი წლის წინ განახორციელა გ. ფოცხვერაშვილმა საქართველოში და მისიც და მინც არავინ გამოხმავრებია ამ ამბავს. იურიევში კი თვით ამ ნაწარმოებს და შესრულებასაც აღტა-

ცემაში მოუყვანია საზოგადოება. გახ. „ივერიის“ ცნობით „ტაშის ცემის და ავტორის გამოწვევას საზღვარი არა ჰქონდა. ავტორი ხელში აყვანილი დაჰყავდათ. ასე დააფხა აქაურმა საზოგადოებამ ნიჭიერი ახალგაზრდა კოზობიტორი, ეს საზოგადოება კი შედარებით ერთი კარგი მუსიკის მოყვანა“ („ივერია“, 1904, № 271).

ეროვნული საქმისათვის ეს უანგარო მოღვაწე, კ. ფოცხვერაშვილი უსტუბინდოდ იყო იმ დროს და უსასყიდლოდ შევლოდა კონცერტების გამართვაში ქართველთა სათვისტომოს მამინ, როცა „ბევრ მუქთახორა სტუდენტს ქართულ ქელმოქმედთაგან სტუდენტები აქვთ დანიშნული“ — აღმშოთებით წერდა იქვე „ივერია“.

მაღე დორაბატის უნივერსიტეტის სათვისტომოში, ამ სტუდენტთა თავშესაფარ საზოგადოებამი გაუგებრობა მოხდა. სტუდენტების მცირე ნაწილმა მოინდომა სათვისტომოს, რომელსაც „ქართულ წრეს“ უწოდებდნენ, დამოლა და მის ნაცვლად „კავკასიური საზოგადოების“ ჩამოყალიბება. სტუდენტთა დიდი ნაწილი სათვისტომოს დამოლის წინააღმდეგ გამოვიდა. ცალკე „კავკასიური საზოგადოების“ დაარსებას კი მხარი დაუჭირა და დამხარებაც აღუთქვა. მაგრამ საქმე სხვაგვარი ხასიათი მიიღო. მოწინააღმდეგეებმა, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ აფხაზები, ბერძენები, სომხები და კავკასიიდან ჩამოსული სხვა ეროვნების წარმომადგენლები, დაარდეთეს ყველა მუხლი წესდების და ძალდატანებით გადანათლეს „ქართული წრე“ „კავკასიურ საზოგადოებად“ და მათი ქონებაც მისსაკუთრეს.

ამ პერიოდს დაემთხვა ა. წერეთლის იუბილე, რომლის გამართვა „კავკასიურმა საზოგადოებამ“ იკისრა. ბევრმა ეჭვით შეხედა ამ ამბავს, რადგან პატარა მასშტაბის საღამო პირველად იმართებოდა იურიევში, მაგრამ ესტონელი საზოგადოება დანტერესებული საქართველოს ცხოვრებით, მისი წარსულით და აწმყოთი, სიხარულით გაეშურა იუბილეზე დასასწრებად. დანიშნულ საღამოს დარბაზი ხალხით გაივსო. აბიუბილეო საღამო გაიხსნა მრავალკომიერით და აბოთუოით. შემდეგ სტუდენტთა თ. ონიაშვილმა წაიკითხა მოხსენება — „კავკასიის როლი 60-იანი წლების მოღვაწეთა შორის და მისი ლირია“. რომსაქენებულს თავის შესვდულებათა დასასაუბრებლად მოჰყავდა ციტატები ლექსებიდან, ზოგი ლექსი კი მისი მნიშვნელობისა და მიხედვით მხოლოდ წაიკითხა და ამით საზოგადოებას გაუადვილა აკაკის შემოქმედების გაგება. მონაწილეებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები და ბოლოს მან ლექსებზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს. საღამოს შემოსავლით საზოგადოებამ გადაწყვიტა აკაკის ნაწარმოებების შექმნა ქართული ბიბლიოთეკისათვის.

ამ იუბილეზე დამაწერ საზოგადოების თანაგრძობა და დიდი ინტერესი „კავკასიის საზოგადოებისათვის“ ერთგვარი გარანტია გახდა შემდგომი საიუბილეო და სადღესასწაულო საქმიანობის ნორმალურად და ღირსეულად ჩატარებისა. ასე რომ, სათვისტომოს ფუნქციები დროებით გადავიდა „კავკასიის საზოგადოების“ ხელში. ამ საზოგადოების დამაარსებელი ფიქრობდნენ, რომ სათვისტომოს მიზანს შეადგენდა: ქართული კულტურის პროპაგანდა, სტუდენტებისათვის მორალურ-ეკონომიური დახმარების გაწევა და ბიბლიოთეკა-სამკაიხველოს საინანდო ლიტერატურით და პერიოდიკით მომარაგება. მათი ჯრით ამ ორ უკანასკნელ ფუნქციას უკეთესად შესასრულებდნენ თუ ერთ ორგანიზაციაში იქნებოდა ერთიანებული ყველა ერთს მიზანსადაცხელი, ვინც კი კავკასიაში ცხოვრობდა — ოსი, აფხაზი, ბერძენი, სომეხი და სხვ., რომელნიც რიცხობრივი აბიციონის გამო სათვისტომოს ცალ-ცალკე დაარსების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ. ამიტომ სტუდენტების გარყვეულმა წრემ ამჯობინა „კავკასიის საზოგადოების“ შექმნა, რომელიც კარებს უხსნიდა აღნიშნული ეროვნების წარმომადგენლებს. მაგრამ ამ სახით მათმა მოღვაწეობამ დიდხანს არ გატანა.

1907 წ. იურიევის ქართველი ახალგაზრდობა უსომოდ აღაშფოთა ი. ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავმა. მკვლელობა მიმართ თავიანთი ველისწყრომისა და მკვლელობის საიდუმლოს ამოსახსნელად გარკვეული ღონისძიების ატარების მიზნით, საქართველოში შეიკრიბა მთელი „კავკასიის საზოგადოება“. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის (ვინაიდან მათ არ იცოდნენ ქართული ენა) ილიაც უკნო იყო და ქართველთა აღმშოთებაც. სწორედ აქ გახდა თვალსაჩინო „კავკასიის საზოგადოების“ არსებობის შესახებამხა. ამიტომ ყოფილმა სათვისტომოს წევრებმა გადაწყვიტეს მოეწვიათ სტუდენტთა გაერთიანებული კრება და საბოლოოდ გამოერკვიათ ქართველთა სათვისტომოს ბედ-იღბალი.

კრებაზე წმის დიდი უმარავლსობით გადაწყდა ქართველთა სათვისტომო გამოყოფილა „კავკასიის საზოგადოებას“ და მათი ქონება ქართველებს დარჩენილა. ამასთან დაგვიშრებოთ სტუდ. ცხენათაც წერდა: „ჩვენ მოხარული ვართ „კავკასიური საზოგადოების“ დაარსებისა და აყვავებისა არა სათვისტომოების და ნაციონალური დაწესებულებების ჩაყლაპვის გზით, არამედ ამათგან დამოუკიდებლად, მათ გვერდით მშვილობიანი თანაარსებობით და მეგობრული ზრუნვით“ (გახ. „ისარი“, 1907, № 280). ასე რომ, 1908 წელს დორაბატი კავკასიელების ორი საზოგადოება აღმოჩნდა „კავკასიის სტუდენტთა საზოგადოება იურიევში“ და „ქართველ სტუდენტთა სათვისტომო“, რომელთაც ოფიციალურად იარაგებს და იმუქმედებს 1917 წლამდე. ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ ძველ წესდებამი უმ-



